



K 138.014  
3

ი. პირაიჩევა

ბიბლიოთეკაში გეზნიარ ული  
გუგაონის  
დასახმარებლად

„მიმდინარეა“  
1970

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ცენტრალური სამეცნიერო გაზლიონთეპა



ი. პირაიჩევა

გ ი გ ლ ი ღ რ ა ფ ი ა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი  
მ უ შ ა ღ ი ს დ ა ს ა ც მ ა რ ე ბ ლ ა ღ

მათოლური და საცნობო სახელმძღვანელო

გადამოაჩართულა, ჭინასიტავაობა და უნივერსიტეტი დაურთო  
ოთარ გვილავამ

K 138.014  
3



გამოსცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1970




016:001

კ 549

წიგნში მკითხველი გაეცნობა სამეცნიერო-კულტურო-  
 მუშაობისათვის საჭირო ტექნიკურ ხერხებს, კერძოდ,  
 ბიბლიოგრაფიული წყაროებით სარგებლობის მეთოდებს;  
 შეიძენს ლიტერატურის შერჩევისა და ძიების, საბიბლი-  
 ოთვეჯო კატალოგებითა და კარტოთუკებით სარგებლობის  
 ჩვევებს და სხვ.

ი. კირპიჩევას მონოგრაფიის წინამდებარე (შემოკლე-  
 ბული) გამოცემა დიდ სარგებლობას მოუტანს მეცნიერ  
 მუშაკებს, პრაქტიკოს ბიბლიოგრაფებს, ბიბლიოთეკათ-  
 მცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს და ბიბლიო-  
 გრაფიული მუშაობით დაინტერესებულ ჟურალ მკითხ-  
 ვებს.



9—1—3  
 211—1969

115 22

211.3

-48

## მთარგმნელის წინასიტყვაობა

ცნობილი საბჭოთა მეცნიერი — ბიბლიოგრაფი პროფ. პ. ბერ-კოვი, რომლის შესავალი წერილი „ბიბლიოგრაფიის აღვილი ახალ-გაზრდა მეცნიერის მუშაობაში“ წინ უძღვის ი. კირპიჩევას მონოგრა-ფიას „ბიბლიოგრაფია მეცნიერული მუშაობის დასახმარებლად“, ამ წიგნის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ საბჭო-თა ახსლებაზრდობა, განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, რომელიც იწყებს დამოუკიდებელ მეცნიერულ მოღვაწეობას. სისტემატურად განიცდის ისეთ დამხმარე სახელმძღვანელოების საჭიროებას, სადაც სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი კვლევითი მუშაობისათვის საჭირო ძირითადი ტექნიკური ხერხები, ყოველმხრივი ცნობები ბეჭ-დური ნაწარმოებების შესახებ. ამ საქმეში აქამდე არსებულ ხარვე-ზებს ავსებს აღნიშნული მონოგრაფია, რომელიც, გარკვეული აზ-რით, წარმოადგენს უნივერსალურ ბიბლიოგრაფიულ დამხმარე სახელ-მძღვანელოს. ი. კირპიჩევას მონოგრაფია აქამდე გამოცემულ ბიბ-ლიოგრაფიულ წიგნებს შორის ყველაზე სრულ და ყოველმხრივ შე-მოწმებულ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მკითხველს.

მონოგრაფია შედგება შესავლისა და სამი კარისაგან: 1. ბიბლი-ოგრაფიული მუშაობის ტექნიკა, 2. ცოდნის ყველა დარგზე ლიტერა-ტურის შესახებ ცნობების ძირითადი ბიბლიოგრაფიული წყაროები, და 3. ცოდნის ცალკეულ დარგებზე ლიტერატურის შესახებ ცნობე-ბის ძირითადი ბიბლიოგრაფიული წყაროები. წიგნს ბოლოში დართუ-ლი აქვს ავტორთა და ბიბლიოგრაფიული წყაროების სახელთა ანბა-ნური საძიებელი.

წინამდებარე მონოგრაფიის ქართულად თარგმნისას ჩვენ შემო-ვითარებეთ მხოლოდ შესავლით და პირველი კარით (ორი თავი). ჩვენი ასეთი თავშეკავება მონოგრაფიის დანარჩენი ნაწილების თარგმ-ნისაგან იმით აისწება, რომ მათში განხილული საკითხები საცნობო ხასიათისაა და მოიცავს ბიბლიოგრაფიული ცნობარების მიმოხილვას



როგორც ცოდნის ყველა დარგში, ასევე ცალკეულ დარგებშიც მარტინ თითებს მეითხველს თუ რა და რა სახის ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობა ები (წიგნების, უურნალების, დარგობრივი და ო. შ.) გამოდიოდა და გამოდის ჩვენში და უცხოეთში. ამ ბიბლიოგრაფიული ცნობარების ქართულ ენაზე თარგმნისას უცვლელად უნდა დაგვიტოვებინა მათი რუსული თუ უცხოური სახელწოდებები. მაგ., «Центральный реферативный медицинский журнал», «British scientific and technical books». რუსული ბიბლიოგრაფიული ცნობარების ზოგადმა ხასიათმა და მათმა სიჭარებები მონოგრაფიის ორ უკანასკნელ კარში გამორიცხა მათი თარგმნის საჭიროება.

რაც შეეხება შესავალსა და პირველ კარს, მათში განხილული საკითხები თეორიული ხასიათისაა და მათ მეტად დღი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო დამწყებ მეცნიერთათვის, არამედ სტუდენტების-თვისაც და ჩამოყალიბებულ მეცნიერთათვისაც. თვით მონოგრაფიის ავტორი რუსული გამოცემის მოკლე შესავალ წერილში მოუწოდებს „ყოველ მკითხველს, მიუხედავად სპეციალობისა... წაიკითხოს „შესავალი“ და პირველი კარი, რამდენადაც იქ განხილულია საკითხები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ რომელიც გნებავთ თემაზე, ლიტერატურის შერჩევისას“.

სკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის სექტემბრის დადგენილებამ საბიბლიოთეკო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ ახალი ამოცანები დაუსახა ბიბლოეთეკების მუშაკთა მრავალთასიან კოლექტივს. ბიბლიოთეკებს დიდი როლი დაეკისრათ ყოველმხრივ განათლებული მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესებაში უმნიშვნელოვანესი აღგილი უჭირავს ბიბლიოგრაფიულ მუშაობას. განუზომლად დიდია საბიბლიოთეკო მუშაობის ამ უბნის მნიშვნელობა მეცნიერ მუშაკთათვის. ი. კირპი-ჩევას მონოგრაფიაში სწორედ ის საკითხებია გაშუქებული, რომელთა ცოდნა ყოველი მეცნიერისათვის აუცილებელია.

ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა მეცნიერულ მუშაობაში, ლიტერატურის შერჩევის ძირთადი ეტაპები, ბიბლიოგრაფიული წყაროების ცალკეული სახეების გამოყენება, პირადი ბიბლიოგრაფიული კარტოთექის ორგანიზაცია და წარმოება, სამეცნიერო აპარატის გაფორმება დასრულებულ გამოკვლევაში — აი, არასრული ნუსხა იმ საჭითხებისა, რომლებსაც ი. კირპიჩევა იხილავს მონოგრაფიის შესავალსა და პირველ კარში.

ი. კირპიჩევას მონოგრაფიის თეორიული ნაწილის თარგმნა შეატყობინა თულად უპირველესად ყოვლისა იმან განაპირობა, რომ დღესდღობით ჩვენ ქართულ ენაზე, არ მოგვეპოვება არც ორივინალური და არც სხვა ენიდან თარგმნილი გამოკვლევა ამ საკითხებზე..

მონოგრაფიის ქართულ თარგმანში ჩვენ შეგნებულად შევცვალეთ ბეჭდურ ნაწარმოებთა აღწერილობის რუსული ნიმუშები ქართულ ბეჭდურ ნაწარმოებთა აღწერილობის ნიმუშებით, რათა წიგნისათვის ქართული ელფერი მიგვეცა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ადგილობრივი გამოცემები უფრო ხელმისაწვდომია ქართველი მკითხველისათვის. ზოგიერთ ადგილას ჩვენ არ ვიზიარებთ ავტორის მოსაზრებებს ცალკეულ საკითხებზე. ასეთ შემთხვევებში ჩვენს შენიშვნებს მიკუთიობთ სქოლიოში.

ვიდრე ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგის ქართველ სპეციალისტებს არ მიუწოდებიათ ქართველი მკითხველისათვის ასეთი ხსიათის ორიგინალური შრომები მშობლიურ ენაზე (უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ახლო მომავლის საქმეა), ი. კირპიჩევას ფუნდამენტური შრომის წარმოდგენილი შემოკლებული თარგმანი გარკვეულ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკითხველებს.

პ. გერგოვი

## გიგანტი გრაფიკის ადგილი ახალგაზრდა მეცნიერის მუშაობაში

1

ნამდვილი მეცნიერული მუშაობა ყოველთვის ახლის ძეგაა — ახალი აღმოჩენები, ახალი გამოგონებები, აღრე უცნობი ფაქტების დაღვენა, მანამდე გაუგებარი ან არასაკმაო დამაჯერებლობით გაშუქებული მოვლენების ახსნა, დიდი და მცირე ახალი ჰიპოთეზებისა და თეორიების შექმნა. მეცნიერება არსებობს მხოლოდ წინსვლასა და განვითარებაში: ერთ აღილზე მყოფი მეცნიერება მეცნიერება კი არაა, არამედ მეცნიერების დაცემა, მეცნიერული რეგრესი.

მეცნიერების წარმატებით განვითარება უპირველესად ყოვლისა დამოკიდებულია იმ საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ დონეზე, რომელშიც ეს მეცნიერება ვითარდება; რაც უფრო პროგრესულია საზოგადოება, მით უფრო ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობს მასში მეცნიერული მოღვაწეობა, მით უფრო მჭიდროა მეცნიერების კავშირი ცხოვრებასთან, მით უფრო მეტად ახორციელებს მეცნიერება თავის ძირითად ამოცანას — კაცობრიობის კეთილდღეობისათვის სამსახურს. სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში (სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში) და კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში (სსრ კავშირში) მეცნიერება სარგებლობს ხალხის განსაკუთრებული აღიარებით და თავის რეგებში იზიდავს მუშაյთა დიდ რაოდენობას. რაც უფრო მეტი კეთილსინდისიერი და ინიციატივიანი მეცნიერი მოღვაწეობს შემოქმედებითად მეცნიერების რომელიმე დარგში, მით უფრო ნაყოფიერად და წარმატებით ვითარდება იგი.

ამიტომ პროგრესული მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ შემძლებელი ნიშვნელოვანებს პირობას წარმოადგენს, აგრეთვე, მისი მუდმივი შევ-სება დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობისათვის საქმაოდ მომ-ზადებული ახალგაზრდა მეცნიერული ძალებით. გამოთქმა „მომზადე-ბულია დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობისათვის“, რომელიც ხშირად გვხვდება ჩვენს პრაქტიკაში, განსაკუთრებით უფროსი ამხა-ნაგების ან სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ დამწყებ მეცნიერთათ-ვის მიცემულ დახასიათებებში, ჩვენი აზრით, საქმაოდ გაურკვევე-ლია. სხვადასხვა მეცნიერები (როგორც „მახასიათებელნი“, ასევე „დახასიათებულნი“) ამ გამოთქმაში სხვადასხვა შინაარსს დებენ, და ამის შედეგად ზოგჯერ აღმოჩნდება ხოლმე, რომ დამწყები მეცნიერი, პირფერობით აღიარებული დიპლომში ან სარეკომენდაციო ღოკუ-მენტში როგორც „საქმაოდ მომზადებული დამოუკიდებელი მეცნიე-რული მუშაობისათვის“, თავს ვერ ართმევს მასზე დაკისრებულ მეც-ნიერულ დავალებებს. ამიტომ საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ ზემოაღნიშნული გამოთქმა სწორად გაიგოს უცელა მეცნიერმა, ე. ი. შეძლებისადაგვარად უმრავლესობაში, პირველ რიგში დამწყებმა მეც-ნიერებმა. ამის სწორად გავეძა, ჩვენი აზრით, არც თუ ისე ძნელია. საჭიროა მხოლოდ გავაანალიზოთ პირობები, რომლებშიც იწყება ახალგაზრდა მკვლევარის მეცნიერული მუშაობა.

## 2

მეცნიერ მუშაკთა უმრავლესობა ჯერ კიდევ საშუალო სკოლის უფროს კლასებში იძენს ინტერესს მეცნიერების გარკვეული დარგი-სადმი, რაც ძალიან ხშირად გავლენას ახდენს მათზე იმ უმაღლესი სასწავლებლის შერჩევაში, სადაც ისინი იღებენ სპეციალურ მომზა-დებას. ეს ნიშნავს, რომ ისინი ითვისებენ თეორიული ხასიათის ცნო-ბებისა და კონკრეტული ფაქტების გარკვეულ რაოდენობას, ეჩვევიან შოვლენათა შორის შინაგანი კავშირის დადგენას, სწავლობენ თუ რო-გორ მოახდინონ უმარტივესი, ხოლო ზოგჯერ კი უფრო რთული გან-ზოგადებები იმ მოვლენებისა, რომლებსაც ისინი აკვირდებიან, ან კი-დევ სხვაგვარად დადგენილი რაიმე პროცესებისა და ა. შ. ზემოთქმუ-ლი შეიძლება მოკლედ ასე გამოვთქვათ: სპეციალური მომზადება ნიშ-ნავს დაეუფლო მეცნიერების მეთოდებს და მის უმნიშვნელოვანებს ფაქ-ტიურ მასალებს.

მაგრამ მარტო ეს საქმარისი არა დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობისათვის. მეცნიერული მეთოდებისა და მისი უმნიშვნელოვა-



ნესი მასალების დაუფლების გარდა ახალგაზრდა მეცნიერმა უფლებაშემა ისწავლოს, თუ როგორ გამოიყენოს მიღებული ცოდნა, რათა შექმნას ახალი, მეცნიერული ლიტებულების მქონე შრომები. მათი შექმნა კი მარტოოდენ უმაღლეს სასწავლებელში (ან თვითგანვითარების გზით) შეთვისებულ მასალაზე შეუძლებელია. ეს მასალა, უკეთეს შემთხვევაში, ახასიათებს მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპს. და არა მის უახლოეს ამოცანებს, მის მომავალს. გარდა ამისა, უმაღლეს სასწავლებელში შესასწავლი საგნების სიმრავლე შესაძლებლობას არ აძლევს ახალგაზრდა მეცნიერს (იშვიათი გამონაკლისის გარდა) სერიოზულად გაეცნოს მის მიერ არჩეული მეცნიერების დარგის ისტორიას, მისი უდიდესი წარმომადგენლების ბიოგრაფიებს, მათ მიღწევებსა და შეცდომებს. მეცნიერს ხომ ხშირად უხდება მიმართოს თავისი წინამორბედების შრომებს — ხან ფაქტიური მასალის ძებნისას, ხან პრაქტიკული ხასიათის პასუხების მისაღებად, ხან კიდევ იმის დასადგენად, თუ წინა თაობების რომელმა შორს-მჭიდრო მეცნიერებმა განვიტრეს თავიანთ სიცოცხლეშივე მეცნიერების მნიშვნელოვანი თანამედროვე პრობლემები და დასახეს გარკვეული გზები მათ შესასწავლად.

ამგვარად, „დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობისათვის საკმაოდ მომზადებულმა“ დამწყებმა მეცნიერმა ნათლად უნდა იცოდეს: ჯერ ერთი, მის მიერ არჩეული მეცნიერების დარგის ისტორია; მეორე, მისი თანამედროვე დონე და, ბოლოს, მისი განვითარების ტენდენცია. მხოლოდ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის წარსულის, აწყოსა და მომავლის გაგება მძიედა ახალგაზრდა მეცნიერს შესაძლებლობას — დამოუკიდებლად და სწორად შეარჩიოს კვლევის ობიექტი, უჩვენებს მას მუშაობის გზებსა და ხერხებს და დააზღვევს მას შესაძლო შეცდომებისა და მეცნიერული ჩავარდნებისაგან, რომელთაგან ყველაზე არასასურველია „ამერიკის აღმოჩენა“.

უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტი თავისი მასწავლებლებისა-გან ლექციებისა და სემინარული მეცადინეობების სახით ეცნობოდა მეცნიერების გარკვეულ დასკვნებს და მის ამოცანას შეადგენდა ამ მონაცემების პასიური ან აქტიური შეთვისება. სად შეუძლია, ან სად უნდა ეძიოს დამოუკიდებლად მომუშავე მეცნიერმა საჭირო ფაქტიური მასალა და მისთვის საინტერესო საკითხის თეორიული გაშუქება, ან კიდევ სპეციალური თეორიული ლიტერატურა?

ახალგაზრდა მეცნიერი ბიბლიოგრაფიას, როგორც ამა თუ იმ მეცნიერულ წიგნსა თუ სტატიაზე ცნობების მიღების ან მისთვის რომელიმე საინტერესო საკითხზე ძირითადი ლიტერატურის მითითების საშუალებას ეცნობა ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას, ზოგჯერ კი საშუალო სკოლაშიც. მაგრამ ადამიანთა საზოგადოებაში, კერძოდ, მეცნიერებაში, ბიბლიოგრაფიის არსისა და როლის სწორი გავება ძალუდს მეცნიერ მუშაკთა არც თუ მაინცდამაინც დიდ რაოდენობას.

ბიბლიოგრაფიას ჩვეულებრივ განსაზღვრავენ როგორც მოძღვრებას ბეჭდურ ნაწარმოებებზე სიების, ნუსხებისა და კატალოგების შედგენის, აგრეთვე მათი გამოყენების ხერხების შესახებ. ასეთ განსაზღვრას, რომელიც არ ხსნის ბიბლიოგრაფიის არსისა თუ სოციალურ დანიშნულებას და ჩერდება მხოლოდ მის ფორმალურ, გარეგან მხარეზე, არა თუ არ შეუძლია სწორი ორიენტაცია მისცეს მეცნიერს ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობაზე მეცნიერულ მუშაობაში, არამედ (როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე) შეუძლია მისი ჩამოშორება ადამიანთა ცოდნის ამ მეტად საჭირო და სასარგებლო დარგიდან.

მართლაც, ბიბლიოგრაფია გვევლინება ბეჭდურ ნაწარმოებთა (ხოლ ზოგჯერ ხელნაწერი მასალების) სიების, ნუსხების, კატალოგების სახით. მაგრამ მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ასახავს კაცობრიობის და ეროვნული კულტურის ჩატარებულ სიმდიდრეს, რაც გამოსახულია წიგნების, სტატიების, ატლასების, ნოტების, გრაფიკულ ხელოვნებათა ნაწარმოებების და სხვათა სახით. ზოგადი ბიბლიოგრაფია ასახავს (უფრო სწორად უნდა ასახავდეს) საკაცობრიო კულტურის ყველა ნაბეჭდ (და ხელნაწერ) ნაწარმოებთა ერთობლიობას, სპეციალური ბიბლიოგრაფია — საკაცობრიო კულტურის მიღწევებს ამა თუ იმ დარგში (მთლიანად ან ნაწილობრივ), მაგალითად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებაში, ფილოსოფიაში, მათემატიკაში, ისტორიაში, ტექნიკაში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებაში და ა. შ. ბიბლიოგრაფიული სიების, ნუსხების, კატალოგების უკან დგანან წიგნები და სტატიები, რომლებიც გამოხატავენ (ან პრეტენზიას აცხადებენ ასე თუ ისე გამოხატავდნენ) ადამიანთა ცოდნას ან ადამიანთა ფანტაზიის ნაყოფს (მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა და ა. შ.). ბიბლიოგრაფიული სიების, ნუსხების, კატალოგების უკან დგანან წიგნებისა და სტატიების ავტორები, დგანან სკოლები და მიმართულე-



ბები; მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კლასობრივი გულტურული მოღვაწეობის არა უბრალო ფოტოგრაფიულ-ობიექტური ასახვა, არამედ მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კლასობრივი ბრძოლის შედეგი და, ამავე დროს, ამ ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალება. თუ სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფია მეტად თუ ნაკლებად უახლოვდება „ყოვლის ამსახველ“ ბიბლიოგრაფიას, სპეციალური, განსაკუთრებით კი სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიები მიზნად ისახავენ მიაწყოლონ მკითხველებს ცნობები ამა თუ იმ აზრით ყველაზე ძვირფას შრომებზე ან და დააზღვიონ ისინი მოძველებული, მეცნიერულად არაკეთილსინდისიერად შესრულებული და პოლიტიკურად მავნე გამოცემებით სარგებლობისაგან.

ნათქვამიდან ნათელია, რომ ბიბლიოგრაფია არა მარტო ასახვს, არამედ მას დაპყავს მკითხველამდე ცნობები ამა თუ იმ მასალის არსებობის შესახებ, და არა მარტო დაპყავს, არამედ წინ სწევს და პროპაგანდას უწევს ძვირფას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, მეცნიერულ და მხატვრულ ლიტერატურას. ამრიგად, ბიბლიოგრაფიის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს კაცობრიობის, ხალხის, მეცნიერული ან ლიტერატურული კოლექტივების, ან ცალკეული პირების მიღწევათა აღრიცხვას, ანგარიშს და პროპაგანდას როგორც ფართოდ გაგებულ კულტურაში საერთოდ, ასევე მის ცალკეულ ნაწილებში.

#### 4

ბიბლიოგრაფიის ზემოთ მოცემული გაგება საშუალებას გვაძლევს ვუპასუხოთ ჩვენს მიერ აღრე დასმულ საკითხს: ბიბლიოგრაფიის აღილი ახალგაზრდა მეცნიერის მუშაობაში.

რამდენადაც მეცნიერ მუშავს საქმე აქვს საკაცობრიო კულტურის გარევაულ დარგთან, ე. ი. მეცნიერების იმ დარგთან, რომლის სფეროშიც ის მუშაობს, თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე მის წინაშე წამოჭრილ კითხვებზე პასუხი შეუძლია მიიღოს (და უნდა ეძიოს კიდეც) სწორედ ცოდნის ამ დარგის შემცველ სპეციალურ ბიბლიოგრაფიაში. სპეციალურ ბიბლიოგრაფიაში მეცნიერი პოულობს ცნობებს იმ შრომებზე, რომლებიც შეიქმნა წარსულში მის მიერ შესასწავლი მეცნიერების დარგის განვითარების პროცესში, აგრეთვე განმაზოგადებელ და კერძო ხასიათის შრომებზე მოცე-

შული დარგის ისტორიაში, ამ დარგის გამოჩენილი წარმომადგენლობის ბიოგრაფიებზე, ცალკეულ პრობლემებზე და ა. შ.

სპეციალურ ბიბლიოგრაფიაში მეცნიერ მუშაკს შეუძლია იპოვოს უახლესი ცნობები იმ დარგის მიღწევებზე და თანამედროვე დონეზე, რომელშიც ას მუშაობს, აგრეთვე მის გამოჩენილ მოღვაწეებზე. ბოლოს სპეციალურ ბიბლიოგრაფიაში მას შეუძლია გამოავლინოს ცნობები იმ შრომების შესახებ, რომლებიც მზადდება დასაბეჭდად ან იბეჭდება და რომელთა სათაურები ან ანოტაციები იძლევიან წარმოდგენას მეცნიერების ამ დარგის განვითარების ტენდენციებზე.

მაგრამ სპეციალური ბიბლიოგრაფია არსებობს არა მარტო ამათუ იმ მეცნიერ მუშაკის მშობლიურ ენაზე. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეცნიერს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს უცხოური, როგორც სახალხო-დემოკრატიული, ასევე ბურჟუაზიული მეცნიერების მიღწევები. თუ სამამულო სპეციალურ ლიტერატურაზე მას შეუძლია ცნობები (რა თქმა უნდა, არასრული ან შემთხვევითი) მიიღოს ბიბლიოგრაფიის დამარტინის გარეშე სამეცნიერო უურნალების წაყითხვის და უდიდეს სამეცნიერო ბიბლიოთეკებში ახალი წიგნების გამოფენების გადათვალიერების გზით, უცხოურ პერიოდულ თუ არაპერიოდულ გამოცემებზე (თავის სპეციალობაში) მას შეუძლია სრული წარმოდგენა იქონიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემატურად აღევნებს თვალყურს უცხოურ სპეციალურ ბიბლიოგრაფიას.

ამასთანავე, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მეცნიერ მუშაკს თავის შემოქმედებით მუშაობაში შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ სპეციალური ბიბლიოგრაფიით. საქმე იმაშია, რომ უახლესი ლიტერატურის შემცველი სპეციალური ბიბლიოგრაფიები უფრო იშვიათად გამოდიან, ვიდრე სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიები («книжная летопись», «летопись журнальных статей», «летопись рецензий», «летопись газетных статей» და ა. შ.), რომლებშიც მათი ხასიათისდა მიხედვით რეგისტრირებულია სისტემატური წესით საურნალო და საგაზეთო სტატიები და რეცენზიები სპეციალობის მიხედვით. მეცნიერ მუშაკმა მხედველობაში უნდა იქონიოს აგრეთვე ისეთი სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული გამოცემები, როგორიცაა: «Ежегодник книги СССР» და ყოველწლიური გამოცემები: «Библиография советской библиографии». ეს გამოცემები, განსაკუთრებით პირველი სამი მატიანე, საშუალებას აძლევენ მეცნიერს იცნობდეს

თავის სპეციალობაში ყველაზე უახლეს ბეჭდურ შრომებს. უპუშტესებები გასაგებია, რომ ნათქვამი ეხება უცხოურ სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიებსაც, რომლებიც ამჟამად გვაქვს ყველა დიდი საბჭოთა ბიბლიოთეკის სამეცნიერო-სამკითხველო დარბაზებში.

აქ უნდა დავაზღვიოთ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაქები ცოდნის ისეთი მნიშვნელოვანი წყაროს შეუფასებლობისაგან, როგორიცაა რეცენზიები სამეცნიერო ლიტერატურაზე (ასეთი მოვლენა ხშირად შეიმჩნევა მათს რიგებში) და მივაქციოთ მათი ყურადღება ბიბლიოგრაფიის (სამამულო და უცხოური) განსაკუთრებული სახის — რეცენზიების ბიბლიოგრაფიის არსებობაზე.

მართლაც, რეცენზია წარმოადგენს გამოსულ მეცნიერულ თუ ლიტერატურულ-მხატვრულ ნაშრომზე გამოხმაურების ყველაზე სწრაფ „ოპერატულ“ ფორმას. თუ რეცენზიას აქვს წმინდა საინფორმაციო ხასიათი, ე. ი. ერთადერთ მიზნად ისახავს გამშუქოს განსახილველი ნაშრომის შინაარსი, ჩვენ თვითონვე შეგვიძლია განვსაზღვროთ — ღირს თუ არა დავკარგოთ დრო ამ ნაშრომის სპეციალურად წასაკითხავად. თუ ჩვენს წინაშეა კრიტიკული ხასიათის რეცენზია, რომელშიც მეცნიერულადაა გაანალიზებული ავტორის თეორიული პოზიცია ან დაზუსტებულია მის მიერ გამოყენებული ფაქტობრივი მონაცემები, ასეთ რეცენზიას, ერთის მხრივ, მნიშვნელობა ენიჭება როგორც სარეცენზიო ნაშრომის დამატებას, მეორე მხრივ, ის შეიძლება ჩავთვალოთ როგორც განსახილველი საკითხისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ნიმუში. ძალიან ხშირად რეცენზიებს წერენ შესაბამისი დარგის გამოჩენილი სპეციალისტები. ზოგჯერ, როცა ასეთ რეცენზენტებს უდრობდნენ გამოშესაძლებლობა არა აქვთ გამოვიდნენ პრესაში დიდი, „გაშლილი“ შრომებით სარეცენზიო ნაშრომის თემაზე, თავიანთ გამოხმაურებებში მოკლედ გამოთქვამენ საკუთარ აზრებს მოცემულ საკითხზე, მოაქვთ კონკრენზიების გაცნობა; ეს თავისებური სკოლაა წაკითხული ლიტერატურატურას. ამიტომ ძალიან ხშირად დიდი სპეციალისტების რეცენზიები იქცევიან ხოლმე მეცნიერების მნიშვნელოვან ფაქტებად. სავსებით გაასაგებია, რომ ახალგაზრდა მეცნიერისათვის მეტად საჭიროა ასეთი რეცენზიების გაცნობა; ეს თავისებური სკოლაა წაკითხული ლიტერატურისადმი დამოუკიდებელი კრიტიკული მიდგომის გამომუშავებისათვის.

ბიბლიოგრაფიის ზემოთ დახასიათებული სახეები ძირითადად განკუთვნებიან სარეგისტრაციო, მიმდინარე ბიბლიოგრაფიებს, რომლებიც მკითხველებს აცნობენ ახლად გამოცემულ შრომებს. მეცნიერს კი ხშირად — სპეციალობის მიხედვით, მაგალითად, ისტორიკოსს უმეტესად —

საქმე აქვს წარსულის მასალებთან, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია ჯერ კიდევ სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიის შექმნამდე. აქედან შემთხვევაში გვეხმარება ე. წ. რეტროსპექტული (წარსულისაკენ მიმართული) ბიბლიოგრაფია. ვინაიდან ბიბლიოგრაფიის ეს სახეც იყოფა ზოგად და სპეციალურ რეტროსპექტულ ბიბლიოგრაფიებად, მეცნიერი მუშაკი უნდა იცნობდეს ერთსაც და მეორესაც.

რეტროსპექტულ ბიბლიოგრაფიას უმეტესად მიმართავენ მეცნიერების ისტორიის შესწავლისას. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ საკითხზე არსებულ ძელ ლიტერატურაში პოულობენ პასუხებს თანამედროვე მეცნიერულ პრობლემებზე და მითითებებს მეცნიერების შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. ამიტომ მეცნიერი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ თანამედროვე სარეგისტრაციო (ზოგადი და სპეციალური) ბიბლიოგრაფიის გამოყენებით. რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიის კარგად გაცნობა მეტად საჭიროა, მაშასადამე აუცილებელიც.

ბოლოს, ახალგაზრდა მეცნიერი მაშინაა ნამდვილად მომზადებული დამოუკიდებელი მეცნიერული შუშაობისათვის, როცა ის არა მარტო იცნობს მეცნიერების თავისი დარგის წარსულსა და აწმოს, არამედ ასე თუ ისე წინასწარ განვერეტს მის განვითარებას უახლოეს მომავალში, რაც ჯერ კიდევ მკრთალად გამოიყერება. ეს, რა თქმა უნდა, მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე რთული და ძნელი ნაწილია, არა ერთნაირად მისაღწევი ყველასათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა დამწყებ მეცნიერთათვის. მაგრამ ყველა მეცნიერმა უნდა გაუწიოს ამას ანგარიში და გაითვალისწინოს იმის აუცილებლობა, რომ საჭიროა სწრაფვა ამ პრობლემის დაუფლებისაკენ. ამ მიმართებით გარკვეული — თუმცა არც მაინცდამაინც მნიშვნელოვანი — დახმარების გაწევა შეუძლია მეცნიერისათვის პერსპექტიულ ბიბლიოგრაფიას, რომელიც უკანასკნელ დროს სულ უფრო და უფრო ვითარდება, და რომელშიც ლაპარაკია გამოსაცემად გათვალისწინებული ან უკვე გამოცემის პროცესში შეიქმნა შრომების შესახებ. თუმცა ეს შრომები იწერებიან ან იბეჭდებიან ამჟამად, ამ მომენტში და, მაშასადამე, წარმოადგენენ თანამედროვე მეცნიერების ნაწილს, მაგრამ დაიბეჭდებიან თუ არა რამდენიმე სწავლის შემდეგ, მოგვევლინებიან როგორც ხვალინდელი დღის მეცნიერების ნაწილი. ამიტომ პერსპექტიული ბიბლიოგრაფიის გაცნობა თითქოს კარს გვიღებს მეცნიერების მომავალში, ორიენტაციას გვაძლევს მისი განვითარების შესაძლო გზებზე.

ამგვარად, ბიბლიოგრაფია საშუალებას აძლევს ახლადგამოცემა  
მეცნიერს დამოუკიდებლად ათვისოს მეცნიერების იმ დარგში რა უცხო  
სული, აწყო და მომავალი, რომელიც შეაღენს მისი კვლევის სა-  
განს. სწორედ ეს განსაზღვრავს ბიბლიოგრაფიის აღგილს ახალ-  
გაზრდა მეცნიერის მუშაობაში.

## 5

შეიძლება თუ არა ნათქვამიდან გავაკეთოთ დასკვნა, რომ მხცო-  
ვანი მეცნიერის მუშაობაში ბიბლიოგრაფიას არ უკავია ასეთი ადგი-  
ლი, ან სრულებით არ ჭირდება ის მას. ჩა თქმა უნდა, არა. მხცო-  
ვანი მეცნიერისთვისაც, — თუ ის ნამდვილად განაგრძობს მეცნიერად  
ყოფნას, ე. ი. შემოქმედებითად მუშაობს, ხელს უწყობს მეცნიერე-  
ბის შემდგომ წინსვლას, — ბიბლიოგრაფიით სარგებლობა მისი მოლ-  
გაწეობის აუცილებელი პირობა; ბიბლიოგრაფიის წყალობით მას  
შესაძლებლობა ეძლევა თვალყური ადევნოს მეცნიერების განვითა-  
რებას, დაიზღვიოს თავი ჩამორჩენისაგან, ერთ წერტილზე გაყინვი-  
საგან, რაც მოასწავებს როგორც ცალკეული მეცნიერ მუშაკების,  
ასევე მთლიანად მეცნიერების დალუბვას. ამიტომ ბიბლიოგრაფიის  
მომწიფებული, მხცოვანი მეცნიერისათვის, გარკვეული აზრით, რამ-  
დენამდე სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიღრე ახალგაზრდა, დამწყებ  
მეცნიერთათვის.

როგორც ეროვნულ ჩარჩოებში მოქცეული მეცნიერების, ისე  
ცალკეულ მეცნიერ მუშაქთა (სულ ერთია ახალგაზრდის, თუ ხან-  
დაზმულის) განვითარებისათვის ყველაზე საშიშია ქედმაღლური, აბუ-  
ჩად ამგდები დამოკიდებულება სხვისი მიღწევებისადმი, სხვისი მოლ-  
გაწეობისადმი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მეცნიერება კულტურის  
ნაწილია, ხოლო კულტურა იქმნება არა ერთი პიროვნების, არამედ  
კოლექტივის, ხალხის, კაცობრიობის მიერ, მეცნიერებაში არის-  
ტოკრატიულ ან ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტურ პოზიციას, მის  
განვითარებაში მხოლოდ საკუთარი როლის აღიარებას და სხვისის  
უარყოფას გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს მეცნიერებისათვის.  
საბჭოთა მეცნიერისათვის, როგორც ახალგაზრდისათვის, ისე მხცო-  
ვანისათვის. უცხოა ასეთი პოზიცია. თუ გვისურს ჩვენი მეცნიერე-  
ბის განვითარება და მისი წინსვლისათვის ხელშეწყობა, კი არუნდა  
დავუპირისპიროთ ჩვენი მოლვაწეობა სხვა მეცნიერ მუშაქთა მოლვა-  
წეობას, კი არ უნდა უგულვებელვყოთ მათი ნამოლვაწარი და ჩავ-



თვალოთ ჩვენი თავი „მეცნიერების ყველა საიდუმლოებათა“ მფლო-  
ბელად, არამედ სისტემატურად და მთელი ენერგიით უნდა ვისწვდომოვა  
ლოთ სხვის გამოცდილებაზე.

რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საბჭოთა მეც-  
ნიერმა უხმოდ უნდა აუაროს გვერდი კლასობრივად მავნე მეცნიე-  
რებას, რომელიც მიზნად ისახავს ზიანი მიაყენოს ჩვენს ხალხს, ჩვენს  
კომუნისტურ მშენებლობას. ასეთ მეცნიერებას მთელი ძალით უნდა  
ვებრძოლოთ. მაგრამ თუ ამ ბრძოლისას შეგვიძლია ჩვენთვის სასარ-  
გებლო რაიმე ვისწავლოთ, არ უნდა გავუშვათ ასეთი შესაძლებ-  
ლობა.

მეცნიერს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, უნდა ახსოვდეს, რომ  
ადრეული ხანის ეკროპელ მწერლებს ბიბლიოგრაფიის ემბლემად  
ჰქონდათ ოქროს გასაღები, რომლის განსაზღვრება ლათინურად  
შემდეგნაირად უდერდა: «omnium scientiarum clavis» („ყოველ-  
გვარი ცოდნის გასაღები“)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> უფრო დაწერილებით ამ შესავალი წერილის თემა ჩვენს მიერ დამუშავებულია  
სტატიაში: «Библиография и научная работа» (сб. Труды Государственной Пуб-  
личной библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина, вып. III. (6). Л., 1957).

## შ ე ს ა გ ა ლ ი

**ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა სამეცნიერო მუშაობაში**

წიგნის ბეჭდვის დაწყების დროიდან გამოსული წიგნების, უურნალებისა და გაზეთების რაოდენობა განსაკუთრებით დიდია. არასრული ცნობებით მთელ მსოფლიოში დაბეჭდილია 50 მილიონზე მეტი სახელშოდების წიგნი. მარტო იმ წიგნების ყოველწლიური მატება, რომელთა მოცულობა არა ნაკლებ 49 გვერდია, მეოთხედ მილიონ სახელშოდებას შეაღენს (1956 წლის მონაცემებით). დამახასიათებელია ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ საგამომცემლო მოღვაწეობას საბჭოთა კავშირში. თუ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე წიგნის ბეჭდვის სამნახევარი საუკუნის ისტორიის მანძილზე რუსეთში გამოცემულ იქნა დაახლოებით 940 ათასი სახელშოდების წიგნი, 1918—1957 წწ. გამოვიდა 1,3 მილიონზე მეტი სახელშოდებისა. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად გამოდის დაახლოებით 60 ათასი სახელშოდების წიგნი და ბროშურა, 7,5 ათასზე მეტი სახელშოდების გაზეთი და 2,5 ათასი სხვა სახის პერიოდული გამოცემა.

ამიტომ სრულფასოვანი და მაღალხარისხოვანი შეცნიერული ნაშრომის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა — შეგწევდეს უნარი სწრაფად მოძებნო საჭირო ლიტერატურა. მაგრამ ბევრ შეცნიერ მუშაქ არ გააჩნია საჭირო ცოდნა და, არა აქვს რა გამომუშავებული წყაროებზე მუშაობის ჩევევა, უამრავ ძვირფას დროს კარგავს ლიტერატურის უსისტემო ძებნაში, ზოგჯერ კი მხედველობის არედან ჩემბა მნიშვნელოვანი მასალა და ჩერდება მეორეხარისხოვანზე. მაშინ, როცა წარმოებაში იბრძვიან წუთებისა და წამებისათვის, სამეცნიერო მუშაობაში ხშირად მრავალი საათი, კვირა და თვე იყარგება საჭირო ლიტერატურის უნაყოფო ძებნაში. ამის შედეგია, რომ მეცნიერებასა და ტექნიკაში ჩივ შემთხვევებში იყენებენ ჩამორჩენილ მეთო-

დებს, ზოგჯერ მუშაობა მიმდინარეობს უკვე გადაწყვეტილ საკითხებზე, ხოლო სარეგისტრაციოდ გაგზავნილ გამოგონებათა შფრიცენია გვხვდება ისეთებიც, რომლებიც უკვე დანერგილია პრაქტიკაში და ასახულია ლიტერატურაში.

საცხებით შესაძლებელია გადალახულ იქნას ის სიძნელეები, რა-  
საც ხვდება ყოველი სპეციალისტი მისთვის საინტერესო საკითხზე  
ლიტერატურის შერჩევის დროს. ამისათვის საჭიროა შევითვი-  
სოთ ბიბლიოგრაფიული ცოდნის საფუძვლები — გავეცნოთ უმნიშვ-  
ნელოვანეს ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს, მათი გამოყენების თავი-  
სებურებებს, ბეჭდური ნაწარმოებების მოქებისა და შერჩევის, აღ-  
წერისა და სისტემატიზაციის მეთოდებს. ბიბლიოგრაფიული მუშაო-  
ბის მეთოდიების დაუფლება არა მარტო ამცირებს ამა თუ იმ საკითხზე  
ლიტერატურის ქცნისათვის საჭირო დროს, არამედ ამაღლებს მეც-  
ნიერული კვლევის ხარისხს. ბიბლიოგრაფიის მეოხებით ვგებულობთ  
რამდენადაა დამუშავებული ჩვენს მიერ არჩეული თემა და მიზან-  
შეწონილია თუ არა მისი შემდგომი შესწავლა. ბიბლიოგრაფიის<sup>1</sup> სა-  
შუალებით შეიძლება აგრეთვე გამოვლენილ იქნას ქტუალური და  
ნაკლებად დამუშავებული თემები, რომლებიც განსაკუთრებულ უუ-  
რადლებას იმსახურებენ. ბიბლიოგრაფიის ცოდნა შესაძლებლობას  
გვაძლევს სისტემატურად გავეცნოთ იმ ლიტერატურას, რომელშიც  
გაშუქებულია უკანასკნელი მიღწევები მეცნიერებისა და ტექნიკის  
სხვადასხვა დარგში.

ამ მხრივ ჩვენთვის მაგალითის მომცემია ვლადიმერ ილიას ქე-  
ლენინი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ბიბლიოგრაფიას. თა-  
ვის მეცნიერულ და პოლიტიკურ მოღვაწეობაში ის ფართოდ სარგებ-  
ლობდა სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული წყაროებით. გადასახლებასა და  
ემიგრაციაშიც კი ლენინი მახლობლებისადმი გაგზავნილ წერილებში  
არაერთხელ ითხოვდა გაეგზავნათ მისთვის ბიბლიოგრაფიული საძი-  
ებლები გამოსული ლიტერატურის გასაცნობად<sup>2</sup>.

შემონახულია «Книжная летопись»-ის (ბიბლიოგრაფიული უუ-  
ნალია, რომელიც ინფორმაციას იძლეოდა ახალ წიგნებზე) 1917—  
1919 წწ. კომპლექტი ვ. ი. ლენინის პირადი ჩანანიშნებით იმ წიგნების

<sup>2</sup> В. И. Ленин, Письма к родным. 1893—1922, Сочинения, Изд. 4-е, т. 37,  
стр. 49, 65, 67, 125. Ленинский сборник 31, стр. 423, 435. Ленинский сборник 32,  
стр. 38.

<sup>1</sup> 2. ი. კირპიჩევა.



სახელშოდებათა გვერდით, რომლებმაც დააინტერესეს იგი<sup>3</sup>. „ლენინის კრებულებში“ გამოქვეყნებული მასალებიც ასახავენ ვ. ალექსანდრის დიდ ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, რაც მისი შემოქმედებითი შრომის აზეულებელი ნაწილი იყო<sup>4</sup>.

3. о. лъбенинъс миеръ Шефчевънилъс захранъсъмъсъ бъдлъонграғағъса<sup>5</sup> წаҳмъонадъгъенъсъ бъдлъонграғағоиуълъо муршъонъдъисъ პარტіоиуლъонъдъисъ да мур-  
ნејръулъонъдъисъ бърѣзъинъваля ნიმუშъ. 3. о. лъбенинъсъ რეცеნზиаში 6. რუ-  
ბағинънъсъ бъдлъонграғағоиуълъ садогъბърълъє «Среди книгъ»<sup>6</sup> ჩამოყალიბე-  
ბълъна უმნიშვნელъонъгаанъсъ მოთხოვნებъ бъдлъонграғағъисъ მიმართ.

ბიბლიოგრაფიას დიდად აფასებდნენ უდიდესი მეცნიერები და მწერლები. ბიბლიოგრაფიულ მუშაობას მისდევდნენ ღიღი ჩუსი რევოლუციონერ-დემოკრატები: ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. ლობროლიშვილი<sup>7</sup>. აქადემიკოსი ს. ვავილოვი ორაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ბიბლიოგრაფია გვაძლევს საშუალებას გავრცელეთ წიგნის სიმდიდრეში, რამდენადაც „თანამედროვე ადამიანი ბიბლიოთეკების პიმალაების წინაშე ოქროს იმ მაძიებლის მდგომარეობაში იმყოფება, რომელმაც ოქროს მარცვალი უნდა გამოარჩიოს უძრავ ქვიშაში“<sup>8</sup>. ხელმძღვანელობდა რა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტს, ს. ვავილოვი დიდ ყურადღებას აქცევდა ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, აღწევდა მასში ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა უშუალოდ ჩაბმას. აკადემიკოსმა ა. კარპინსკიმ პირადად შეადგინა ლიტერატურის საძიებელი პეტროვგრაფიაში, ხოლო აკადემიკოსმა ვ. კომაროვმა —

<sup>3</sup> В. Бонч-Бруевич, Пометки Ленина на «Книжной летописи» 1917, 1918 и 1919 гг. «Литературное наследство», № 7—8, 1933, стр. 367—406.

<sup>4</sup> С. Сутоцкий, Великий пример, «Техническая книга», 1941, № 1, стр. 3—8; Эйхенгольц А. Д., Ленин и библиография, В кн.: Труды Моск. гос. библиотечного ин-та, Вып. 2. М., 1939, стр. 5—21.

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი, კარლ მარქსი (მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გადმოცემითურთ). თხ. მე-4 გამოცემა, ტ. 21, გვ. 35—97, «ლიტერატურა», გვ. 86—97.

<sup>6</sup> ვ. ი. ლე ბი ნი, რეცეპტის 6. რუბაյინის წიგნებ «Среди книг», т. 2...ობს., №-4 გამოცემა, გ. 20, გვ. 309—312.

<sup>7</sup> Н. В. Здобнов, История русской библиографии до начала XX века. Под ред. Б. С. Боднарского. Изд. 3-е. М., Госкультпросвещдат, 1955, стр. 234—245, 304—327.

<sup>8</sup> С. И. Вавилов, Несколько замечаний о книгах. «Советская книга», 1947, № 1, стр. 15.

შორეული აღმოსავლეთის ფლორის შესახებ არსებული ლიტერატურული რის ბიბლიოგრაფია. მრავალი უძინოფასესი ბიბლიოგრაფიული ტორია აკადემიკოსი ვ. ობრუჩევი.

ასეთი ფაქტების რიცხვი შეიძლებოდა მნიშვნელოვნად გაგვეზრდა, მაგრამ მოტანილი მაგალითებიც საკმაოდ ნათლად ამტკიცებენ ბიბლიოგრაფიული წყაროების დამოუკიდებელი გამოყენების აუცილებლობას შემოქმედებით მუშაობაში, ყოველი ავტორის მიერ თავისი მეცნიერული კვლევისათვის ბიბლიოგრაფიის დამოუკიდებლად შედგენის მიზანშეწონილობას.

### ბიბლიოგრაფიული წყაროების სახეები

ამჟამად ყოველწლიურად ასიათასობით ბიბლიოგრაფიული საძიებელი ქვეყნდება. ისე მაგალითად, მარტო 1955 წელს მარტოოდენ საბჭოთა კავშირში წიგნისა თუ ბროშურის სახით გამოცემულ იქნა ათასზე მეტი ბიბლიოგრაფიული საძიებელი, გამოდიოდა 130-ზე მეტი ბიბლიოგრაფიული ჟურნალი და ბიულეტენი, ხოლო ასობით პერიოდული გამოცემის ფურცლებზე ქვეყნდებოდა ბიბლიოგრაფიული წარსითის მასალები; გარდა ამისა, რამდენიმე ათას წიგნსა და სტატიაში მოთავსებული იყო ე. წ. წიგნთან დართული (წიგნისშიდა) და სტატიის ბოლოს დართული (სტატიისშიდა) ბიბლიოგრაფიები, ე. ს. წიგნისა თუ სტატიის, მათი ნაწილებისა თუ თავების ბოლოში ან კიდევ სქოლიოში დაბეჭდილი ლიტერატურის სიები. სსრ კავშირში 1955 წელს გამოცემენდებული უმთავრესი ბიბლიოგრაფიული მასალების შემცველი წიგნი მოცულობით 300 გვერდს აღემატება.

ბიბლიოგრაფიული წყაროები, გარდა პუბლიკაციის ფორმისა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი მიზნობრივი დანიშნულებითაც. ყოველ მათგანს ძირითადად ადგენენ ან მოცემულ თემაზე არსებული თუ დროის გარკვეულ მონაცემთში გამოსული ლიტერატურის აღრიცხვა-რეგისტრაციისათვის, ან ლიტერატურის შეფასებისათვის, ან კიდევ იდეურობის, მეცნიერულობის და მხატვრულობის თვალსაზრისით უკეთესი ნაწარმოებების შერჩევისა და პროპაგანდისათვის. ამასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან გამოყოფენ სააღრიცხვო-სარეგისტრაციო, კრიტიკულსა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიებს<sup>9</sup>.

<sup>9</sup> სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიების გამოყენების თავისებურებანი გაშუქებულია 64-72 გვერდებზე.

სააღმოცხვო-სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიის მაგალითებაზე შემუშავდება ჩაითვალოს საეურნალო სტატიების მატიანე («Летопись журнальных статей»), რომელიც ინფორმაციას იძლევა საბჭოთა ურნალების უკანასკნელ ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიებზე, ან-და სისხლის გადასხმის საკითხებზე 1871—1953 წლებში გამოქვეყნებული წიგნებისა და სტატიების საძიებელი<sup>10</sup>. კრიტიკულ ბიბლიოგრაფიას წარმოადგენს გაზეთებსა და ურნალებში გამოქვეყნებული რეცენზიები და ახალი წიგნების მიმოხილვები. სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიას განეკუთვნება, მაგალითად, სსრკ ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად გამოსული მხატვრულ-ისტორიული ლიტერატურის საძიებელი<sup>11</sup>, სამახსოვრო ო. მიჩურინზე — მისი შრომების პოპულარიზატორი<sup>12</sup> და ცოდნის სხვადასხვა დარგებისადმი მიძღვნილი დამხმარე ბიბლიოგრაფიული საძიებლის «Библиотека самообразования»-ს<sup>13</sup> ნაკვეთები, რომლებიც პროპაგანდას უწევენ მხოლოდ საუკეთესო ლიტერატურას.

სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიული საძიებლები შეიძლება იყოს ზოგადი (უნივერსალური, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ) ან დარგობრივი, იმისდა მიხედვით, ასახავენ ძინი ლიტერატურას ცოდნის ყველა დარგში, თუ მხოლოდ ერთში. ზოგად ბიბლიოგრაფიას განეკუთვნება, მაგალითად, «Книжная летопись» და სარეკომენდაციო «Каталог районной библиотеки»<sup>14</sup>, ხოლო დარგობრივს — «Советское медицинское реферативное обозрение» და რუსი გეოგრაფებისა და მოგზაურების შესახებ არსებული საუკეთესო ლიტერატურის საძიებელი<sup>15</sup>.

<sup>10</sup> Внутриартериальное переливание крови (1871—1953), Библиогр. указатель. Харьков, 1955, 48 стр. (Харьковская гос. науч.-мед. б-ка.)

<sup>11</sup> Художественно-историческая литература. Рекоменд. указатель в помощь изучающим историю СССР. Вып. I. VII в.—первая половина XIX в. М., 1955, 41 стр. (Гос. б-ка СССР им. В. И. Ленина. Гос. публ. историч. б-ка).

<sup>12</sup> В. В. Гиучева, Иван Владимирович Мичурин (1855—1935), Памятка читателю, Л., 1955, 27 стр. (Гос. Публ. б-ка им. М. Е. Салтыкова-Щедрина).

<sup>13</sup> Библиотека самообразования. Круг чтения. Вып. 1—5. М., Госкультпросветиздат, 1950—1954 (Гос. б-ка СССР им. В. И. Ленина).

<sup>14</sup> Каталог районной библиотеки. 2-е изд. Вып. 1—7. М., 1952—1955 (Госб-ка СССР им. В. И. Ленина).

15 Г. П. Богоявленский, Русские географы и путешественники. Рекоменд. указатель литературы. Вступит. статья и научн. консультация Д. М. Лебедева, М., 1955, 121 стр. (Гос. б-ка СССР им. В. И. Ленина).

ყოველი სახის ზოგადი და დარგობრივი ბიბლიოგრაფიული საძირებლები იყოფიან მიმღინარე და რეტროსპექტულ ბიბლიოგრაფიებათ.

ამგვარად, ბიბლიოგრაფიული გამოცემები, რომლებიც 1941—1945 წლების განმავლობაში ყოველ კვარტალში იძლეოდნენ ცნობრ-მაციას დიდი სამამულო ომის შესახებ გამოსულ ახალ ლიტერატურა-ზე, წარმოადგენენ მიმდინარე ბიბლიოგრაფიებს<sup>18</sup>, ხოლო ამ ოშეი

16 საქართველოში გამოსული რეტროსკეპტული ბიბლიოგრაფიან უპრეველ-  
სად ყოვლისა აღსანიშნავია საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მიერ გამო-  
ცემული „ქართული წიგნი“ სამ ტომას, რომელშიც ასახულია ქართულ ენაზე 1629 წლი-  
დან 1951 წლამდე გამოცემული წიგნები. სიყრისადგებო აგრძელები გიორგი ბაქრაძის  
„ქართული პერიოდის ბიბლიოგრაფია (1819—1945)“—მთარგმნელის შენიშვნა.

<sup>17</sup> Л. В. Зильберманн, Техника для всех. Рекоменд. указатель научно-популярной литературы, Л., 1955, 80 стр. (Гос. Публ. б-ка им. М. Е. Салтыкова-Щедрина).

<sup>18</sup> Великая Отечественная война. Указатель литературы (июль 1942—декабрь 1944 г.). Вып. 1—10. М., 1943—1946 (Гос. б-ка СССР им. В. И. Ленина).

საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვების შესახებ ცველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურის საძიებელი, გამოცემული 1955 წელს, წარმოადგენს რეტროსპექტულ ბიბლიოგრაფიულ წყაროს<sup>19</sup>.

ბიბლიოგრაფიულ საძიებლებში ცნობები ლიტერატურის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულია.

ცველა ბიბლიოგრაფიული საძიებელი შეიცავს მასში ასახული ლიტერატურის აღწერილობას, ე. ი. მიუთითებს ცნობებს, რომლებიც იძლევიან პირველ ძირითად წარმოდგენას ბეჭდურ ნაწარმოებზე, ასეთებია: ავტორის გვარი, ნაწარმოების სათაური, მისი გამოცემის ადგილი, დრო და ზოგიერთი სხვა მონაცემები მის შესახებ (იხ. გვერდები 72—91).

მთელ რიგ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებში აღწერილობას ემატება ანოტაცია, რომელშიც იხსნება ნაწარმოების შინაარსი, აღინიშნება მისი თავისებურებანი. ამასთანავე, ჩვეულებრივ, მიუთითებენ მკითხველთა რომელი კატეგორიისთვისაა განსაკუთრებით სასაჩვებლო მოცემული წიგნი თუ სტატია, რა მიზნებს ისახავდა მისი ავტორი. ცალკეულ შემთხვევებში კიდევ უფრო დიდ დამმარტინებულებიც აღვარდებანი მკითხველ-სპეციალისტებს ის დაწესებულებები, რომლებიც ადგენენ დარგობრივ მიმღინარე ბიბლიოგრაფიას, გადმოსცემენ რა ბიბლიოგრაფირებული შრომების ძირითად დებულებებს, ე. ი. ახდენენ მათ რეფერირებას. ამგვარად, თუ ანოტაცია მოვალეობის რაზე წერია ნაწარმოებში, მიუთითებს მის თემაზე, რეფერატი გვამცნობს მის შინაარსს. ამ ბიბლიოგრაფიულ დახასიათებებს შორის განსხვავების რეალუსტრაციას იძლევა შემდეგი შედარება (იხ. გვ. 23).

კრიტიკულ ბიბლიოგრაფიაში ბიბლიოგრაფიული დახასიათების თავისებურებას წარმოადგენს განსახილველი ნაწარმოებების მეტ-ნაკლებად ყოველმხრივი და სრული შეფასება. რამდენიმე ბეჭდური ნაშრომის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვისაგან განსხვავებით ცალკეული ბეჭდური ნაწარმოებების დახასიათებას რეცენზია ეწოდება.

ბიბლიოგრაფიული საძიებლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი სტრუქტურითაც. საბჭოთა ბიბლიოგრაფიისათვის ტიპიურია ასაწერი ლიტერატურის ლოგიკური თანმიმდევრობით განლაგებისადმი სწრაფვა. ამიტომ სამამულო ბიბლიოგრაფიული შრომების

<sup>19</sup> К. В. Синицына и Л. И. Сорокина, Победы советских вооруженных сил в Великой Отечественной войне 1941—1945 гг. Рекоменд. указатель литературы. М., 1955, 86 стр. (Гос. б-ка СССР им. В. И. Ленина).

საქურნალო სტატიის  
ბიბლიოგრაფიული  
აღწერილობა

ბიბლიოგრაფიული დახასიათებანი, რომელიც  
აცნობენ ამ აღწერილობას

ანოტაცია	ჩეფერატი	
<p>შენგელია ნოდარ ნესტორის ქე, ოსმა- ლური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილა- იეთის დიდი დავ- თრის მიხედვით. — თუ შრომები [ტ.] 91, აღმოსავლეთ- მცოდნეობის სკრია II. 1960, გვ. 277— 304.</p>	<p>ავტორი იკვლევს ოსმალური გადასახა- დებისა და საგადასა- ხალო სისტემის თა- ვისებურებებს მე-16 საუკუნის უკანასკნე- ლი მეოთხედის სა- მცხე-საათაბაგოში „გურჯისტანის ვილა- იეთის დიდი დავ- თრის“ მიხედვით</p>	<p>„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ წარმოადგენს უმნიშვნე- ლოვანეს წყაროს ოსმალური გა- დასახადებისა და საგადასახალო სისტემის შესასწავლად. მასში რე- გისტრირებულია ისეთი ოსმალუ- რი გადასახადები და ვალდებულე- ბანი, როგორიცაა: ისფენჯი — არა- მუსლიმიან ქართველ მოსახლეობა- ზე შეწერილი გადასახადი, ბენა- ქა — მუსლიმიანურ მოსახლეობაზე შეწერილი გადასახადი, დონუმის, ჩიფთისა და სანახევრო გამოსალე- ბი — მიწაზე დაწესებული გადა- სახადები, თაფუ — მეურნეობის გამართებისათვის დაწესებული გა- დასახადი, მურახისიე — საკომ- ლო გადასახადი, ჭიზიე — არა- მუსლიმიან მოსახლეობაზე გაწე- რილი სულადი გადასახადი, სა- ქორწინო, ცხვრის, ღორის გადა- სახადები, იალალებსა და ყიშლა- უებზე დაწესებული გადასახადები და სხვ.</p> <p>ოსმალური საგადასახალო სის- ტემის ერთ-ერთი დამახასიათებე- ლი თვისება ის არის, რომ „დავ- თრის“ მიხედვით ქრისტიანი გაცი- ლებით მეტს იხდის, ვიღრე მუს- ლიმანი. მუსლიმიანი გარკვეული საგადასახალო შეუვალობით სარ- გებლობს ქრისტიანთან შედა- რებით.</p>

უმრავლესობაში აღწერილობათა კლასიფიკაციის საფუძვლად აღებუ-  
ლია სისტემატიზაცია, ე. ი. ლიტერატურის განლაგება ცოდნის (მეც-  
ნიერებათა) დარგების, თემების, საკითხებისა და პრობლემების მი-  
ხედვით, ამა თუ იმ საკითხის თანდათანობით განვითარებაში ამსახვე-



ლი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებლებისათვის უდიშესმოზ-  
თებელია მასალის ქრონოლოგიური განლაგება ნაწარმოების დაწერის  
ან მისი გამოქვეყნების წლების მიხედვით. გეოგრაფიული ან სხვა სა-  
ხის სამხარეომცოდნეო ლიტერატურის საძიებლებში მიღებულია ბიბ-  
ლიოგრაფირებული მასალის გეოგრაფიული დაგილების სახელშოდე-  
ბათა მიხედვით განლაგება. განსხვავება ბიბლიოგრაფიულ საძიებ-  
ლებში ლიტერატურის განლაგების ძირითად მეთოდებს შორის მოცე-  
მულია ქვემოთ.

ଲିପ୍ତରୁକୁ ରାଶିରେ ସମ୍ଭାବନା ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କ ଦେଖି  
କାହାର ଦେଖିଲୁ କାହାର ଦେଖିଲୁ କାହାର ଦେଖିଲୁ

- I. მარქსიზმ-ლენინიზმი.

II. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

III. საკეთი ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი.

IV. საზოგადოებრივი მეცნიერებანი.

V. ფილოსოფია. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრებანი.

VI. ისტორია.

VII. ეკონომიკური მეცნიერებანი. პოლიტიკური ეკონომიკა.

VIII. საერთაშორისო ურთიერთობანი. საზოგადოებრივი მეცნიერების პოლიტიკური და ეკონომიკური მდგრადარება.

IX. სსრკ კომუნისტური შენებლობა.

X. დაგეგმვა. აღრიცხვა. მმართველობის ორგანიზაცია.

XI. ფინანსები.

XII. შრომა.

XIII. სახელმწიფო და სამართალი.

XIV. სამსახურის საქმე.

XV. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი.

XVI. ტექნიკა. მრეწველობა.

XVII. სოფლის მეურნეობა.

XVIII. ტრანსპორტი. სატრანსპორტო მანქანითმშენებლობა.

XIX. კავშირგაბმულობა.

XX. ვაჭრობა. დმიზადება. საზოგადოებრივი კვება.

XXI. კომუნალური საქმე. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

XXII. ჯანმრთელობის დაცვა. მედიცინა.

XXIII. ფინანსური კულტურა. სპორტი. თამაშობანი. გართობები.

XXIV. კულტურა. განათლება. მეცნიერება.

XXV. ენათმეცნიერება.

XXVI. ლიტერატურათმცოდნეობა. მხატვრული ლიტერატურა. ფოლკლორი.

XXVII. საბავშვო ლიტერატურა.

XXVIII. ხელოვნება.

XXIX. ათეიზმი. მეცნიერება და რელიგია. რელიგია.

XXX. ბეჭდევითი სიტყვა. წიგნომცოდნეობა. საბაბლიოთეკო საქმე. ბიბლიოგრაფია.

XXXI. ზოგადი ხასიათის ცნობარები. ენციკლოპედიები. კალენდრები. სხვადასხვა შინაარჩის კრებულები.

ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა  
 ლიტერატურისა საბიბლიოთეკო მებოსტნეობაზე<sup>20</sup>

ბოსტნეულის წარმოების ახალი აღმავლობისათვის

მებოსტნეობის ორგანიზაციისა და აგროტექნიკის ზოგადი საკითხები

მებოსტნეობის მექანიზაცია

მებოსტნეობა გაშლილ ველზე

ბოსტნეულის მოყვანა ქალაში და ნათესების კონცენტრაცია

განყოფილება და მორწყვა

კვადრატულ-ბუდობრივი დატვა

მებოსტნეობა საობსურებში

ჩითილების გამოყვანა ტორფ-ნეშომპალას ქოთნებში

ბოსტნეული კულტურების მეთესლეობა

ბოსტნეულის საწელიშვილ მოყვანა

ბოსტნეული კულტურების დაცვა დაავადებებისა უა მავნებლებისაგან.

ცალკეული ბოსტნეული კულტურების აგროტექნიკა

კომბოსტო

კიტრი

ტომატი

ხახვი

სუფრის ძირნაყოფები

ა ღ წ ე რ ი ლ თ ბ ა თ ა ქ რ თ ნ თ ლ თ გ ი უ რ ი გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა

(კორნელი კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფიიდან) <sup>21</sup>

1905

ახალი საგალობლები აბო თბილელისა.—«მწყემსი», 1905, № 13—14.

1906

Литургическая справка по вопросу об автокефалии грузинской церкви.—Дух.  
вест. груз. экз. 1906, № 9—10, с. 3—9.

<sup>20</sup> В. В. Гнучева, Овощеводство, Рекоменд. Указатель литературы. Изд. 2-е, Л., 1956, 32 стр. (Гос. Публ. б-ка им. М. Е. Салтыкова-Щедрина).

<sup>21</sup> ა. კ ა ს რ ა ბ ე, კ. კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფია. წიგნში: საოცნელე  
კრებული. საქ. მეცნ. აკად. აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის პროფ.  
კორნელი სამსონის ძე კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად, თბ.,  
სტალინის სახ. თსუ გამ-ბა, 1959, გვ. 453—490.

К вопросу о важности и своевременности научной разработки памятников древней грузинской церковной, в частности литургической, письменности.—Тр. киевской дух. акад., 1908, ноябрь, с. 1—9.

Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифл., 1908, с: XXXI, 515, XIII (სამაგისტრო დისერტაცია)

1912

Иерусалимский Канонарь VII века. Грузинская версия. Т., 1912, с. VII, 346.

1923

ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. ძველი მწერლობა. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1923, 695 გვ. დანართი: საკუთარ სახელთა საძიებელი გვ. 665—689 შედგენილი გ. ჯაკობას მიერ.

გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ი ს

განცოდილებები და ზოგიერთი ქვეგანცოდილება 1955 წლის

«Картографическая летопись»-ში

მსოფლიოს რუკები  
ქვეყნის (მსოფლიოს) ნაწილების რუკები  
არქტიკის რუკები  
ანტარქტიკის რუკები  
ოკეანეებისა და ზღვების რუკები  
ცალკეულ სახელმწიფოთა რუკები  
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კაშმირი (მთლიანად)  
სსრკ ევროპული ნაწილი (მთლიანად)  
სსრკ ევროპული ნაწილის ცალკეული ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები  
სსრკ აზიური ნაწილის ცალკეული ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები  
მოკავშირე რესპუბლიკები  
საზღვარგარეთის სახელმწიფოები

ზოგჯერ ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებში (საძიებლებში) აღწერილობანი განლაგებულია იმ საგნების, საკითხების და კონკრეტული ცნებების ანბანის მიხედვით, რომელთა შესახებ ლაპარაკია ბიბლიოგრაფირებულ ნაწარმოებებში. ასეთ განლაგებას საგნობრივი ანუ ანბანურ-საგნობრივი განლაგება ეწოდება. ამ მხრივ დამახასიათებელია 1872 წელს გამოცემული «Указатель русской литературы по математике, чистым и прикладным естественным наукам и ме-

дицине»<sup>22</sup>. მასში სტატიას, ისეთი საბეჭდი მანქანის გამოვლების შესახებ, რომელიც არ საჭიროებს ასოების აწყობას (საგნობრიობის მაჩვენებელი რუბრიკა «Печатная машина»), მოსდევს აღწერილობანი შრომებისა ღვიძლის ავადმყოფობათა და მუზრნალობის შესახებ (რუბრიკა «Печенья»), ლუდის გამოხდის წესების შესახებ (რუბრიკა «Пивоварение»), ახალი ნიმუშის პინცეტის შესახებ (რუბრიკა «Пинцет»), პიროქსილინის ქარხანაში აფეთქებათა და ბამბის დენთის გამოყენების შესახებ (რუბრიკა «Пироксилин»), ქალალდის ფაბრიკებში ჩვარეულის გასუფთავების შესახებ (რუბრიკა «Писчебумажные фабрики»), ხელოვნური კვების შესახებ (რუბრიკა «Питание»), საჭმლის მომნელებელი ორგანოების გამოკვლევის შესახებ (რუბრიკა «Пищеварительные органы») და ა. შ.

ბევრ საზღვარგარეთულ ბიბლიოგრაფიაში, მეტწილად მერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებში, იყენებენ მასალის კ. ჭ. ლექსიკონურ — ავტორების, სათაურებისა და საგნების საერთო ანბაზში განლაგებას. ასეთი განლაგებისას ყოველი ბეჭდური ნაწარმოების აღწერილობას იძლევიან სამჯერ: ავტორის გვარზე, საგანზე, რომელსაც ეძღვნება აღწერილობა და ხშირ შემთხვევაში სათაურის პირველ სიტყვაზე. ასე მაგალითად, ამერიკულ «Cumulative book index»-ში კრებულის «Flash builds and their characteristics» აღწერილობა მოცემულია როგორც რედაქტორ-შემდგენლის ფ. ჯონსონის (Ph. Johnson) გვარზე (სრულად), ასევე საგნობრიობის მაჩვენებელ რუბრიკას «Photography, flashlight» (ფოტოგრაფია, სინათლის აფეთქება) და სათაურზე (შემთხვევად).

არის ისეთი ბიბლიოგრაფიული საძეგვებლიც, რომელმშიც მა-  
სალა განლაგებულია ანბანზე ავტორების გვარების და იმ ნაწარმო-  
ქბთა სათაორების მიხედვით, რომელთა ავტორები ნაჩვენები არაა.

საბჭოთა ბიბლიოგრაფიაში ლიტერატურის მსგავს განლაგებას ჩვეულებრივ მიმართავენ მხოლოდ როგორც დამხმარე საშუალებას. ასე მაგალითად, სისტემატური კატალოგის გამყოფებას და ქვეგამყოფებს შიგნით ლიტერატურის აღწერილობას ხშირად ათავსებენ ავტორების და იმ ნაწარმოებთა ანბანის მიხედვით, რომელთა ავტორე-

<sup>22</sup> Указатель русской литературы по математике, чистым и прикладным естественным наукам. Год 1—20, 1872—1891, Серия 2—3, Т. 1—8. 1899—1906. Под ред. Н. А. Бунге (1872—1889) и В. К. Совинского (1890—1906). Киев, Киевское О-во естествоиспытателей. 1873—1894; 1901—1913.

ბი უცნობია. ასეთი თანმიმდევრობა შენარჩუნებულია „დაზგუდული საძიებლებშიც“ ანუ „გასაღებებში“ დამატებითი ცნობების მიღების გააღვილების მიზნით. მაგალითად, ბიბლიოგრაფიას მასალის სისტემატური განლაგებით თან ერთვის ავტორთა გვარების ანბანური სია, რომელიც მიუთითებს ერთი მწერლის (ე. ი. ავტორის) ყველა ნაწარმოებზე, მიუხედავად იმისა, რომელ გამყოფშია ისინი აღწერილი, ან კიდევ საგნობრივი, უფრო ზუსტად — ანბანურ-საგნობრივი დამხმარე საძიებელი. ყოველ დამხმარე საძიებელში სახელობით, საგნობრივი და სხვა რუბრიკების შემდეგ ჩამოთვლილია რიგითი ნომრები, რომელთა მიხედვითაცაა განლაგებული ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოს ძირითად ტექსტში მოცემული ავტორების ნაწარმოებთა თუ მოცემული საკითხებისადმი მიღვნილი შრომების აღწერილობანი. ზოგჯერ რიგითი ნომრების ნაცვლად მითითებულია ის გვერდები, რომლებზეც მოცემულია შესაბამისი აღწერილობანი.

მასალის განლაგება დამხმარე ანბანურ საძიებელში

სახელების ა <sup>23</sup>	საგნების ა <sup>24</sup>
ფირცხალაიშვილი ალ. 1193, 1263,	სახელმწიფოზე მოძღვრება 5232, 5309
ფიხტე (მასზე) 1757	სენ-სიმონიზმი 1577
ფოცხიშვილი მ. 2855—2857	სერბიული ლიტერატურა 4771
ფრაილიგრატი ფ. 3002	სენური ენ 300, 3959, 5176
ფრანგიშვილი ალ. 1816, 1817	სიზმრის ახსნა (ხალხური) ნ. მეითხოვა
ფრანსი ა. (მასზე) 3008	სიმინდი 2325, 3791, 4643, 4842
ფუთურიძე რ. 1320	სინდიკალიზმი 3225
ფურცელაძე ნ. 2434, 3026	სისხლის სამართალი 398, 539, 2601

ბიბლიოგრაფიული საქმე საჭიროა კავშირში და უცხოეთში

მრავალნაირი ბიბლიოგრაფიული საძიებლების წარმატებით გამოყენებისათვის საჭიროა წარმოდგენა ვიქიპედიით ჩვენს ქვეყანაში ბიბლიოგრაფიული საქმის ორგანიზაციაზე, აგრეთვე პრინციპულ გან-

<sup>23</sup> ა. კასრაძე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემითა ბიბლიოგრაფია 1919—1960, თბ., თსუ გამ-ბა, 1961, 407 გვ.

<sup>24</sup> ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტომი პირველი, 1629—1920. თბილისი, წიგნის პალატის გამ-ბა, 1941, 556 გვ.

სხვავებაზე საბჭოთა და კაპიტალისტური ქვეყნების ბიბლიოგრაფიის ცალისა შორის.

საბჭოთა ბიბლიოგრაფიის პრინციპები განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებით იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, ვ. ი. ლენინის მოძღვრებით სოციალისტური კულტურის, კულტურული რევოლუციის, მშრომელთა მასების კომუნისტურად აღზრდის შესახებ. საბჭოთა ბიბლიოგრაფია გამოიჩინება მაღალი კომუნისტური იდეურობით. ის წარმოადგენს მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდის, მოწინავე საწარმოთა გამოცდილების განზოგადების ერთ-ერთ სერიოზულ იარაღთაგანს; ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების არსებით საშუალებას. ასეთსავე ამოცანებს წყვეტს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბიბლიოგრაფიაც.

კაპიტალისტური ქვეყნების ბიბლიოგრაფია შეიცავს ძვირფას ინფორმაციას სამეცნიერო ლიტერატურაზე. ამასთანავე ის აქტიურ პროპაგანდას უწევს იმპერიალისტური იდეოლოგიის გამომხატველ ლიტერატურას. ეს პრინციპული თავისებურება მოითხოვს ღრმა კრიტიკულ მიდგომას კაპიტალისტური სახელმწიფოების გაბატონებული კლასების მიერ გამოცემული ბიბლიოგრაფიული შრომებისადმი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბიბლიოგრაფიას და დაუღალვად ზრუნავენ ბიბლიოგრაფიული მუშაობის განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირში შექმნილია სისტემა დაწესებულებებისა, რომლებიც აღგენენ და უშევებენ სხვადასხვა სახის დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებს. ეს ბიბლიოგრაფიული გამოცემები, გარდა იმისა, რომ დამარტინებას უწევენ სხვადასხვა კატეგორიის მკითხველებს, ხელს უწყობენ სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგების ზრდა-განვითარებას.

ფართო ინფორმაციას ახალ ლიტერატურაზე ცოდნის ყველა დარგში ცენტრისა და ადგილებზე ახორციელებენ წიგნის პალატები, რომლებიც მოწოდებული არიან ცხოვრებაში გაატარონ ვ. ი. ლენინის მიერ ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის პერიოდში — 1920 წლის 30 ივნისს

ხელმოწერილი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი<sup>25</sup>. ვიზუალური

მოსკოვში არსებული საკავშირო წიგნის პალატა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ბიბლიოგრაფიული დაწესებულებაა. ის ჩვენი ქვეყნის ყველა სტამბიდან უფასოდ იღებს მათ მერ გამოცემული ყველა ბეჭდური ნაწარმოების — წიგნებისა და ბროშურების, პლაკატებისა და ნაბეჭდი ფურცლების „სავალდებულო ცალებს“ და უგზავნის მათ ჩვენი ქვეყნის უმსხვილეს ბიბლიოთეკებს: ვ. ი. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკას, მ. სალტიკოვ-შედრინის სახელობის (ლენინგრადის) სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, რესპუბლიკურ და ბევრ სხვა ბიბლიოთეკებს. სავალდებულო ცალების საფუძველზე სსრკ წიგნის პალატა აწარმოებს ჩვენს ქვეყანაში ცოდნის ყველა დარგში გამომავალი ბეჭდური ნაწარმოებების აღრიცხვას და უშვებს სპეციალურ ბიბლიოგრაფიულ ჟურნალებს — „მატიანებს“ («Летописи»), რომლებიც რეგულარულად გვაწვდიან ცნობებს ახალი ლიტერატურის შესახებ. საკავშირო წიგნის პალატა ამასთან ერთად აწარმოებს ამ ლიტერატურის სტატისტიკურ აღრიცხვას, რასი შედეგებიც ფართოდ ქვეყნდება. ამ მხრივ საყურადღებოა კრებულები «Печать СССР»<sup>26</sup> და ცნობები საბჭოთა კავშირში საგამომცემლო მოლვაწეობის ზრდის შესახებ, რომლებიც ყოველწლიურად ქვეყნდება „პრავდა“-ში და სხვა გაზეთებში პრესის დღეს. მოქავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების წიგნის პალატები ეწევიან ანალოგიურ მუშაობას შესაბამისი რესპუბლიკის ფარგლებში. რესპუბლიკური მატიანები მკითხველებს აწვდიან ცნობებს მოცემული რესპუბლიკის ენაზე გამოსული ნაბეჭდი პროდუქციის შესახებ<sup>27</sup>.

<sup>25</sup> Декрет Совета Народных Комиссаров о передаче библиографического дела в РСФСР Государственному издательству. В кн.: Н. К. Крупская, Что писал и говорил В. И. Ленин о библиотеках, Изд. 5-е, доп. М., Гос. б-ка СССР им. В. И. Ленина, 1956, стр. 63.

<sup>26</sup> Печать СССР за сорок лет. 1917—1957. Статистические материалы, М., Всесоюз. кн. палата, 1957, 144 стр. Печать СССР. в 1955 году. Статистические материалы. М., Всесоюз. кн. палата, 1956, 192 стр.

<sup>27</sup> რესპუბლიკური მატიანები მკითხველებს აწვდიან ცნობებს არა მარტო მოცემული რესპუბლიკის ენაზე გამოსული, არამედ იმავე რესპუბლიკაში გამოსულ ყველა ბეჭდურ პროდუქციაზე, მიუხედავდა იმისა, თუ რომელ ენაზეა იგი დაბეჭდილი — მთარგმნელის შენიშვნა.


 ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკები, სამეცნიერო დაწესებულებები, გამომცემლობები აღგენენ და აქვეყნებენ სხვადასხვაგვარ ბიბლიოთეკებს თავიანთი პროფილის შესაბამისად. ასე მაგალითად, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური ბიბლიოთეკა აქვეყნებს დამხმარე ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს ფილოსოფიაში, ეკონომიკაში, ცატორიაში, ლიტერატურათმცოდნეობაში. ენათმეცნიერებაში და სხვ.; პ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი — ფიზიკის აქტუალურ საკითხებზე არსებული ლიტერატურის კაპიტალურ საძიებლებს; ეურნალი «Автоматика и телемеханика» — ავტომატურ რეგულირებაზე და მომიჯნავე საკითხებზე არსებული შრომების სიებს. ულიდესი უნივერსალური ბიბლიოთეკები — ვ. ი. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკა და მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის (ლენინგრადის) სახელმწიფო საჭარო ბიბლიოთეკა — სხვადასხვა აქტუალურ თემებზე არსებული ლიტერატურის სარეკომენდაციო საძიებლებს მასობრივი ბიბლიოთეკების ჰკითხველთა დასახმარებლად და სამეცნიერო-დამხმარე ბიბლიოგრაფიებს. რესპუბლიკური ბიბლიოთეკები უშვებენ ანალოგიურ დამხმარე საძიებლებს ეროვნულ ენებზე. სამხარეო და საოლქო ბიბლიოთეკები თავიანთ სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში ასახავენ ადგილობრივ მოთხოვნილებებსა და სპეციფიკას. მსხვილი გამომცემლობები აქვეყნებენ თემატურ გეგმებსა და კატალოგებს თავიანთ პროდუქციაზე. წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციები კვირაში ორ-სამჯერ აქვეყნებენ „შეკვეთების ბლანქს“, რომელშიც მოცემულია ანოტაციები ბეჭდვის პროცესში მყოფ წიგნებზე. ბიბლიოთეკების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და გამომცემლობების ბიბლიოგრაფიული მუშაობის გაუმჯობესებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საკ. კ. პ. ც. კ.-ს მიერ 1940 წლის ნოემბერში მიღებულმა დადგენილებამ „ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ<sup>28</sup>“.

მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის საბჭოთა და უცხოური გამოცემების გაცნობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით 1952 წ. ბოლოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა სისტემაში შეიქმნა მეცნიერული ინფორმაციის ინსტიტუტი. ინსტიტუტის ერთ-ერთი ამოცანაა — მათემატიკურ, ფიზიკურ, ქიმიურ, ბიო-

<sup>28</sup> О литературной критике и библиографии. (В Центральном Комитете ВКП (б).) — Вкн.: О партийной и советской печати. Сборник документов. М., «Правда», 1954, стр. 487—490.

ლოგიურ, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებაში მსოფლიო  ტერატურის ჩეგულარული რეფერირება. ინსტიტუტი უშვებს სამსახურად ბამისი რეფერატული უშრნალების სერიას. 1955 წლის პოლონეთში ნიკული ინფორმაციის ინსტიტუტის დაერქვა „მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტი“ («ВИНИТИ — Всесоюзный институт научной и технической информации»). მის მუშაობას მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ხელმძღვანელობს სსრკ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი ახალი ტექნიკის დარგში.

ბიბლიოგრაფიული მუშაობა არ განისაზღვრება მარტოოდენ ბიბლიოგრაფიული საძიებლების შედგენით და გამოცემით. ყველა ბიბლიოთეკა და წიგნის პალატა ყოველდღიურად ეწევა აგრეთვე დიდ საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, აქმაყოფილებს რა ცალკეული პირების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოთხოვნებს. ამასთან ერთად ბიბლიოთეკებში ტარდება ლიტერატურის ზეპირი მიმოხილვები ცალკეულ თემებზე, ადგენენ კითხვის გეგმებს თვითგანათლებაზე მომუშავეთა დასახმარებლად, აწყობენ წიგნების გამოფენებს და აფორმებენ სარეკომენდაციო პლაკატებს.

ყველა ეს მრავალნაირი ბიბლიოგრაფიული მუშაობა ტარდება საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატის — ყოველგვარი ბეჭდური ბიბლიოგრაფიული გამოცემების, აგრეთვე საბარათო კატალოგების და კარტოთეკების დახმარებით. ამასთანვე შედევლობაში უნდა მივიღოთ, რომ საეურნალო სტატიების კარტოთეკებთან ერთად სპეციალისტებისა და მეცნიერ მუშაკებისათვის ძირითას დამხმარე ბიბლიოგრაფიულ წყაროს წარმოადგენენ სამეცნიერო ბიბლიოთეკების კატალოგებიც, რომლებიც აშენებენ იქ დაცულ მდიდარ წიგნად ფონდს. წიგნების შეჩრევაში მკითხველებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ ბიბლიოთეკებში შედგენილ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე არსებული ლიტერატურის სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები და მკითხველთა სარეკომენდაციო კატალოგები, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ყველაზე საჭირო წიგნებს ბიბლიოთეკის ფონდიდან.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ბიბლიოგრაფთა კადრების მომზადებას და მეცნიერულ მუშაობას ბიბლიოგრაფიის დარგში. მოსკოვის, ლენინგრადისა და ხარკოვის საბიბლიოთეკო ინსტიტუტები, აგრეთვე მრავალი უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფაკულტეტები ამზადებენ კვალიფიციურ



სპეციალისტებს, რომელთაც უნარი შესწევთ შესარულონ მრავალზოგადობა  
მხრივი ბიბლიოგრაფიული სამუშაო. ეს სასწავლებლები უდიდეს მრავალი მას  
მეცნიერო ბიბლიოთეკებთან ერთად აწარმოებენ გამოკვლევებს ბიბ-  
ლიოგრაფიის თეორიის, მეთოდიკისა და ისტორიის დარგში, სსრ კავ-  
შირში ყველა სახის საბიბლიოგრაფიო საქმის ხარისხის შემდგომი  
ამაღლების მიზნით.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში საბიბლიოგრაფიო საქმის ორ-  
განიზაციისას ითვალისწინებენ საბჭოთა ბიბლიოგრაფიის მიერ დაგ-  
როვილ დადებით გამოცდილებას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მეცნიერ მუშაკებისათვის დიდი მნიშ-  
ვნელობის მქონე ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს უმთავრესად უშვე-  
ბენ წიგნებით მოვაჭრე და საგამომცემლო ფირმები, აგრეთვე სამეც-  
ნიერო ბიბლიოთეკები, სამეცნიერო საზოგადოებები და ცალკეული  
სპეციალისტები.

## პარი პირველი

### ბიბლიოგრაფიული მუშაობის ტექნიკა

თავი I

ლიტერატურის მოძღვა

მიმდინარე ინფორმაცია ახალ სპეციალურ ლიტერატურაზე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველმა მეცნიერ მუშაქმა სისტემატურად უნდა ადევნოს თვალყური ახალ სპეციალურ ლიტერატურას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომელ თვალშე მუშაობს ის მოცემულ მომენტში.

მრავალი დამწყები მკვლევარი სისტემატურად ათვალიერებს შესაბამისი თემატიკის სამამულო და უცხოური უურნალების მიმდინარე ნომრებს და ეცნობა ბიბლიოთეკაში ახალი გამოცემების გამოფენებს. ამას დიდი სარგებლობა მოაქვს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მეცნიერ ხელმძღვანელისა თუ სხვა გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით სწორადაა შერჩეული ის უურნალები, რომელთა მთლიანი გადათვალიერება აუცილებელია, ბიბლიოთეკა კი მნიშვნელოვანი რაოდენობით იღებს სამეცნიერო ლიტერატურას მეცნიერ მუშაის სპეციალობაში.

შაგრამ ასეთი ინფორმაცია არაა საქმაოდ სრული და საიმედო. მკვლევარისათვის მეტად საჭირო სტატიები ქვეყნდება მეცნიერებისა და ტექნიკის არა მარტი მოცემული დარგის უურნალებში, არამედ ცოდნის მომიჯნავე დარგების უურნალებშიც, აგრეთვე საერთო თემატიკის მქონე პერიოდულ გამოცემებშიც (მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლების „შრომები“ და სხვა მსგავსი ბეჭდური ორგანოები). ყოველი სპეციალისტისათვის საინტერესო პერიოდული გამოცემების



რიცხვი რამდენიმე ასეულს შეადგენს. ცხადია, სისტემატურად მოწყობილი უშუალო გადათვალიერება პრაქტიკულად განუხორციელებელია.

ბიბლიოთეკაში ახალი წიგნების გამოფენების გაცნობისას მკვლევარი ეცნობა მხოლოდ იმ შრომებს, რომლებსაც იღებს ბიბლიოთეკა; ამასთანავე მას ხშირად მხედველობის არედან რჩება ის გამოცემები, რომლებიც სხვა მკითხველებს აქვთ წაღებული გასაცნობად, ხოლო, როდესაც ის მისდა უნებურად ვერ ახერხებს ბიბლიოთეკაში მისვლას, ვერ ეცნობა ამ დროის განმავლობაში გამოფენილ ყველა წიგნს.

ახალ სპეციალურ ლიტერატურაზე სრულფასოვან ინფორმაციას მიიღებს მხოლოდ ის მკვლევარი, რომელიც არ იფარგლება ყველაზე მნიშვნელოვანი სპეციალური ჟურნალების ახალი ნომრების დროული გაცნობით და ახალი წიგნების გამოფენების გადათვალიერებასთან ერთად რეგულარულად იყენებს მიმღინარე ხასიათის შესაბამის ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს.

ეს გამოცემები საშუალებას იძლევიან გავეცნოთ ბეჭდურ ნაწარმოებთა მეტად დართო წრეს. ას მაგალითად, «Летопись журнальных статей»-ში აღინუსხება შრომები, რომლებიც ქვეყნდება 1250-ზე მეტ საბჭოთა ჟურნალებსა და კრებულებში; მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტის (ВИНИТИ) რეფერატულ ჟურნალებში იძლევიან ცნობებს სამეცნიერო ლიტერატურაზე, რომელიც იბეჭდება 80 ქვეყნის 42 ენაზე; «Bulletin signaletique»-სა და «Chemical abstracts»-ში—მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების 5 ათასზე მეტ სპეციალურ ჟურნალებში გამოქვეყნდული სტატიების შესახებ; «Internationale Bibliographie der Zeitschriften Literatur»-ში სხვადასხვა ენაზე არსებული 4 ათასზე მეტი პერიოდული გამოცემისა და კრებულის შინაასზე. დარგობრივი რეფერატული ჟურნალებიდან: «Mathematical reviews» და «Physics abstracts» თითოებული ასახავს სხვადასხვა ქვეყნის 500-ზე მეტი სპეციალური პერიოდული გამოცემის ჰუბლიკაციებს. 1500-მდე ჟურნალია ოწერილი—«Current list of medical literature»-სა და «Quarterly cumulative index medicus»-ში.

ცოდნის ყველა დარგში არსებული ბეჭდური ნაწარმოებების ცალკეული სახეების ამსახველი მიმღინარე ბიბლიოგრაფიული წარმოადგენენ ინფორმაციის ყველაზე ოპერატორულ წყაროებს, რამდენადაც ისინი საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ ცნობები არა მარტივ ვიწრო სპეციალობის შრომებზე, არამედ მომიჯნავე დისციპლინებზეც.

დარგობრივი ბიბლიოგრაფიული გამოცემები ცნობებს ახალი ლიტერატურის შესახებ გვაწვდიან ჩვეულებრივ მნიშვნელოვანი დაგვია-

ნებით. შრომის გამოქვეყნებიდან ასეთ ბიბლიოგრაფიებში მიჰყოფილი ტრაციამდე გადის ჩვეულებრივ ორანჯელებ რამდენიმე თვის, როგორც კი ერთი-ორი წელიც. სამაგიეროდ დარგობრივი ბიბლიოგრაფიების უდავო უპირატესობაა სხვადასხვა სახის ლიტერატურის ასახვა, მათი შინაარსის უფრო სრულყოფილად გაშუქება და უფრო დეტალური დაგენუფება.

ამრიგად, ყოველმა სპეციალისტმა, რომელიც საჭიროებს ღროულ ინფორმაციას, უნდა გადაათვალიეროს არა მარტო დარგობრივი, არა-მედ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი ბიბლიოგრაფიებიც. ამ უკანასკნელთა შერჩევა ჩვეულებრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ენაზე ისინი გამოქვეყნებული და რამდენად ფართოდაა მათ-ში ასახული ლიტერატურა, აგრეთვე სტრუქტურულ თავისებურებებზე. მაგალითად, ლიტერატურათმცოდნებ, რომელიც სპეციალდება ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში, მიზანშეწონილია, შესაბამის დარგობრივ ბიბლიოგრაფებთან ერთად გადაათვალიეროს «Книжная летопись», «Летопись журнальных статей», «Летопись рецензий», ვ. ი. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში შემოსული უცხოური ლიტერატურის ბიულეტენი, «International index to periodicals», «Book review list», «Bibliographie de la France» და «Biblio».

არ უნდა შეგვეშინდეს, რომ ასეთი მუშაობა მოითხოვს დიდ დროს. 12—15 მიმდინარე ბიბლიოგრაფიის გადაათვალიერებას დასაწყისში დასჭირდება ერთ საათამდე კვირაში, ხოლო ცოტაოდენი გაწაფვის შემდეგ საქმარისი იქნება ნახევარი საათიც.

ყველაზე საინტერესო ახალი წიგნებისა და სტატიების ასახვა პირად კარტოთეკაში (იხ. 93—98 გვერდები) საშუალებას მოგვცემს რამდენიმე წლის შემდეგაც ადვილად მოვნახოთ ძირითადი ლიტერატურა სამეცნიერო შრომის რომელიც გნებავთ თემისათვის.

საკვლევი თემისათვის ლიტერატურის შერჩევის ამოცანათა  
განხაზღვრა

მეცნიერ მუშაქს, რომელიც ამა თუ იმ საკითხის შესწავლას იწყებს, უნდა ახსოვდეს, რომ მისი სათავე აღრინდელ გამოცვლევებშია. იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გამოვავლინოთ ყოველივე ძვირფასი, რაც წინამორბედებს გაუკეთებიათ, საჭიროა წინასწარ მოვითქმოთ თუ როგორ შევარჩიოთ ლიტერატურა.

უპირველეს ყოვლისა, ზუსტიდ უნდა განისაზღვროს. რომელი შეცდებითად კითხი უნდა იქნეს გაშუქებული და რომელი უგულვებელყოფილი. ეს საშუალებას მოგცემს, ბიბლიოგრაფიული საძიებლებისა და კატალოგების გადათვალიერებისას ერთდროულად შევარჩიოთ ყველა საჭირო ლიტერატურა ისე, რომ არ გამოვტოვოთ არცერთი არსებითად მნიშვნელოვანი და არ დავკარგოთ ზედმეტი დრო ერთიდაიმავე წყაროების რამდენიმეჯერ გაცნობაზე, წინასწარ გაუთვალისწინებელ ცალკეულ საკითხებზე ლიტერატურის ძებნისას. ასე, მაგალითად, ლიტერატურამომდნემ, რომელიც სწავლობს ა. სერაფიმოვიჩის შემოქმედების გზას, წინასწარ უნდა გაითვალისწინოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხი — „1905 წლის რევოლუცია მხატვრულ ლიტერატურაში“. ისტორიკოსმა, რომელიც მუშაობს თემაზე : „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ოდესის დაცვის ორგანიზატორი და სულისხამდგმელი“, მიზანშეწონილია მოიფიროს რამდენად საინტერესოა მისთვის დიდი სამამულო ომის სხვა გმირი ქალაქების დაცვის ისტორია. სპეციალისტისათვის, რომელიც იყვლევს ნაოსნობის პირობებში რადიოდაბრკოლებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, მნიშვნელოვანია გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა შეარჩიოს ლიტერატურა ტელევიზორებისა და ელექტროგადამცემი ხაზების დაბრკოლებათა შესახებ და ა. შ. ექიმმა, რომელსაც არჩეული აქვს თემა: „რეზეცუიანი ფილტვების მქონეთა სამკურნალო ფიზკულტურა“, უნდა დაადგინოს სამკურნალო ფიზკულტურის რომელი სახეების შესახებ უნდა გაეცნოს მასალებს და რამდენად მიზანშეწონილია მათი გაცნობა. მკვლევარი, რომელიც მუშაობს, ვთქვათ, შილაწვის ძრავის რომელიმე საკითხის თეორიულ გაშუქებაზე, უნდა იცნობდეს არა მარტი ზოგადი ხასიათის ლიტერატურას, არამედ ძრავების სხვადასხვა ტიპების (გემების, ავტოტრაქტორების, საავიაციო და ს. შ.) შესახებ არსებულ შრომებსაც. ის ფაქტი, რომ კვლევის პროცესში შესაძლოა აუცილებელი შეიქნას მთელ რიგ საკითხებზე დამატებითი ლიტერატურის გამოვლენა, სრულიადაც არ ამცირებს წინასწარი თემატური შემოფარგვლის მნიშვნელობას. ყოველმა სპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე ცოდნის ის დარგები თუ თემები, რომლებიც არ წარმოადგენენ სპეციალური შესწავლის საგანს, მაგრამ ინტერესს მოკლებული არ არიან ამა თუ იმ თვალსაზრისით. ეს საშუალებას მისცემს მას გზადაგზა გამოავლინოს უფრო კაპიტალური შრომები.

ქართული კულტურის  
მეცნიერება

არანაულებ მნიშვნელოვანია დროულად განისაზღვროს იმაულებული არატურის გამოქვეყნების წელი, ენა და პუბლიკაციის ფორმა, რომლის შესწავლასაც მოითხოვს საკულევი თემის სპეციფიკა. იმ ქრონოლოგიური პერიოდის დადგენა, რომლის განმავლობაშიც, შესაძლოა, გამოცემულიც ლიტერატურა მკვლევარისათვის საინტერესო საკითხებზე, იძლევა დროის ეკონომისის გარანტიას და აზღვევს მას საქმაო რაოდენობის ლიტერატურის მხედველობის არედან გამორჩენისაგან. მაგალითად, ქიმიკოსს, რომელიც იკვლევს გლიცინით ფოტოგრაფიული გამედავნების სიჩქარეს, არსებით სარგებლობას მოუტანს თუ ის ლიტერატურის შერჩევისას შემოიფარგლება 1941 წლის შემდგომი პერიოდით. უცხო ენის მასწავლებელი, რომელიც სწავლობს საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროგრამების თანაფარდობას, აზუსტებს კვლევის საზოგრებს და იღებს გადაწყვეტილებას თავი შეიკავოს დიდ სამამულო ობიექტების გამოქვეყნებული ლიტერატურის შესწავლაზე. ინჟინერი, რომელიც იწყებს ლიტერატურის შერჩევას ულტრაბგერებით ლითონთა მექანიკურ დამუშავებაზე, თავის მხრივ მიზნად ისახავს გადაათვალიეროს მხოლოდ 1950 წლის შემდეგ გამოქვეყნებული ლიტერატურა, ვინაიდან მანამდე ეს კერძო საკითხი გაშუქებული არ ყოფილა ლიტერატურაში. ხოლო რაც შეეხება ლიტერატურას ულტრაბგერის თვისებებისა და ზოგიერთი სხვა მომიჯნავე საკითხების შესახებ, მას მოუხდება მიმართოს უფრო ადრეულ წლებსაც.

საყველთაოდ ცნობილია, რომ მთელი რიგი პრობლემების გამოკვლევისას მეტად საჭიროა იცნობდე არა მარტო სამამულო, არა-მედ უცხოურ ლიტერატურასაც. მაგრამ ზოგიერთი ახალგაზრდა მკვლევარის ცდა — გაეცნოს არჩეული თემის დასამუშავებლად ყველა უმთავრესი ქვეყნების ლიტერატურას, ყოველთვის როდია მიზან-შეწონილი. საჭიროა მეცნიერ ხელმძღვანელის თუ უფროსი კოლეგის დახმარებით გაირკვეს, შეძლებისდაგვარად, რომელ ქვეყანაში ტარდებოდა ან ტარდება საფუძვლიანი გამოკვლევები არჩეული თემის ირგვლივ და ამის შესაბამისად დადგინდეს რომელ ენაზე შეიძლება იყოს გამოქვეყნებული საჭირო შრომები. ასეთი შემოფარგვით შეიძლება თავიდან ავიცილოთ უნაყოფო შრომა და ზედმეტი დროის დაკარგვა იმ ქვეყნებში გამოცემული ლიტერატურის შერჩევაზე, რომელთა მეცნიერები, როგორც წესი, არ მუშაობენ აღებულ საკვლევ თემასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მაგალითად, ხორცის მრეწველობასთან დაკავშირებულ თემაზე მომუშავე ბეითალი არჩევს გა-

მოიყენოს მხრილოდ ამერიკული და ინგლისური ლიტერატურა. ჟურნალები აღრიცხვის საკითხზე მომუშავე მეტყვევე განსაკუთრებულ ინტერესს იქნის გერმანული ლიტერატურისადმი. სპეციალისტმა, რომელსაც ჭირდება ლიტერატურა მზრალი ნიადაგის შესახებ, მიზანშეწონილია გამოიყენოს ინგლისურ და სკანდინავიის ქვეყნების ენებზე არსებული ლიტერატურა. ასეთი შემოფარგვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო [სამეცნიერო—ო. გ.] ლიტერატურის ამსახველი ბიბლიოგრაფიული წყაროს უქმნების შემთხვევაში.

ბოლოს, როცა მკვლევარს ზუსტი წარმოდგენა აქვს შესასწავლი ლიტერატურის სახეებზე, ის თავს იზღვევს ზედმეტი ჩანაწერებისაგან და კატალოგების, ბარათების და სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული მასალების გადათვალიერებისას ითვალისწინებს მხოლოდ აუცილებელს. რა თქმა უნდა, თემის უმეტესი ნაწილის დამუშავებისას ძირითად ბეჭდურ მასალას წარმოადგენენ წიგნები და საყურნალო სტატიები.

მაგრამ იშვიათი როდია, როცა საჭირო ხდება სხვა სახის ლიტერატურის გამოყენებაც. ამიტომ, მაგალითად, შუა აზიის მყინვარების მკვლევარმა ყურადღება უნდა მიაქციოს საგზეოთ სტატიებსაც, რომლებშიც, შესაძლოა, გამოქვეყნებული იყოს ცნობები მისთვის საჭირო საინტერესო ექსპედიციების შესახებ. არანაკლები მნიშვნელობა აქვს საგზეოთ მასალას იმ ექიმებისათვის, რომლებიც მუშაობენ სსრ კავშირში ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საკითხებზე. ინჟინრებისათვის, აგრეთვე ქიმიკოსებისა და ფარმაკოლოგებისათვის, რომლებიც სწავლობენ ამა თუ იმ ნივთიერების მიღების მეთოდებს, დიდ ინტერესს წარმოადგენს ლიტერატურის ისეთი სპეციალური სახე, როგორიცაა პატენტები.

ლიტერატურის შერჩევისას მის თქმატურ, ქრონოლოგიურ და სხვა ჩარჩოებში მოქცევა საქმაოდ დასაბუთებულად უნდა ხდებოდეს. არჩეული თემისათვის ბეჭდური მასალების შერჩევის კონკრეტული ამოცანების სწორ განსაზღვრაში მეცნიერ ხელმძღვანელის ან შესაბამისი გამოცდილი სპეციალისტის, კონსულტაციასთან ერთად მკვლევარს არსებით დახმარებას უწევს განსახილველ საკითხზე არსებული ძირითადი ლიტერატურის შესწავლა.

ლიტერატურის გამოვლენის ამოცანები მიზანშეწონილია დაახლოებით ასე გამოვხატოთ: კერძოდან ზოგადისაკენ, როგორც ეს გა-აკეთა „1914—1917 წწ. ჩრდილოეთის დაცვის“ თემაზე მომუშავე ისტორიკოსმა (იხ. ცხრილი 40-ე გვერდზე).



საქართველოს

მთავრობის მინისტრი

ტ

თემები ან საკონკრეტო	შესასწავლი ლიტერატურა	გამოქვეყნების წლები	პუბლიკაციის ენები	უკანასკნელი დღის სახი
ჩრდილოეთის დაცვა 1914—1917 წწ.	წიგნები, საერთაშორისო საგანგოო სტატიები, რეპერტორი.	1914—1917	რუსული გერმანული ინგლისური	შესაძლო სისტემით
	ვ. ი. ლეინინის ნაშრომთაგები		ქართული რუსული	შესაძლო სისტემით
პირველი მსოფლიო ლიტ.	წიგნები და რეპერტორი მათზე	1914—1959	რუსული გერმანული ინგლისური	კველაზე მნიშვნელოვანი წიგნები
	საერთაშორისო სტატიები	უახლესი	რუსული გერმანული ინგლისური	კველაზე მნიშვნელოვანი წიგნები
სარქისტოსა	წიგნები და რეპერტორი მათზე. საერთაშორისო სტატიები	უახლესი	რუსული	კველაზე მნიშვნელოვანი წიგნები

## ლიტერატურის შერჩევის ძირითადი ეტაპები

ყველა საჭირო ლიტერატურის შერჩევისას რაც შეიძლება ნაკლები დიდობი რომ დავკარგოთ, საჭიროა მუშაობა ვაწარმოოთ გარკვეული თანმიმდევრობით:

უპირველეს ყოვლისა, საკითხის თავდაპირველი გაცნობის მიზნით საჭიროა წარმოდგენა ვიქონიოთ თვით ძირითად ლიტერატურაზე. მის გამოვლენაში მკვლევარს სერიოზულ დახმარებას გაუწევს მოცემულ სპეციალობაზე ყველაზე მნიშვნელოვან შრომებში მითითებული ლიტერატურის სიები. ცნობები ასეთი შრომების შესახებ შეიძლება მივიღოთ შესაბამისი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფთან.

უმნიშვნელოვანესი ნაბეჭდი შრომების მოსახებნად სარგებლობენ აგრეთვე ზოგადი და დარგობრივი ენციკლოპედიური ლექსიკონებით, რომლებში დაბეჭდილი სტატიების ბოლოშიც მითითებულია უმნიშვნელოვანესი ლიტერატურა. სხვადასხვა წიგნების, სტატიების თუ ენციკლოპედიების დახმარებით გამოვლენილ ლიტერატურას, როგორც წესი, თან ერთვის ბიბლიოგრაფია (ცალკეული სტატიის ან ტექსტის ბოლოს), რაც საშუალებას გვაძლევს ერთდროულად გავარკვიოთ რამდენად დამუშავებულია განსახილველი საკითხი და გავეცნოთ მისი შესწავლის ძირითად მიმართულებებს.

შემდგომ მიზანშეწონილია მიემართოთ სამეცნიერო ბიბლიოთეკების კატალოგებსა და კარტოთეკებს. რაც უფრო მსხვილია ბიბლიოთეკა, მით უკეთაა ორგანიზებული მისი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი, მით უფრო მეტია იქ ცნობების მიღების შესაძლებლობა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ კატალოგები და კარტოთეკები, ჩვეულებრივ, შემოიფარგლება მოცემული ბიბლიოთეკის ფონდებით. ამიტომ მათი გამოყენების შემდეგ, ლიტერატურის შერჩევის შემდგომ სტადიაზე, უნდა მიემართოთ დამხმარე ბიბლიოგრაფიულ წყაროებს. ამ შემთხვევაში უნდა შევადგინოთ სია იმ საძიებლებისა, რომლებიც უნდა გახდნენ ლიტერატურის მოძებნის ძირითად წყაროდ.

ვიდრე გადავიდოდეთ ლიტერატურის შერჩევის შემდგომ სტადიაზე, საჭიროა შესწავლილ იქნას ყოველ ეტაპზე გამოვლენილი ბეჭდური ნაწარმოებები. ეს საშუალებას მოგვცემს თანდათანობით გავაღრმავოთ ჩვენი ცოდნა საკითხის არსებ და გამოვიყენოთ წიგნებსა და სტატიებში მითითებული ნაბეჭდი წყაროები.



მხოლოდ აუცილებელი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების გადასაცავი შოყენების და მათი დახმარებით შერჩეული ლიტერატურის შესწავლის შემდეგ შეიძლება შევუდგეთ საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ყველაზე საინტერესო ძირითადი პერიოდული გამოცემების უშუალოდ და ზედმიწევნით გაცნობას. ასეთი მეთოდით მუშაობა უფრო ხშირად საჭიროა მაშინ, როცა ბიბლიოგრაფიული საძიებლები არ შეიცავენ ცნობებს საეურნალო და საგანხორცო სტატიების შესახებ. ზოგჯერ უმთავრესი პერიოდული გამოცემების უშუალო გადათვალიერება სასურველია იმიტომ, რომ უურნალების შინაარსის ამსახველ საძიებლებში, ჩვეულებრივ, არა რეგისტრირებული მეცნიერული ქრონიკა და ზოგიერთი სხვა, მცირე მოცულობის მასალები. პერიოდული გამოცემების გადათვალიერება საშუალებას გვაძლევს, აგრეთვე, გავითვალისწინოთ სხვა საკითხებისადმი მიძღვნილი ის სტატიებიცა და წერილებიც, რომლებიც გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ განსახილეველი თემისათვის.

მაგრამ არ უნდა ვითქმიროთ, რომ ამით მთავრდება სამეცნიერო თემასთან დაკავშირებული ბეჭდური ნაწარმოებების გამოვლენაზე მუშაობა. კვლევის პროცესში არაერთხელ წამოიჭრება ცალკეული გამოცემების დამატებით გამოძებნის აუცილებლობა, რათა დავადგინოთ ან დავადასტუროთ ესა თუ ის ფაქტიური მონაცემები, დასკვნები, გადაწყვეტილებები.

ლიტერატურის შერჩევას ყოველ ეტაპზე თავისი თავისებურებები გააჩნია, რამდენადაც გვიხდება გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიული წყაროები.

### ბიბლიოგრაფიული წყაროების ცალკეული სახეების გამოყენება

წიგნები და სტატიები, ენციკლოპედიური ლექსიკონები, საბიბლიოთეკო კატალოგები, აგრეთვე ბიბლიოგრაფიული საძიებლები, რომელთა გამოყენებაც გვიხდება საკვლევი თემისათვის ლიტერატურის შერჩევისას, იქმნებოდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების მიერ. ავტორთა და შემდგენელთა იდეოლოგიამ, მათი თანამედროვე მეცნიერების დონემ, ბუნებრივია, გარკვეული დაღი დააჩნიეს ბიბლიოგრაფიულ წყაროებს, თავი იჩინეს მასალის შერჩევისა და განლაგებისას, აისახენ ანოტაციებში. ეს გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნას რომელიც გნებავთ წყაროს გამოყენების დროს, საჭირო ლიტერატურის შესახებ ცნობების ძებნისას.

კაპიტალური ენციკლოპედიური ლექსიკონების უმრავლესობაში, ყოველი დიდი სტატიის ბოლოს ჩვეულებრივ მოყვანილია უმნიშვნელოვანესი ლიტერატურის სია. საჭირო ბიბლიოგრაფიული ცნობები შეიძლება ამოცკრიბოთ აგრეთვე თვით სტატიების, განსაკუთრებით გეოგრაფიისადმი მიძღვნილი სტატიების ტექსტიდან. ენციკლოპედიურ ლექსიკონებში სტატიების ბოლოსა და თვით სტატიებში მოცემული ბიბლიოგრაფია ასახეს, როგორც წესი, მნოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან მონოგრაფიულ შრომებს; საეურნალო წერილებზე მიუთითებენ ძალიან იშვიათად, უმთავრესად მაშინ, როცა ვერ იმაწმებენ წიგნებს; საგაზეთო მასალებზე მიუთითებენ გამონაკლის შემთხვევებში. დარგობრივი ენციკლოპედიური ლექსიკონები უფრო მეტ ბიბლიოგრაფიულ მასალებს შეიცავენ, ვიდრე ზოგადი ხასიათის ენციკლოპედიური ლექსიკონები. ზოგადი ენციკლოპედიური იმითაა საყურადღებო, რომ მათში ვრცლადაა წარმოდგენილი სიტყვარი. განსაკუთრებით სასარგებლოა უახლესი ენციკლოპედიური ვამოცემები, რომლებშიც შეიძლება ვიპოვოთ ცნობები უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული წყაროების შესახებ (უკანასკნელის ვამოცემებულის ჩათვლით).

ენციკლოპედიათა უდიდეს უმრავლესობაში სტატიები განლაგებულია ანბანზე. სისტემატური განლაგება ძალზე იშვიათად გვვდება; ასეთი სახის ენციკლოპედიებს, ჩვეულებრივ, თან ერთვის დამხმარე აპარატი: სახელთა, საგანთა, სტატიების სათაურთა და სხვ. ანბანური საძიებლები.

ენციკლოპედიურ ლექსიკონებში რეკომენდებული ბეჭდური ნაწარმოებების აღწერილობა არაერთგვაროვანია და გამოირჩევა მეტნაკლები სისრულით. ადგილის ეკონომიკის აუცილებლობა ხშირად იწვევს სათაურებისა და სხვა მონაცემების შემოკლებების აუცილებლობას.

სხვადასხვა ქვეყნებში გამოსული ენციკლოპედიების რაოდენობა ძალიან დიდია. ამ გამოცემათა ძვირფასი კრებულები თავმოყრილია საბჭოთა კავშირის უმსხვილესი ბიბლიოთეკების საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებებში. ცნობები ბევრი სამამულ და უცხოური ენციკლოპედიების შესახებ შეიძლება მივიღოთ „გრანატების



ენციკლოპედიურ ლექსიკონში<sup>29</sup> და „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ პირველ გამოცემაში<sup>30</sup>. 1917 წლამდე გამოსული რუსული ლექსიკონების და ენციკლოპედიების უფრო სრული სია მოცემულია ი. კაუფმანის საძიებელში<sup>31</sup>. მისი შრომის «Русские биографические и библиографические словари» მეორე გამოცემაში დახასიათებულია უნივერსალური სამამულო ენციკლოპედიები. ენციკლოპედიურ ლექსიკონებს ბევრი აღიღი აქვთ დათმობილი საცნობარო ლიტერატურის სხვადასხვა უცხოურ გამოკვლევებში.

წინამდებარე სახელმძღვანელოში შეუძლებელია ყველა მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური გამოცემების დასახელებაც კი. ჩვენ ვკმაყოფილდებით უმნიშვნელოვანესი ზოგადი ენციკლოპედიების მოკლე დახასიათებით.

### სამამულო ენციკლოპედიები

ზოგადი ხასიათის სამამულო ენციკლოპედიებს შორის უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა ვიქინიოთ „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეორე გამოცემა<sup>32</sup>. ეს ენციკლოპედია ხასიათდება სტატიების სიმრავლით (100 ათასზე მეტი). ამასთანავე მთელი რიგი ანალოგიური ცნობარებისაგან განსხვავებით, მასში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა არა მარტო პუმანიტარულ მეცნიერებებს, არამედ ტექნიკას, მედიცინას, სოფლის მეურნეობას, ბუნებისმეტყველებას. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეორე გამოცემის რედაქცია განახორციელეს უდიდესმა საბჭოთა მეცნიერებმა. პირველი შეიძიო ტომის მთავარი რედაქტორი იყო ს. ვაკილოვი, შემდეგი ტომების მთავარი რედაქტორია ბ. ვედენსკი. ცოდნის ყველა დარგისათვის სტატიების დასაწერად მოწვეული იყვნენ საბჭოთა კავშირის წამყვანი სპეციალისტები. სტატიების ბოლოში მოცემული წიბლიოგრა-

<sup>29</sup> К. Р. Симон, Энциклопедия. В кн.: Энциклопедический словарь Гранат. 7-е изд., т. 54, М., «Советская энциклопедия», 1948, стлб. 277—337.

А. Дробинский, Энциклопедия в СССР. Там же, стлб. 337—345.

<sup>30</sup> М. Нечкина и К. Кузьминский, Энциклопедия в дореволюционной России. В кн.: Большая советская энциклопедия (1-е изд.), Т. 64. М., «Советская энциклопедия», 1934, стлб. 486—498.

<sup>31</sup> И. М. Каuffman, Словари и энциклопедии. Библиогр. указатель. Вып. I. Дореволюционные издания. М., Могиз, 1937, 120 стр.

<sup>32</sup> Большая советская энциклопедия, 2-е изд. Т. 1—50 и доп. т. М., «Большая советская энциклопедия», 1950—1958.



ფია ჩვეულებრივ მცირეა (საშუალოდ 8—10 სახელშოდება). მქანეა გამოცემა  
უპირატესად რეკომენდებულია საბჭოთა კავშირში უკანასკნელ ნა-  
ნებში გამოსული შრომები, ამასთან შედარებით დიდი აღიღილი აქვს  
დათმობილი საეურნალო და საგაზეთო მასალებს. სამამულო და  
უცხოური ლიტერატურის ვრცელი სიები ძალზე იშვიათად გვხვდება.

თუმცა „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“<sup>33</sup> პირველ გამოცემაში  
მოყვანილი ცნობები ბევრად მოძველდნენ, მაგრამ სიტყვარის შედა-  
რებითი სიმდიდრის წყალობით (65 ათასზე მეტი სტატია), რომელ-  
საც ყოველთვის არ აღმატება მეორე გამოცემის სიტყვარი, პირველ  
გამოცემაში მოთავსებული სტატიების ბოლოში მოცემული ბიბლი-  
ოგრაფია მაიც სასაჩვებლოა, თუმცა მასალები ტექნიკაზე, ფიზიკა-  
მათემატიკურ და ბიოლოგიურ მეცნიერებებზე აქ სუსტადა ასახუ-  
ლი. დამატებითი ტომი მიძღვნილია საბჭოთა კავშირისადმი. ეს არის  
დამოუკიდებელი სისტემატური ცნობარი, რომელსაც დართული აქვს  
ვრცელი ბიბლიოგრაფია უმთავრეს ლიტერატურაზე ბუნების, ისტო-  
რიის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურისა და საბჭოთა კავშირის  
საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეების შესახებ.

რევოლუციამდელ ენციკლოპედიათა შორის უკეთესია ვ. ბროკ-  
ჰაუზისა და ი. ეფრონის ფირმის მიერ გამოცემული «Энциклопе-  
дический словарь»<sup>34</sup>. ამ ლიბერალურ-ბურუუაზიული გამოცემის  
შექმნაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა  
მიმართულებათა წარმომადგენლებმა, რამაც განაპირობა მისი ექლექ-  
ტიკური ხასიათი. ამ ენციკლოპედიის რედაქტორები იყვნენ ი. ან-  
დრევსკი („ვ“ ასომდე), კ. არსენიევი და ფ. პეტრუშევსკი. დარგობ-  
რივ განყოფილებებს რედაქტირა გაუკეთეს დ. მენდელევმა, ა. ბე-  
კეტოვმა, ს. ვენგეროვმა, ა. კოვალევსკიმ და სხვა გამოჩენილმა მეც-  
ნიერებმა. მდიდარი ფაქტიური მასალის და ძირითად, უმთავრესად  
უცხოურ, ლიტერატურაზე ბიბლიოგრაფიული მითითებების წყალო-  
ბით ლექსიკონმა დღემდე შეინარჩუნა საცნობარო მნიშვნელობა.

იმ საკითხებზე ლიტერატურის მოსახებნად, რომელთა შესახებაც  
საუბარია ანბანის პირველ ნახევარში, მიზანშეწონილია ვისარგებ-  
ლოთ ბროკჰაუზ-ეფრონის ლექსიკონის მეორე დაუმთავრებელი გა-

<sup>33</sup> Большая советская энциклопедия, Т. 1—65 и доп. т. М., «Советская энци-  
клопедия», 1926—1947.

<sup>34</sup> Энциклопедический словарь, Т. 1—82, доп. т. I—4. СПб., Ф. А. Б р о к-  
г а у з и И. А. Е ф р о н, 1890—1907.



многие из которых включены в «Новый энциклопедический словарь» (№-20 Томоидыа б ენციկლოპէдіюс гаампэма гаанаагрідм сааф-  
цион саангаадонеа «Издательское дело, бывш. Брокгауз и Еф-  
рон»<sup>35</sup>. гаамкірауло 48 Томоидыа гаампэида 29. гаампэуул Томтатаа гаан  
шыкаанская წყდება სიტყვაზე «Отто». ამ ენციკლოპէდіюс მეორე გა-  
მოცემა პირველისაგან გამოირჩევა მასალის დახვეწილობით; მასში გა-  
მოტოვებულია ზოგიერთი პატარ-პატარა წერილები, სამაგიეროდ  
იგი შევსებულია უფრო ახალი მასალით. ამ გამოცემაში მონაწილე-  
ობა მიიღეს ი. მეჩნივოვმა, ვ. პალადინმა, ი. შოკალსკიმ და სხვა  
გამოჩენილმა მეცნიერებმა.

გაცილებით ახალი, თუმცა ნაკლებად სრული ცნობების მიღება  
შეიძლება ამხანაგობის «Бр. А. и И. Гранат» ენციკლოპէდიური ლექ-  
სიკონის №-7 გამოცემიდან<sup>36</sup>. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რე-  
ვოლუციამდე დაბეჭდილი იყო ამ ლექსიკონის 37 ტომი (1—33, 37—  
39 და 42); შემდეგი 18 ტომი (34—36, 40, 41, 43—53 და 57) გა-  
მოცემულ იქნა 1918—1938 წლებში გრანატის რუსული ბიბლიო-  
გრაფიული ინსტიტუტის მიერ, ხოლო 58-ე და 54-ე ტომები — გა-  
მომცემლობა «Советская энциклопедия»-ს მიერ 1940 და 1948  
წლებში. რევოლუციამდე პერიოდში ამ ლექსიკონის გამოცემა  
ხორციელდებოდა ლიბერალურ-ბურжуазული ინტელიგენციის  
მიერ, მაგრამ მის ფურცლებზე გამოდიოდა კულტურის მრავალი  
პროგრესული მოღვაწე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — მარქსის-  
ტებიც. აღსანიშნავია, რომ გრანატის ლექსიკონისათვის ლენინმა  
დაწერა სტატია „კარლ მარქსი (მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარ-  
ქსიზმის გაღმოცემითურთ)“<sup>37</sup>, რომელიც მთავრდება მარქსის ნაწარ-  
მოებთა გამოცემების, აგრეთვე მარქსისა და მარქსიზმის შესახებ არ-  
სებული ლიტერატურის ვრცელი კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მი-

<sup>35</sup> Новый энциклопедический словарь, Т. 1—29, СПб.—Пг., Ф. А. Брокгауз и И. А. Ефрон—Акц. о-во «Издательское дело, бывш. Брокгауз—Ефрон», 1912—1916.

<sup>36</sup> Энциклопедический словарь т-ва «Бр. А. и И. Гранат и К°» Т. 1—55 и 57—58. М., т-во «Бр. А. и И. Гранат и К°»—«Русский библиогр. ин-т Гранат»—«Советская энциклопедия», 1910—1948.

<sup>37</sup> ეს სტატია დაბეჭდილ იქნა 1915 წელს ამ ლექსიკონის 28-ე ტომში ვ. ილინის ხელმოწერით. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 ქართულ გამოცემაში ეს სტატია მოთავ-  
სებულია 21-ე ტომში (გვ. 35-97). ვ. ი. ლენინის მიერ ამ ლექსიკონისათვის დაწერილი  
სტატია ის «აგრარული საკითხი მე-19 საუკუნის დასასრულისათვის» გამოქვეყნე-  
ბა არ იქნა ნებადართული ცენტრის მიერ.



მოხილვით. ლექსიკონში მოთანამშრომლე მეცნიერთა შორის იყვნენ ეფუძნებული კ. ტიმირიაზევი, ი. ხვოლსონი, დ. ანუჩინი, ი. ბოლუენ და კურტენე, ვ. კაპიცა, ე. ტარლე, ვ. პალადინი, ლ. ბერგი. მ. მენშბირი. ამ ენციკლოპედიაში დაბეჭდილი სტატიების რაოდენობა შედარებით მცირეა, მაგრამ ბევრი სტატიის ბოლოს დართული ვრცელი ბიბლიოგრაფიული სიები შესაძლოა სასარგებლონი იყვნენ ლიტერატურის შესარჩევად. ლექსიკონში არის აგრეთვე საქმაო რაოდენობის დამოუკიდებელი თემატური ბიბლიოგრაფია, მაგალითად: 1861—1911 წლების რუსი ბელეტრისტები, პირველი მსოფლიო ომის ეპოქის სამხედრო მოღვაწეები (46-ე ტომი); ამავე პერიოდის უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეები (47-ე ტომი); მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დამდეგის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დასავლეთელი მოღვაწეები (48-ე ტომი). მხედველობაში უნდა ვიქონით, რომ სტატიების ანბანური რიგი მთავრდება 54-ე ტომში. 55-ე და 57-58-ე ტომებში ძირითადი მასალა (საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატიები) განლაგებულია არა საერთო ანბანით, არამედ თემატურად.

### საზღვარგარეთული ენციკლოპედიები

საზღვარგარეთული ენციკლოპედიური ლექსიკონები უფრო სრულად იმ ქვეყანასთან დაკავშირებულ საკითხებსა და თემებს აშენებენ, სადაც ისინი გამოიცემიან. ამდენად ბუნებრივია, რომ ამ ლექსიკონებში სტატიების ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი შესაბამის ეროვნულ ენებზე გამოცემულ ლიტერატურას.

ყველაზე ავტორიტეტულია «Encyclopaedia Britannica», რომლის პირველი გამოცემები გამოვიდნენ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში. ამ ლექსიკონში მოთავსებული სტატიები კონკრეტულ მეცნიერულ-ტექნიკურ საკითხებზე, დიდად სასარგებლო როგორც ფაქტიური ცნობებით, ასევე საუკეთესო მეცნიერული შრომების საქმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფიით. «Encyclopaedia Britannica» გათვალისწინებულია მაღალი მომზადების მქონე მკითხველთათვის. სტატიების რაოდენობა მასში შედარებით მცირეა — უკანასკნელ გამოცემებში 40—45 ათასი. ისინი მიძღვნილი არიან კომპლექსური თემებისადმი. კერძო საკითხებზე ცნობების მიღება გააღვილებულია დამხმარე ანბანური საძიებლით, რომელშიც ჩამოთვლილია სტატიებში დახასიათებული პირები, საგნები, ცნებები და მოვლენები. ამავე საძიებელ-



ში წარმოდგენილია სტატიების სათაურებიც, რომლებიც, დანარჩენი ნი მასალებისაგან განსხვავებით, გამოყოფილია მსხვილი ჰქონილობისა განსაკუთრებით ძვირფასია ამ ენციკლოპედიის მე-9 გამოცემა<sup>38</sup>, რომელიც გამოვიდა 1875—1889 წლებში 25 ტომად, საძიებლით და-მატებით ტომში. ამ გამოცემაში მონაწილეობა მიიღეს თვალსაჩინო ინგლისელმა მეცნიერებმა. 1902—1903 წლებში მე-9 გამოცემის და-მატების სახით გამოქვეყნდა ე. წ. მე-10 გამოცემა 10 ტომად (ტომე-ბის ორმაგი ნუმერაციით)<sup>39</sup>. მე-10 (35-ე) ტომი წარმოადგენს საძიე-ბელს, რომელიც მოიცავს ორივე (როგორც მე-9, ასევე მე-10) გა-მოცემას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს ენციკლოპედია გა-დაიქცა ინგლისურ-ამერიკულ გამოცემად და გამოდიოდა 1955 წლამ-დე, პარალელურად ინგლისა და აშშ-ში; 1955 წლიდან ის კვლავ გამოდის ლონდონში<sup>40</sup>. მისი უკანასკნელი გამოცემები წარმოადგე-ნენ ნაწილობრივ განახლებული სახით გადაბეჭდილ მე-14 გამოცე-მას<sup>41</sup>. გამოდის აგრეთვე «Encyclopaedia Britannica»-ს ყოველ-წლიური დამატებანი<sup>42</sup>. ენციკლოპედიაში გაშუქებული მასალის ხა-რისხით მე-II და შემდგომი გამოცემები მნიშვნელოვნად ჩამორჩე-ბიან მე-9 გამოცემას. მოუხდავად ამისა, მიზანშეწონილია მათი გა-მოყენება როგორც მე-9 გამოცემის დამატებისა, რამდენადაც ისინი მოიცავენ ახალ სტატიებს და მითითებებს ახალ ლიტერატურაზე.

გერმანული ზოგადი ენციკლოპედიიდან სასარგებლო ბიბლი-ოგრაფიულ წყაროს წარმოადგენს «Grosser Brockhaus». ეს ლექსი-

<sup>38</sup> The encyclopaedia Britannica. A dictionary of arts, sciences and general literature, 9-th ed., vol. 1—24, suppl Edinburgh, Black, 1875—1889.

[ბრიტანეთის ენციკლოპედია, ხელოვნების, მეცნიერებისა და ზოგადი ლიტერატუ-რის ლექსიკონი]

<sup>39</sup> The new volumes of the encyclopaedia Britannica, constituting in combina- nation with the existing volumes of the 9-th ed. 10-th ed. of that work, and also sup- pliing a new distinctive and independent library of reference dealing with recent events and developments. Vol. 1 (25)—10 (35). Edinburgh—London, Black, 1902— 1903.

[ბრიტანეთის ენციკლოპედიის ახალი ტომები, რომლებიც მე-9 გამოცემის არსებულ ტომებთან ერთად ქმნიან მის მე-10 გამოცემას...]

<sup>40</sup> The encyclopaedia Britannica, A new survey of universal knowledge. Vol. 1—24. London, Encyclopaedia Britannica, 1955.

[ბრიტანეთის ენციკლოპედია, უნივერსალური ცოდნის ახალი მიმოხილვა]

<sup>41</sup> The encyclopaedia Britannica, 14-th ed. A new survey of universal knowled-ge. Vol. 1—24. London—New York, Encyclopaedia Britannica Co., 1929.

<sup>42</sup> Britannica book of the year. Chicago—London—Toronto, Encyclopaedia Britannica, 1938—

[ბრიტანეთის წელიწერი]



კონი გამოირჩევა სტატიების სიმრავლით. სტატიები ჩვეულებრივად პატარაა, მაგრამ მათში მითითებულია საქმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურა. სტატიების უმრავლესობა ჰუმანიტარულ დისციპლინებს აშენებს. ბროკპაუზის ლექსიკონის მე-15 გამოცემა<sup>43</sup> მოიცავს 20 ძირითად და 2 დამატებით ტომს. მასში მოთავსებული სტატიების შინაარსზე და სარეკომენდაციო ლიტერატურის შერჩევაზე უარყოფითი გავლენა იქნია ფაშისტურმა ტენდენციებმა. 1957 წლისათვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განხორციელებულ იქნა ამ ლექსიკონის მე-16-ე 12 ტომიანი გამოცემა<sup>44</sup>, რომელიც განსაკუთრებით სასარგებლოა უკანასკნელ 20 წელიწადში გამოსული ლიტერატურის შესარჩევად. ტექნიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მეტად დიდი ადგილი აქვს დათმობილი «Meyers Lexicon»-ში. მისი მე-7 გამოცემა<sup>45</sup> შეიცავს 12 ძირითად, 2 დამატებითს და 2 რუკებისა და საბიულენტოების ტომებს. ლიტერატურის სიებით ეს გამოცემა უფრო ღარიბია ვიდრე «Großer Brockhaus».

ყველაზე ფუნდამენტური ენციკლოპედიების რაცხვს მიეკუთვნება «Enciclopedia Italiana di scienze, lettere ed arti».<sup>46</sup> მასში მეტი ყურადღება აქვს დათმობილი იტალიის ისტორიასა და ხელოვნებას. ენციკლოპედიაში მოთავსებულ ყველა დიდ სტატიას თან ერთვის საქმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია. ამ ლექსიკონის შინაარსს ფაშისტური იდეოლოგიის საქმაოდ ძლიერი დაღი ამჩნევია. უკანასკნელ ტომში მოთავსებული ვრცელი საგნობრივი საბიულენტო ბევრად ააღვილებს კერძო საკითხებზე მასალის გამოვლენას.

პოლონეთის ენციკლოპედიური ლექსიკონებიდან უპირატესი

<sup>43</sup> Der große Brockhaus. Handbuch des Wissens. 15-te völlig neubearb. Aufl. Bd. 1—20. Erg. 1—2. Leipzig, Brockhaus, 1928—1939.

[დიდი ბროკპაუზი]

<sup>44</sup> Der große Brockhaus. 16-te völlig neubearb. Aufl. Bd. 1—12, Wiesbaden, Brockhaus, 1953—1957.

<sup>45</sup> Meyers Lexikon. 7-te Aufl. In vollständig neuer Bearb. Bd. 1—16, Leipzig, Bibliographisches Institut, 1924—1935.

[მეიერის ლექსიკონი]

<sup>46</sup> Enciclopedia Italiana di scienze, lettere ed arti. Publ. sotto l'alto patro-nato di S. M. il re d'Italia. Vol. 1—36. Milano—Roma, Inst. della Enciclopedia Italiana, 1929—1939.

[მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების იტალიური ენციკლოპედია] Appendix 1—2. Milano—Roma, 1938—1949.



მნიშვნელობა ენციკლოპედია «Encyklopedia powszechna Ultima Thule»<sup>47</sup> რომლის გამოცემა შეწყვეტილ იქნა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით. ამ ცნობარში მოთავსებული სტატიების უმრავლესობაში მითითებულია მოქლე ბიბლიოგრაფია, რომელიც ხშირად თვით სტატიის ტექსტშია მოქცეული. მეტად ვრცელ, თუმცა მოძველებულ ბიბლიოგრაფიულ მასალას შეიცავს „S. Orgelbranda encyklopedia powszechna“<sup>48</sup>. ამ ლექსიკონისათვის დამახასიათებელი მოქლე პოპულარული სტატიები ჩვეულებრივ მთავრდება ლიტერატურის ჩამოთვლით. საკმაოდ ვრცელ ბიბლიოგრაფიას შეიცავს სხვა ძველი პოლონური ენციკლოპედიაც «Wielka encyklopedia powszechna ilustrowana»<sup>49</sup>.

ამერიკის ზოგადი ენციკლოპედიური ლექსიკონებიდან ყველაზე ვრცელ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს შეიცავს „New international encyclopaedia“-ს მე-2 გამოცემა<sup>50</sup>. ამ ლექსიკონის ყოველწლიური დამატების სახით გამოიდის, New international year book<sup>51</sup>. ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ენციკლოპედია—«Encyclopædia Americana»,<sup>52</sup> რომლის პირველი გამოცემები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასწყისში განხორციელდა, გამოიჩინევა მასალის ფართო შერჩევით

<sup>47</sup> Encyklopedia powszechna Ultima Thule. Pod red .S. F. Michalskiego. T. 1—18—Warszawa, wyd. Ultima Thule, 1927—

[სლიმა ტულეს ზოგადი ენციკლოპედია]

1939 წლისათვის გამოცემული იყო 1—9 ტომები, რომელიც შეიცავდნენ მასალას «A»-დან «Spa»-მდე.

1939 წელს გამოქვეყნდა მე-10 ტომის ნაწილი.

<sup>48</sup> S. Orgelbranda encyklopedia powszechna z ilustracjami i mapami. T. 1—18. Warszawa, nakl. i druk. S. Orgelbranda synów, 1898—1912.

[ს. ორგელბრანდის ზოგადი ენციკლოპედია]

<sup>49</sup> Wielka encyklopedia powszechna ilustrowana. T. 1—55. Warszawa, S. Si-korski—Kom. redakcyjny, 1890—1914.

[დიდი ზოგადი ლუსტრირებული ენციკლოპედია]

<sup>50</sup> The new international encyclopaedia. 2-nd ed. Vol. 1—27. New York, Dodd, Mead and Co., 1922—1930.

[ახალი ინტერნაციონალური ენციკლოპედია]

<sup>51</sup> The new international year book. A compendium of the world's progress. 1907—New York, Dodd, Funk, 1908—

[ახალი ინტერნაციონალური წელიწლებული]

<sup>52</sup> The encyclopedia Americana. Vol. 1—30. New York—Chicago, Americana corporation, 1949.

[ამერიკული ენციკლოპედია]



ტექნიკასა და ზუსტ მეცნიერებებში. სტატიებს მასში შედარձილი მცირე რაოდნობით აქვთ დართული სიები. ბიბლიოგრაფიული ცნობები, ჩვეულებრივ, მითითებულია მხოლოდ ოვით ტექსტში. ამ ლექსიკონსაც აქვს ყოველწლიური დამატება<sup>53</sup>.

ფრანგული ზოგადი ენციკლოპედიური ლექსიკონებიდან ბიბლიოგრაფია სტატიების ბოლოში ყველაზე ვრცლად «Grande encyclopédie»-ში<sup>54</sup> წარმოდგენილი. ეს ლექსიკონი ისევე როგორც «Encyclopaedia Britannica» ნავარაუდევია ღრმად განათლებული მკითხველისათვის. «Grande encyclopédie»-ში მთავარი ყურადღება გამახვილებულია ჰუმანიტარული მეცნიერებისადმი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ სტატიები, მიღვნილი საფრანგეთისადმი, მისი ისტორიისადმი, ლიტერატურისადმი და კულტურისადმი. საფრანგეთის სხვა პოპულარული ენციკლოპედიური გამოცემები შედარებით ღარიბია ბიბლიოგრაფიული მონაცემებით. ჯერ კიდევ დაუმთავრებელ «Encyclopédie française»-ში<sup>55</sup> მასალის განლაგება სისტემატურია, რაც აძნელებს ცნობების მიღებას კერძო საკითხებზე. დამხმარე პარატი — ზუსტი დასათაურება, სახელთა და საგანთა საძირებელი — დართული აქვს ზოგადი ოემისადმი მიძღვნილ ერთ ან რამდენიმე ტომს. ერთიანი საძიებლის გამოცემა გათვალისწინებულია ყველა ტომების გამოქვეყნების შემდეგ. ცნობების მიღება ლიტერატურაზე შედარებით აღვილად შეიძლება ლექსიკოგრაფ ლარუსის მიერ გამოცემულ «Grand dictionnaire universel du XIX-e siècle»-ში<sup>56</sup>.

<sup>53</sup> The Americana annual. An encyclopedia of the events of... New York, Encyclopedia Americana, 1923—

[იმერიული წელიწადები... მოვლენათა ენციკლოპედია]

<sup>54</sup> La grande encyclopédie. Inventaire raisonné des sciences, des lettres et des arts, par une Société de savants et de gens de lettres. T. 1—31. Paris, Lamirault, Société anonyme de la grande encyclopédie, 1885—1902.

[დიდი ენციკლოპედია. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი]

<sup>55</sup> Encyclopédie française. T. 1—Paris, Société de gestion de L' encyclopédie française, 1935—

[ფრანგული ენციკლოპედია]

1956 წლისათვის გამოცემული იქნა ტტ. 1, 4—8, 10, 14—18.

<sup>56</sup> Larousse P. Le grand dictionnaire universel du XIX-e siècle français, historique, géographique, mythologique, bibliographique, littéraire, artistique, scientifique etc. T. 1—17. Paris, Administration du Grand dictionnaire universel, 1865—1890.

[მე-19 საუკუნის დიდი ფრანგული უნივერსალური ლექსიკონი...]



ამ გამოცემაში შედარებით ვრცლადაა წარმოდგენილი ლიტერატურა რაოდნებისა და ენათმეცნიერება. სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა ტერატურა მასში შედარებით სუსტადაა ასახული, ვინაიდან ლექსიკონი გათვალისწინებულია მყითხველთა ფართო წრისათვის. ლარუსის მემკვიდრეების მიერ განხორციელებულ ამ ლექსკონის მე-3 გამოცემას სახელწოდებით «Larousse du XX-e siècle»<sup>57</sup> სტატიების ბოლოში არა აქვს დართული ლიტერატურის სიები. ბიბლიოგრაფიული ცნობები მოცემულია ტექსტში, მაგრამ არც თუ მაინცდამაინც ვრცლად.

ჩეხოსლოვაკურ ენციკლოპედიათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია «Ottův slovník naučný».<sup>58</sup> მასში ლიტერატურა მითითებულია ტექსტშიც და სტატიის ბოლოშიც.

### წიგნები და სტატიები

წიგნებიდან და პერიოდული გამოცემებიდან ყველაზე ძვირფას ბიბლიოგრაფიულ წყაროს წარმოდგენენ მონოგრაფიები (მათ შორის დისერტაციები), სახელმძღვანელოები, სამეცნიერო შრომების თემატური და საიუბილეო კრებულები, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების თხზულებათა კრებულები, ინსტიტუტების სამეცნიერო შრომების კრებულები, აგრეთვე როგორც გარკვეული, ისე გაურკვეველი პერიოდულობის სხვა განმგრძობადი მეცნიერული გამოცემები.

ბიბლიოგრაფია წიგნებსა და სტატიებში მითითებულია სხვადასხვაგვარად. უფრო ხშირად ლიტერატურა გვხვდება ცალკეული სიების სახით წიგნებისა თუ სტატიების ბოლოს, ან კიდევ წიგნების ნაწილების, განყოფილებებისა და თავების ბოლოს. ასეთი სიების დანიშნულება და, მაშასადმე, შემაღებელობა ერთნაირი როდია. მეცნიერულ ნაშრომში ლიტერატურის შესახებ ცნობების ყველაზე ძვირ-

<sup>57</sup> Larousse du XX-e siècle. Publ. sous la direction de P. Augé. T. 1—6. Paris, Larousse, 1928—1933.

[ლარუსის ენციკლოპედია მე-20 საუკუნისა]

<sup>58</sup> Ottův slovník naučný. Illustrovaná encyclopaedie obecných vedomostí. D. 1—28. Praha, Otto, 1888—1909.

[ოტოს მეცნიერული ლექსიკონი]

Dodatky. D. 1—Praha, 1930—

1943 წელს გამოიდა დამატებათა მე-12 ტომი, რომელიც შეიცავს მასალის «Se»-შედე.

ფას წყაროებს წარმოადგენენ ავტორების მიერ გამოყენებული შეკვეთის დური ნაწარმოებების სიები, ან გამოკვლევის თემასთან დაკავშირებული შრომები, რომლებიც უფრო ფართო მნიშვნელობისანი არიან. ეს სიები ხშირად ბეჭდური ნაწარმოებების ასობით სახელწოდებებს შეიცავენ<sup>59</sup>. აღწერილობათა განლაგება მათში უფრო ხშირად ანბანურია, იშვიათად — სისტემატური და ქრონოლოგიური. ზოგჯერ წიგნები და სტატიები მოცემულია ცალკეული რიგების სახით. საქმაოდ ნაკლებ საინტერესოა ის სიები, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ციტირებული ან მოხსენებულია ტექსტში. პრაქტიკულ, ლექციურ და პროპაგანდისტულ მუშაობაში არსებითი დანარების გაწევა შეუძლიათ იმ სიებს, რომლებშიც რეკომენდებულია მხოლოდ საუკეთესო შრომები<sup>60</sup>. ასეთი სახის სიებისათვის დამახასიათებელია მასალის განლაგება მისი მნიშვნელობის მიხედვით ან ზოგადიდან კერძოსაკენ.

ბიბლიოგრაფიული მასალა ჩვეულებრივ მოცემულია აგრეთვე მეცნიერული შრომების ტექსტში, მის შესავალ, ძირითად და შემაჯამებელ ნაწილში. ეს მასალა უფრო ხშირად გათორმებულია სქოლიოების სახით, რომლებიც ჩვეულებრივ მიუთითებენ ციტატების ან ტექსტში მოყვანილი ცნობების წყაროებს. ამ მონაცემების გამოყენებისას უნდა გვასხვდეს, რომ აკეთ აღწერილობაში მითითებული გვერდები აღნიშნავენ არა შრომის საერთო მოცულობას ან გვერდებს, რომლებიც მათ უკავიათ უურნალში, არამედ აღილს, საიდანაც ამოღებულია ციტატი ან ფაქტიური მასალა. უფრო იშვიათად სქოლიოში მიუთითებენ იმ ლიტერატურის აღწერილობას, რომელიც რეკომენდებულია თემის დამატებითი შესწავლისათვის. არის შემთხვევები, როცა სქოლიო მოიცავს ვრცელ ბიბლიოგრაფის, რომელიც სრულფასოვანია იმ სიებისა, რომელთაც წიგნის ბოლოს მიუთითებენ

<sup>59</sup> მაგალითებად შეიძლება ჩათვალის «Указатель литературы по радиоприемным устройствам», რომელიც დაზული აქვს ვ. ი. სიცოროვს წიგნს «Радиоприемные устройства» (Изд. 5-е М., Воениздат, 1954, стр. 777—800); სიები, რომლებიც დაზული აქვს ე. დ. პეტრიავეის იმ ორმეტივე ნარკვევს, რომლებიდნაც შედგენილია მისი შრომი «Исследователи и литераторы старого Забайкалья. Очерки по истории культуры края» (Чита, Кн. изд., 1954, 260 стр.); ნუსხა, რომლითაც მთავრდება ვ. ს. ასათიანის სტატია «Хроматографический метод в биохимическом анализе» («Успехи химии», т. 22, 1953, вып. 3, стр. 316—321).

<sup>60</sup> ასეთია, მაგალითად, სია, რომელიც დაზული აქვს გ. ა. პეტროვსკისა და ა. პლატონოვა-პეტროვსკაის (Основы лекарственной терапии» №-2 გამოცემას (М., Медгиз, 1956, стр. 344—348).



ხოლმენი. სქოლითში მითითებული ბიბლიოგრაფიის გამოყენების ზანგეჭონილია თვით ტექსტის კითხვის დროს, ვინაიდან ცნობებს ბეჭ-დური ნაწარმოებების შესახებ შენიშვნებში ხშირად იძლევიან არა-სტულად; ეს ცნობები მხოლოდ ავსებენ ტექსტის მონაცემებს.

ზოგჯერ, წინამორბედ მკვლევართა შრომების მიმონილვისას, ლი-ტერატურას საერთოდ არ მიუთითებენ შენიშვნებში, არამედ იძლე-ვიან მხოლოდ ტექსტში.

ბიბლიოგრაფიული ცნობების მისაღებად ძვირფას წყაროს წარ-მოადგენენ მეცნიერული შრომების, მათი ნაწილების ან თავების ბო-ლოში მოთავსებული შენიშვნები. მონაცემებს ლიტერატურის შესა-ხებ ამ შენიშვნებში, რომლებიც წიგნის ძირითად ტექსტთან ჩვეულებრივ შეერთებულია ციფრობრივი მითითებების სისტემით, ხშირად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ფაქტიურ მონა-ცემებს და დამატებით განმარტებებს საკითხის ირგვლივ. ასეთ შე-ნიშვნებში, სიიბისაგან განსხვავებით, მონაცემები ლიტერატურაზე (გარდა ოლწერილობისა) ხშირად შეიცავენ სენებული ნაშრომების მეტ-ნაკლებად ფართო დახასიათებას. ასე, მაგალითად, დ. ბლაგოის წიგნში „ჰუშკინის შემოქმედებითი გზა“<sup>61</sup> არაა მოცემული ლიტერა-ტურის ცალკე სია, მაგრამ წიგნის ბოლოში დაბეჭდილი დაწვრილე-ბითი შენიშვნები დიდი რაოდენობით შეიცავენ მითითებებს მხატვ-რულ ნაწარმოებებზე და კრიტიკულ, მემუარულ და ისტორიულ-ლი-ტერატურულ შრომებზე. მაგალითად: დ. ბლაგოის ნაშრომის მე-2 თავში მოცემულია ჰუშკინის ბიძის ნიკიტა კოზლოვის დახასიათება; ამასთან დაკავშირებით ავტორი ნაშრომის ბოლოში — შენიშვნებში შეითხველს აცნობს პოეტის დისწულის ლ. პავლიშჩევის მოგონებებს პოეტზე და იძლევა დასკვნას, ერთის მხრივ, ნ. კოზლოვზე — მისი ცნო-ბების უტყუარობის შესახებ, ხოლო, მეორეს მხრივ, უარყოფით შეფა-სებას აძლევს ლ. პავლიშჩევის მოგონებებს ერთად აღებულს, როგორც ნაკლებად სარწმუნოს.

ბევრი წიგნი და სტატია ძვირფას ბიბლიოგრაფიულ წყაროს წარ-მოადგენს ყველა ნაწილში. ამიტომ, თუ ამა თუ იმ ნაშრომის ბოლო-ში მოცემულია ლიტერატურის სია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ

<sup>61</sup> დამახასიათებელია ამ მხრივ პ. ლ უ კ ი ა ნ თ ვ ი ს ოთხომიანი «История химических промыслов и химической промышленности России до конца XIX века» (М.—Л., Акад. наук СССР, 1948—1955).

<sup>62</sup> Д. Д. Благой, Творческий путь Пушкина (1813—1826). М.—Л., Акад. наук СССР, 1950, 580 стр. (Акад. наук СССР. Ин-т мировой литературы им. Горького).



ის შეიცავს ძირითად ტექსტსა და შენიშვნებში მოცემულ ცნობებს შეუძლია გველა ბეჭდურ ნაწარმობებზე.

ამრიგად, იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ წიგნი ან სტატია როგორც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არსებული ლიტერატურის შესახებ ცნობების წყარო, საჭიროა გამოვავლინოთ მათი ბიბლიოგრაფიული გაფორმების თავისებურებანი.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა ავტორები და გამოცემლობები როდი აქცევენ საჭირო ყურადღებას გამოსაქვეყნებელი შრომების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ხარისხს. ამის შედეგად წიგნებსა თუ სტატიებში ხშირად გვხვდება ციტირებული, მოხსენიებული, გამოყენებული თუ რეკომენდებული ბეჭდური ნაწარმოებების არასრული, დაუდევრად შესრულებული და არასწორი აღწერილობებიც კი. ჩვეულებრივ ყველაზე არასრულ ცნობებს ლიტერატურაზე ძირითადი ტექსტი შეიცავს<sup>63</sup>. განსაკუთრებით ხშირად არ მიუთითებენ სტატიების სათაურებს, აგრეთვე ნაბეჭდი შრომების გამოქვეყნების ადგილსა და დროს. ამიტომ ამ წყაროებიდან მიღებული ცნობები საჭიროებენ შემოწმებას.

## საბიბლიოთეკო კატალოგები და კარტოთეკები

თემისათვის ლიტერატურის შერჩევის მნიშვნელოვან ეტაპად უნდა მივიჩნიოთ ბარათული საბიბლიოთეკო კატალოგების გამოყენება.

კატალოგში აღნუსხულ ყოველ წიგნზე საკატალოგო პარამეტრი მოცემულია დაწვრილებითი ბიბლიოგრაფიული ცნობები: ავტორი, მისი ინიციალები, წიგნის სათაური, დამატებითი ცნობები სათაურზე, გამოცემის ადგილი, გამოცემლობა, გამოცემის წელი, გვერდების რაოდენობა, დასახელება სერიებისა, რომლებითაც გამოსულია წიგნი, ან ორგანიზაციებისა, რომლებმაც მოამზადეს წიგნი გამოსაცემად, აგრეთვე ფორმატი, ტირაჟი, ფასი და, ცალკეულ აუცილებელ შემთხვევებში — მოკლე შენიშვნები. ბარათის მარცხენა ზემო კუთხეში მითითებულია წიგნის შიფრი, ე. ი. პირობითი აღმნიშვნება, მაგალითად, წიგნს «Очерки по истории Академии наук. Технические науки» (под ред. И. П. Бардина. М.—Л., Акад. наук ССР, 1945), სადაც ცალკეული შრომების არაერთხელ მოხსენიებულ სათაურებზე დართული აქვთ მხოლოდ მათი ავტორების გვარები.

<sup>63</sup> ეს ეხება, მაგალითად, წიგნს «Очерки по истории Академии наук. Технические науки» (под ред. И. П. Бардина. М.—Л., Акад. наук ССР, 1945), სადაც ცალკეული შრომების არაერთხელ მოხსენიებულ სათაურებზე დართული აქვთ მხოლოდ მათი ავტორების გვარები.

ვნელი, რომლის მიხედვითაც ხდება წიგნების განლაგება ამჟაფრული  
ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში<sup>64</sup>.

3 32036—7		ბერიძე, ვაწრანგ პულოლიძე
		<p>სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII— XVI საუკუნეები. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1955.</p> <p>265 გვ. ილ.-ით; 4 ფ. ილ. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ქართული ხელოვნების ისტო- რიის ინ-ტი). 32 მან. 50 კაბ.</p> <p>ჩეზეუმე რუსულ და გერმანულ ენე- ზე. ბიბლიოგრ. შენიშვნებში.</p>

G<sub>2</sub> G,K

ბარათების განლაგებისათვის უმთავრესად იყენებენ შემდეგი  
სახის კატალოგებს: სისტემატურს, საგნობრივსა და ანბანურს. უშუ-  
ალოდ ბარათებს შორის ათავსებენ გამყოფებს, ე. ი. მუყაოს ბარა-  
თებს გამონაშვერით ზემო ნაწილში. სისტემატურ კატალოგებში გამ-  
ყოფებზე აღნიშნულია ცოდნათა დარგები და მათი ქვედანაყოფები;  
საგნობრივში — საგნები და მოვლენები, რომელთა შესახებაც ლაპა-

<sup>64</sup> საბჭოთა ბიბლიოთეკებში მიღებულია წიგნების განლაგების შემდეგი სახეები: სისტემატური (ცოდნის დარგების და ცალკეული მეცნიერული დისციპლინების მიხედ-  
ვით), ანბანური, ქრონოლოგიური, ორბორაფიული (თარიებზე წიგნების ადგილის მიხედვით), გეოგრაფიული (ქვეყნების, მხარეების, ოლქების და ა. შ. მიხედვით), ლინ-  
გვისტური (ცალკეული ენობრივი ჯგუფების მიხედვით), რიგითი და ფორმატული.

უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ი. კ. გრიგორიევი, ბიბლიოთეკის ფონდების თარგანიზაცია. დამხმარე სახელმძღვანელო საბიბლიოთოების ინსტიტუტების სტუდენტე-  
ბისათვის. თარგმანი ქ. ს. ფოფხაძისა. თბ., «ცოდნა», 1962 276 გვ.—შეთარგმნელის შე-  
ნიშვნა.

<sup>65</sup> ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითზე მარცხნა ზედა კუთხეში მოცემულია წიგნის ფორმატული განლაგების აღმნიშვნელი შიფრის ნიმუში, სადაც 3 აღნიშნავს წიგნის ფორმატს, ხოლო 32036—7 წიგნის საინვერტარო ნომრებს 32036 და 32037-ს. G<sub>2</sub> და G<sub>1</sub>K წარმოადგენენ საკლასიფიკაციი ინდექსებს, რომელთა მიხედვითაც ხდება შესაბამისი ბარათების განლაგება სისტემატურ კატალოგში (ნიმუშად აღებული გვაქვს ბარათი თბი-  
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან). G<sub>2</sub> აღნიშნავს არ-  
ქიტერტურას ხოლო G<sub>1</sub>K - ქართული ხელოვნების ისტორიას—შეთარგმნელის შენიშვნა.

რაკია წიგნში; ანბანურში — ავტორები ან სათაურები გამყოფის უკან მოთავსებულ ბარათებზე აღწერილი წიგნებისა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ სისტემატურ კატალოგებს. მათში წიგნების აღწერილობათა შემცველი ბარათები განლაგებულია ცოდნის დარგების მიხედვით გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით. სისტემატურ კატალოგში გამყოფების შიგნით გამოყოფილია ქვეგამყოფები და უფრო მცირე რუბრიკები, ამის მეონებით სისტემატური კატალოგი საშუალებას იძლევა ადვილად გავერკვეთ როგორც ყოველი მეცნიერების (მთლიანად), ასევე მისი ცალკეული დარგების შესახებ არსებულ ლიტერატურაში. ჩვეულებრივ სისტემატურ კატალოგებს გააჩნიათ ანბანურ-საგნობრივი საძიებლები, ე. ი. კატალოგში აღნიშნული რუბრიკების, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი საგნების, მოვლენებისა და საკითხების დასახელებათა ანბანური სიები. ყოველი საგნის, მოვლენის და საკითხის დასახელების შემდეგ მოცემულია იმ რუბრიკების თუ ქვეგამყოფების პირობითი აღნიშვნები (ინდექსები), რომელთა უკანაც უშუალოდ განლაგებულია შესაბამისი წიგნების აღწერილობანი. ამგვარად, სისტემატური კატალოგის საგნობრივი საძიებლები აადვილებენ ლიტერატურის შერჩევას კერძო საკითხებზე. საკლასიფიკაციო სქემები, რომელთა მიხედვითაც აგებულია სისტემატური კატალოგები, ყველა ბიბლიოთეკაში ერთნაირი როდია. ამიტომ, ვიდრე შევუდგებოდეთ სისტემატური კატალოგის გამოყენებას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავეცნოთ მისი ძირითადი გამყოფების სის, რომელსაც ჩვეულებრივ კედელზე ჰქილებენ ცხრილის სახით და საგნობრივ საძიებელს, რომელიც უფრო ხშირად წარმოდგენილია კარტოთეკის სახით.

არსებით დახმარებას უწევს მკითხველებს აგრეთვე საგნობრივი კატალოგებიც. მათში საკატალოგო ბარათები განლაგებულია წიგნებში გაშუქებული საკითხების, საგნების და მოვლენების დასახელებათა ანბანის მიხედვით. საგნობრივ კატალოგში ბარათების განლაგება მოგვაგონებს ენციკლოპედიურ ლექსიკონს. საგნობრივი კატალოგის ყოველ ბარათზე წიგნის აღწერილობის ზემოთ ჩვეულებრივ წითელი მელნით აწერენ იმ საგნისა თუ საკითხის სახელწოდებას, რასაც ბარათი ეხება. მაგალითად:

## საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა

კახაძე, მ.

ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურა და კულტურულ ცხოვრებაში. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1954.

100 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტი. მეცნ.-პოპულ. სერია).

ამ ცნობებს სამსახურებრივი დანიშნულება აქვთ და ამდენად არ უნდა მივიღოთ მხედველობაში, როცა გვსურს საგნობრივი კატალოგიდან ამოვიწეროთ ცნობები ამა თუ იმ წიგნზე.

საგნობრივი კატალოგები საშუალებას გვაძლევენ შევარჩიოთ ამა თუ იმ კერძო საკითხის, საგნის, თემის ამსახველი ლიტერატურა. ასე, მაგალითად, წიგნები ამა თუ იმ ლითონის დამუშავების სწავლა-სხვა მეთოდების შესახებ თავმოყრილია მისი (ე. ი. ლითონის-ო. გ).

\*\* მოტანილ მაგალითში ჩვენ უცვლელად დატოვეთ საგნობრივი კატალოგის ბარათის ის ფორმა (მხედველობაში საგნობრიობის აღმნიშვნელ რუბრიკის მითითება ბარათის წინა გვერდზე), რომელსაც გვთავაზობს წიგნის აერორი. ბარათის ასეთ გაფორმება ჩვენ არ მივვაჩნია მართებულად შემდეგი მოსაზრების გამო: საგნობრიობის მაჩვენებელი რუბრიკა არაა უცვლელი კატეგორია; ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამ ცვლილებების ასახვა ბარათის წინა გვერდზე. მაგ., «სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი»—«პეტროგრადის უნივერსიტეტი»—«ლენინგრადის უნივერსიტეტი».

აქვთ უნდა შევნიშნოთ ისც, რომ მეცნიერების განვითარების პროცესში რუბრიკებს უფრო კერძო ხსიათი ეძლევათ. მაგალითად, თუ აქამდე ბარათშე, რომელშიც აღწერილი იყო ნაშრომი ტემპერატურასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ კერძო საკითხებს, აღნიშნული იყო რუბრიკა «ტემპერატურა—დაწევის გაზომვა», ახლა ასეთი ნაშრომის შემცველ ბარათშე იძლევანი რუბრიკას «კრიოსკომას». მეორეს მხრივ, გამორიცხული არა, რომ იმ შემთხვევაში, როცა წიგნი აღწერილია სათაურზე, გამოიუცდელმა მეოთხელმა შესაძლოა მიიღოთ არა წიგნის ნამდვილი სათაური, არამედ საგნობრიობის მაჩვენებელი რუბრიკა, რომელიც პირველად ხვდება თვალში.

ამიტომ მიგარინა, რომ რუბრიკა მოთავსებული უნდა იქნეს ბარათის უკანი მხარეს. საგნობრივი კატალოგით სარგებლობის გასაღვილებლად მიზანშეწონილია ერთიდაიმავე საკითხის, საგნის, მოვლენის, ცნების ამსახველი ბარათების წინ მოვათავოთ გამყოფები შესაბამისი რუბრიკების აღნიშვნით (ასეთი საბითაა გამართული საგნობრივი კატალოგები კ. მარქსის სახ. საქართველოს რესპუბლიკურ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში)—მთარგმნელის შენიშვნა.

სახელწოდების ქვეშ; სისტემატურ კატალოგში კი ეს წიგნები გამოცემითია ნეულია გამყოფ „ტექნიკას“ ქვეგამყოფ „ლითონთა ტექნიკლოგიის“ სხვადასხვა რუბრიკების („შეღულება“, „ხეხვა“, „კრა“, და ა. შ.) მიხედვით.

სისტემატურსა და საგნობრივ კატალოგებში როგორც სამამულო, ისე უცხოური გამოცემების აღწერილობათა შემცველი ბარათები განლაგებულია ჩვეულებრივ ერთად, ერთი და იმავე გამყოფების უკან, ამასთანავე ჯერ განლაგებულია რუსულ ენაზე, ხოლო შემდეგ უცხო ენაზე არსებული ლიტერატურა<sup>67</sup>.

როგორც სისტემატურ, ისე საგნობრივ კატალოგებში ფართოდ გამოიყენება ე. წ. მითითებითი ბარათები<sup>68</sup>. მათი ძირითადი დანი-

<sup>67</sup> თუ სისტემატური კატალოგისათვის მიღებულია როგორც სამამულო, ისე უცხოური გამოცემების აღწერილობათა შემცველი ბარათების ერთად განლაგება ყველა ბარათისათვის საერთო საკლასიფიკაციო ინდექსის უკან (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მათუ იმ რესპუბლიკის ფარგლებში მიზანშეწონილია ბარათები განლაგებული იქნეს შესაბამისად ჯერ რესპუბლიკის ენაზე, ხოლო შემდეგ რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული ლიტერატურა), სრულებითაც არა საგალდებულო ბარათების ერთად განლაგების წესი გავარტყელოთ საგნობრივი კატალოგის მიმართაც. ყოველი ბიბლიოთეკა თვითონ წყვეტს რომელი გზა აირჩიოს. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში უცხოურ გამოცემებს საგნობრიობის აღმნიშვნელი რუბრიკა ეძლევა არა რუსულ ენაზე, როგორც რუსეთის ბიბლიოთეკებში, არამედ ქართულ ენაზე.

ამდენადაც საგნობრივ კატალოგში ბარათები თავსდება საგნობრიობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუბრიკების უკან, იმ ბიბლიოთეკებში, სადაც უცხოურ გამოცემებს ქართულთან ერთად ეძლევათ ქართული რუბრიკები, გამორიცხულია რუსული, უცხოური და ქართული ბარათების ერთად განლაგება—მთარგმნელის შენიშვნა.

<sup>68</sup> მითითებითი ბარათები გამოიყენება არა მარტო სისტემატურ და საგნობრივ კატალოგებში, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში ანბანურშიც. როგორც ესა თუ ის აეტორი იცვლის გვარს ან იწყებს ნაწარმოებების გამოქვეყნებას ფსევდონიმით, ცხადია ეს ახალი ნაწარმოებები ანბანურ კატალოგში სულ სხვა აღგილის აღმოჩნდება. მაგალითად, ქართველი პოეტი ალიო მირცხულავა წლების მანძილზე თავის ნაწარმოებებს აქვეყნებდა მაშაშევილის ფსევდონიმით. ამჟამად კი ისევ მირცხულავას სახელით წერს. მასზე ანბანურ კატალოგში დგება შემდეგი სახის მითითებითი ბარათები:

1. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი ა ლ ი თ

ამ აეტორის ნაწარმოებები იხ. კატალოგში აეტორის ნამდვილ გვარზე:

მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა ა ლ ი თ

2. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა ა ლ ი თ

იეტორის ფსევდონიმია

მ ა შ ა შ ვ ი ლ ი ა ლ ი თ

ასეთი მითითებითი ბარათების საშუალებით ერთმანეთთან ეაქაშირებთ მწერლის როგორც ნამდვილ გვარზე, ისე ფსევდონიმზე აწერილ ნაწარმოებებს—მთარგმნელის შენიშვნა.

შესულებაა — დაეხმაროს მკითხველს იმ გამყოფების, ქვეგამყოფების და რუბრიკების მოძებნაში, რომელთა განლაგების აღგილი ან ფორმულირება შესაძლოა მკითხველისათვის უცნობი იყოს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის კატალოგიდან (მაგალითები შეტანილია ჩვენს მიერ — ო. გ.):

სისტემატურ კატალოგში ბარათების ერთი რიგის წინ მოთავსებულ გამყოფს ინდექსით „P<sub>11</sub>“ („ძების გეოლოგიური მეთოდები“) მიცემული აქვს მითითება გამყოფზე საკლასიფიკაციო ინდექსით „R<sub>73</sub>“ („გეოლოგიური-საბიქტო საქმე“). საგნობრივ კატალოგშიც გამყოფს რუბრიკით „ორიენტალისტიკა“ მიცემული აქვს მითითება სი. ხომოსავლეთმცოდნეობა“. მაშასწავლამე, შეკვეთარი, რომელიც დაინტერესებულია გეოლოგიური ძების სხვადასხვა საკითხებით, სისტემატურ კატალოგში საჭირო ლიტერატურას მოძებნის ინდექსზე „R<sub>73</sub>“. ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიით, ლიტერატურით, ხელოვნებით, ეთნოგრაფიით და ა. შ. დაინტერესებული მკითხველი საგნობრივ კატალოგში საჭირო ლიტერატურას იპოვის რუბრიკაზე „აღმოსავლეთმცოდნეობა“.

მითითებების საშუალებით ერთმანეთს ვუკავშირებთ იმ საკითხებსა და საგნებსა, რომლებიც ახლო არიან ერთმანეთთან შინაარსით, მაგრამ გაბნეული არიან სხვადასხვა კატალოგებში. მაგ., საფრანგეთ-პრუსიის 1871 წლის ომის შესახებ საჭირო ლიტერატურას სისტემატურ კატალოგში მკითხველი იპოვის არა მარტო „C (43) 315“-ზე, არამედ „C (44) 32“-ზეც, რომელიც მოიცავს ფონდში არსებულ ყველა ლიტერატურას საერთოდ საფრანგეთის ისტორიაზე. ასევე კავკასიური ენებით დაინტერესებული მკითხველი საგნობრივ კატალოგში საჭირო ლიტერატურას იპოვის როგორც ზოგადი ხასიათის რუბრიკაზე „კავკასიური ენები“, ასევე უფრო კონკრეტული ხასიათის რუბრიკებზეც: „აფხაზური ენა“, „მეგრულ-ჭანური ენა“ და სხვ.

ანბანურ კატალოგებში აღწერილობითი ბარათები განლაგებულია ავტორების ან იმ წიგნების სათაურთა ანბანის მიხედვით, რომელთა ავტორები მითითებული არ არიან, აგრეთვე დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ე. წ. კოლეჯების ავტორების სახელწოდებათა ანბანის მიხედვით. ეს კატალოგები, ჩვეულებრივ, ყველაზე სრულია, მაგრამ მათი დახმარებით ცნობები შეიძლება მივიღოთ მხოლოდ იმ წიგნებზე, რომელთა ავტორები ან სათაურები (თუ ავ-



ტორები მითითებული არა) უკვე ცნობილია. ამიტომ ანბანური კატალოგის  
ტალოგების როლი თემების მიხედვით ლიტერატურის შერჩევის შეს  
შედარებით მცირეა. მიუხედავად ამისა ეს კატალოგები შეიძლება  
გამოვიყენოთ არა მარტო გარევეული ავტორების და ორგანიზაციე-  
ბის შრომების ყველა გამოცემების მოსახებნად, არამედ წიგნებზე  
ჩვენს ხელთ არსებული ბიბლიოგრაფიული ცნობების შესავსებად ან  
დასაზუსტებლად და წიგნების შიფრების დასაღენად. ანბანურ კა-  
ტალოგებში წიგნების მოძებნა არსებითად ადვილდება იმით, რომ  
მათში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ე. წ. დამატებითი აღწე-  
რილობანი, ე. ი. შემოკლებული აღწერილობანი წიგნებისა, რომლე-  
ბიც განლაგებულია თანაავტორების გვარებზე, აგრეთვე კოლექტი-  
ური ავტორების მიერ შედგენილი წიგნების სათაურებზე.

უცხო ენებზე, აგრეთვე სარკ ზალხთა ენებზე არსებული გამო-  
ცემების ანბანური კატალოგები სხვადასხვა ანბანების შეუსაბამობის  
გამო ეწყობა რუსული წიგნების ანბანური კატალოგისაგან განცალ-  
კევებით.

მითითება სისტემატურ კატალოგში.

P<sub>11</sub> - ძიების  
გეოლოგური მუზეუმი

იბ.

R<sub>73</sub> გეოლოგიური - საძიებო საქმე

მითითება საგნობრივ კატალოგში

		ორიენტალისტიკა
		იხ. ოღმოსავლეთმცოდნეობა

მითითება სისტემატურ კატალოგში

C(43) 315 -

- ცაფრანგეთ-ჩლენის ამი 1871 წ

იხ. ცაფრანგე  
 C(44) 32 - ცაფრანგეთის ისტორია

მითითება საგნობრივ კატალოგში

	კავკასიური ენები
	იხ. აგრეთვე ამ ენათა ჯგუფის ცალკეული ენები: აფხაზური ენა მეგრულ-ჭანური ენა სვანური ენა ქართველური ენები ქართული ენა



კატალოგების სისტემის ყოველ ბიბლიოთეკაში თავისი არსებობაზე  
თი თავისებურებანი გააჩნია. ამიტომ, ვიდრე შევუდგებოდეთ კტრა-  
ლოგებთან მუშაობას, წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ მოცემულ ბიბ-  
ლიოთეკაში მათი ორგანიზაციის სპეციფიკაზე. ამაში არსებით დახმა-  
რებას გვიშევს „მეითხველის სამახსოვრო“, გზამკვლევები და ზოგი-  
ერთი მსხვილი ბიბლიოთეკის ანალოგიური გამოცემები<sup>69</sup>, აგრეთვე  
ბიბლიოთეკების თანამშრომელთა კონსულტაციები.

ამჟამად ვ. ი. ლენინის სახ. სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის  
ეკლემლვანელობით, მრავალი მსხვილი ბიბლიოთეკის კოლექტიური  
შრომით აღვენენ საბჭოთა კავშირის უდიდეს ბიბლიოთეკებში და-  
ცული რუსული წიგნის შეერთებულ საბარათო კატალოგს. ამ სამუ-  
შაოს დამთავრება და ბეჭდური შეერთებული კატალოგის გამოსვლა  
მნიშვნელოვნად გააადვილებს სამამულო წიგნების შერჩევას. მის დამ-  
თავრებამდე ყოველ სპეციალისტს უხდება დამოუკიდებლად შეავ-  
სოს ის ხარვეზები მისთვის საინტერესო თემის ირგვლივ, რასაც ად-  
გილი აქვს ცალკეული ბიბლიოთეკების კატალოგებში.

ჩვენი ძველნის ბიბლიოთეკებში აღვენენ საუზრნალო და საგა-  
ზეთო სტატიების სხვადასხვაგვარ კარტოთეკებს. ზოგჯერ ისინი შე-  
იცავენ წიგნების აღწერილობასაც. რამდენადაც კარტოთეკები, ჩვე-  
ულებრივ, საქმიანო ფართოდ ასახავენ პერიოდული გამოცემების  
უახლეს მასალებს, მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ ლიტერატურის  
პირველადი შერჩევის პროცესში. ყველაზე მდიდარი კარტოთეკები  
უპირველეს ყოვლისა მსხვილ დარგობრივ და სპეციალურ ბიბლიო-  
თეკებშია.

ამა თუ იმ ბიბლიოთეკის კარტოთეკების თემატიკა მჭიდროდაა  
დაკავშირებული მოცემული ბიბლიოთეკის თავისებურებასთან. მა-  
გალითად, მ. ე. სალტიკოვ-შედრინის სახელობის სახელმწიფო სა-

<sup>69</sup> Путеводитель по каталогам Библиотеки имени В. И. Ленина. З-е изд. М., 1952, 44 стр. (Гос. б-ка СССР им. В. И. Ленина).

Памятка читателю. Л., 1954, 28 стр. (Гос. Публ. б-ка им. Салтыкова-Щедрина).

Как пользоваться систематическим каталогом научных читальных залов. Памятка читателю. Л., 1955, 21 стр. (Гос. Публ. б-ка им. Салтыкова-Щедрина).

Спутник читателя. М.—Л., Акад. наук СССР, 1951, 86 стр. (Акад. наук СССР. Б-ка).

მოკლე ცნობარი. თბ., 1957, 52 გვ. (კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუ-  
ბლიკური ბიბლიოთეკა).



ჯარო ბიბლიოთეკაში ყოველ სამკითხველო დარბაზს გააჩნია ბიბლიოთეკის ნალო და საგაზიონო სტატიების კარტოთეკა მისი მკითხველების სპეციალობის მიხედვით. ს. კიროვის სახელობის ურალის პოლიტექნიკური კური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში აქვთ კარტოთეკა „ურალის ტექნიკა და მრეწველობა“, ხოლო ლატვიის სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში — კარტოთეკა საბჭოთა ლატვიის შესახებ რესპუბლიკური და ცენტრალური გამოცემების მასალებზე. ამასთანავე ერთად ბიბლიოთეკებში აქვთ საიუბილეო თარიღებისადმი, სხვადასხვა აქტუალური ამბებისადმი თუ საყითხებისადმი მიძღვნილი კარტოთეკები. ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს უკრაინის სსრ სახელმწიფო ისტორიულ ბიბლიოთეკაში შედგენილი ვრცელი კარტოთეკა „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წელი“.

თემატური კარტოთეკების გარდა ხშირად აღგენენ ლიტერატურის ცალკეული სახეების, მაგალითად, დისერტაციათა ცვტორეფერატების კარტოთეკებს.

მსხვილ ბიბლიოთეკებში აქვთ ავრეთვე ბიბლიოგრაფიული სიების კარტოთეკები, რომლებიც შედგენილია ცალკეული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სპეციალისტების მოთხოვნით. ამ გამოუქვეყნებელი მასალების გამოყენებას ასევე არ არ არ არ არ გაწევა შეუძლია წიგნებისა და სტატიების შერჩევისას.

კარტოთეკებში აღწერილობანი უფრო ჰშირად განლაგებულია სისტემატური ნიშნის მიხედვით. სისტემატური კარტოთეკების შედგენისას გამოყენებული საკლასიფიკაციო სქემები ისევე განსხვავებულია ერთმანეთისაგან, როგორც საკატალოგო სქემები. ანბანურ-საგნობრივი კარტოთეკები იშვიათად გვხვდება, ხოლო კარტოთეკები ბარათებისა, რომლებიც განლაგებულია ცვტორთა და სტატიების სახელწოდებათა ანბანის მიხედვით, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი არ იძლევიან საშუალებას სწრაფად გამოვავლინოთ ლიტერატურა გარკვეულ თემაზე. ამა თუ იმ ბიბლიოთეკაში შედგენილი მრავალი სახის კარტოთეკების გამოსაყენებლად რჩევისათვის უნდა მივმართოთ მორიგე ბიბლიოგრაფს.

დამხმარე ბიბლიოგრაფიული საძიებლები

საჭვლელი თემაზე ლიტერატურის შერჩევისათვის იყენებენ სხვადასხვაგვარ დამხმარე ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს, რომლებიც

ერთნაირად სრულფასოვანი როდი არიან მასალების სიუხვითა კადრისა  
მათი გამოვლენის მოხერხებულობით.

საბუღალტო

ყველაზე მოხახერხებელია ის საძიებლები, რომლებიც მთლია-  
ნად ან მნიშვნელოვანწილად შეეხებიან შესასწავლ თემას. ასეთ  
დამხმარე საძიებლებში ჩვეულებრივ მეტი სისრულითაა ასახული  
ლიტერატურის სხვადასხვა კახეები, თანაც აღწერილობანი განლა-  
გებულია დეტალური საკლასიფიკაციო სქემების მიხედვით, რაც სა-  
შუალებას იძლევა სწრაფად მოვდებნოთ წყაროები კერძო საკითხებ-  
ზე. ასე მაგალითად, დაწვრილებით სისტემატიზირებულ საძიებელ-  
ში «Научная литература по диэлектрикам»<sup>70</sup> აღწერილი და  
აუცილებელ შემთხვევებში ანოტირებულია რუსულ ენაზე არ-  
სებული წიგნები, სტატიები, რეცენზიები და რეფერატები, და-  
წყებული საკვლევ თემასთან დაკავშირებული პირველი შრომებით  
და აგრეთვე უცხო ენებზე 1930 წლიდან გამოსული ლიტერატურა.  
ამ საძიებლის გამოსვლამდე მეტად შრომატევადი იყო მასში აღწე-  
რილი სხვადასხვაგვარი მასალის გამოვლენა, ვინაიდან საჭირო იყო  
არა მარტო დარგობრივი, არამედ რამდენიმე წლის განმავლობაში გა-  
მოსული ისეთი ზოგადი ხასიათის სამამულო და უცხოური ბიბლი-  
ოგრაფიული უზრნალების გადათვალიერება, როგორიცაა: «Новости  
технической литературы. Энергетика и энергопромышленность»,  
«Летопись журнальных статей», «Книжная летопись»,  
«Engineering index», «Science abstracts» და სხვ.

შესასწავლ თემასთან შეიძლება ახლოს იყოს არა მარტო თემა-  
ტური, არამედ პერსონალური ბიბლიოგრაფიული საძიებლები. ეს  
უკანასკნელი, ჩვეულებრივ, შეიცავენ გარკვეული პირის შრომე-  
ბის, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე არსებული ლიტერატურის  
სიებს, აგრეთვე მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვეებს. მაგალითად, ცნო-  
ბილი რუსი მათემატიკოსისა და მექანიკოსის, აკადემიკოს ა. ლიაბუ-  
ნოვისადმი მიძღვნილ ბიბლიოგრაფიაში<sup>71</sup> მოცემულია: მისი შრომე-  
ბის ანოტირებული საძიებელი, რომელიც მოიცავს ცალკე ამონა-  
ბეჭდებს, განმეორებით გამოცემებს, რეფერატებს, წერილებს და

<sup>70</sup> Научная литература по диэлектрикам. М., Акад. наук СССР, 1952, 671 стр. (Физ. ин-т им. Лебедева).

<sup>71</sup> А. М. Лукомская, Александр Михайлович Ляпунов. Библиография. Под ред. В. И. Смирнова. М.—Л., Акад. наук СССР, 1953, 268 стр. (Акад. наук СССР. Б-ка. Комиссия по истории физ.-матем. наук).



სხვ., მასალების კრებული მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დადგინდება საბჭოთა მათემატიკოსების — მისი მიმღევრების შრომების უსაქართველოს სავალ ნაწილში დაბეჭდილია სტატიები ლიაპუნოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. და საბჭოთა მეცნიერების შრომებზე მოძრაობის მდგრადობის თეორიის დაზუში.

არსებითი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე ცოდნის ამა თუ იმ დარგისადმი მიღვნილ უფრო ფართო შინაარსის მქონე ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს. ისინი პირველასრისხვაან როლს თამაშობენ იმ არაიშვიათ შემთხვევებში, როცა არა გვაქვს შესაბამისი თემატური ან პერსონალური, ბიბლიოგრაფიები. ფართო პროფილის დარგობრივი საძიებლები უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე დამატებითი ლიტერატურის გამოცემისათვის იმ შემთხვევაში, როცა არსებულ თემატურ და პერსონალურ საძიებლებში ასახული არაა თემისათვის საჭირო ლიტერატურის ყველა სახეები. მაგალითად, საძიებელში «Клиника и лечение заболеваний пояснично-крестцового отдела периферической нервной системы»<sup>72</sup> ასახული არაა 1935 წლამდე გამოცემული მონოგრაფიული ლიტერატურა და 1941 წლამდე გამოქვეყნებული საყურნალო სტატიები; არხების დაპროექტებისადმი, მშენებლობისადმი და ექსპლოატაციისადმი მიღვნილ საძიებელში<sup>73</sup> არაა ცნობები უცხოური ლიტერატურის შესახებ. ზემოთ მოხსენიებული კაპიტალური ცნობარი «Научная литература по диэлектрикам» არ შეიცავს შრომებს ელექტროსაიზოლაციო მასალების დამზადების ტექნოლოგიაზე და დამუშავებაზე.

ჩიგ შემთხვევებში დარგობრივი ბიბლიოგრაფიული საძიებლები არ ასახვენ ყველა საპროფილო ლიტერატურას მკვლევარისათვის საინტერესო პერიოდზე. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება ზოგადი ბიბლიოგრაფიების გამოყენება. მათ უნდა მივმართოთ უახლესი შრომების შერჩევისათვის, რამდენადაც ისინი ზოგადი ხსიათის მიმდინარე ბიბლიოგრაფიებშია ასახული უფრო ოპერატიულად.

<sup>72</sup> Клиника и лечение заболеваний пояснично-крестцового отдела периферической нервной системы. Библиогр. указатель. Харьков, 1951, 12 стр. (Харьковская гос. науч. мед. б-ка. К 90-летию основания ХГИМБ. 1861—1951. В помощь медработнику).

<sup>73</sup> В. А. Зверева, Каналы. Проектирование, строительство и эксплуатация. Под ред: Г. М. Божко-Степаненко. М., 1954, 190 стр. (М-во культуры СССР. Гос. науч. б-ка. Инженеру и технику.).

რამდენიმე თემაზე ლიტერატურის ძებნისას დიდი სარგებლობის მიერაცხვა შეუძლია ქვეყანათმცოდნეობის და სამხარეთმცოდნეო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას. ესაა სიები შრომებისა, რომლებშიც ისახულია ამა თუ იმ ქვეყნის, ხალხის, მხარის, ოლქისა და ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

მთლიანად რუსეთისადმი მიძღვნილი ბიბლიოგრაფიებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ა. ჩერტკოვის ბიბლიოთეკის კატალოგი<sup>74</sup>. ამ სისტემატურ სახელმძღვანელოში ისახულია უპირატესად მე-18 საუკუნის და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსული და უცხოური წიგნები. მასში მთავარი ყურადღება ისტორიასა და გეოგრაფიაზეა მიქცეული. 1870 წლამდე დაბეჭდილი უცხოური გამოცემების შესახებ უფრო სრულ ცნობებს შეიცავს პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის (ამჟამად მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა) განყოფილება «Россика»-ს ანბანური კატალოგი<sup>75</sup>. ამ შრომას თანდართული აქვს მეტად დეტალური დამხმარე სისტემატური საძიებელი.

არის სხვა ქვეყნებისადმი (მაგ. ჩინეთი<sup>76</sup> და იაპონია<sup>77</sup>) მიძღვნილი ანალოგიური სახელმძღვანელოებიც.

ჩვენი სამშობლოს ცალკეული ნაწილების შესახებ არსებული ლიტერატურის საძიებლების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ვ. მე-

<sup>74</sup> А. Д. Ч е р т к о в, Всеобщая библиотека России, или каталог книг для изучения нашего отечества во всех отношениях и подробностях. Изд. 2-е, испр. и доп. Т. 1—2. М., тип. Грачева и К°, 1863—1864.

<sup>75</sup> Catalogue de la section des Russica ou écrits sur la Russie en langues étrangères. T. 1—2. St.-Pétersbourg, 1873 (Bibliothèque impériale publique de St.-Pétersbourg).

[ჩოსიյას განყოფილების ანუ რუსეთის შესახებ უცხო ენებზე არსებული ნაშრომების კატალოგი]

<sup>76</sup> Cordier H. Bibliotheca sinica. Dictionnaire bibliographique des ouvrages relatifs à l'Empire chinois. 2-me éd. Fasc. 1—12. Paris, Guilmoto, Geuthner, 1904—1924.

[ჩინური ბიბლიოთეკა]

<sup>77</sup> Wenckstern F. A. Bibliography of the Japanese empire. Vol. 1—2. Leiden, Brill; Tokyo, Maruya, 1895—1907.

[იაპონიის იმპერიის ბიბლიოგრაფია]

Nachod O. Bibliographie von Japan. 1906—1932, Bd. 1—4. Leipzig, Hirsemann, 1928—1935.

[იაპონიის ბიბლიოგრაფია]



յոғысы «Сибирская библиография»<sup>78</sup>, რომელშიც რეგисტრირებულია წიგნის ბეჭდვის დაწყებიდან 1890 წლამდე რუსულ და სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული 25 ათასზე მეტი წიგნი და საუკრნალო სტატია ციმბირის ბუნებრივი პირობების, ისტორიის, ეკონომიკისა და კულტურის შესახებ; საძიებლები კავკასიაზე<sup>79</sup>, არხანგელსკის გუბერნიაზე<sup>80</sup>, არხანგელსკის მხარეზე<sup>81</sup>, ყირიმზე<sup>82</sup>, ყუბანზე<sup>83</sup>, ბურიატ-მონღოლეთზე<sup>84</sup>, შორეულ აღმოსავლეთის მხარეზე<sup>85</sup>.

ცალკეული პირებისადმი მიღვნილი ან მათ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ თემებზე მასალების მოსაძებნად, როცა მათზე არაა პერსონალური ბიბლიოგრაფიები, საჭიროა გამოვიყენოთ ზოგადი ბიბლიოგრაფიული ლექსიკონები. ეს გამოცემები შეიცავენ ფაქტიურ ცნობებს ცალკეული პირების ცხოვრების შესახებ, მათ შრომებზე და მათდამი მიღვნილ ლიტერატურაზე. ასე, მაგალითად, ს. ვენგეროვის ლექსიკონები საშუალებას იძლევიან შევარჩიოთ მა-

<sup>78</sup> В. И. Межов, Сибирская библиография. Указатель книг и статей о Сибири на русском языке и одних только книг на иностранных языках за весь период книгопечатания. т. 1—3. СПб., 1891—1903.

<sup>79</sup> М. М. Миансаров, Bibliographia Caucasika et Transcaucasica. Опыт справочного систематического каталога печатных сочинениям о Кавказе, Закавказье и племенах, эти края населяющих. т. I. Огд. 1 и 2. СПб., тип. О. И. Бакста и Гогенфельден и К°, 1874—1876, 804 стр.

<sup>80</sup> П. А. Иванов и Л. С. Личков, Библиографический указатель статей и заметок об Архангельской губернии... Архангельск, Изд. Губ. статист. ком-та, 1881, 132 стр.

<sup>81</sup> Ф. Шперк, Опыт хронологического указателя литературы об Архангельском крае с 1473 по 1887 г. включительно. СПб., Изд. Астрахан. губ. статист. ком-та, 1892, 249 стр.

<sup>82</sup> А. И. Маркевич, Taurica. Опыт указателя сочинений, касающихся Крыма и Таврической губернии вообще. Симферополь, Таврич. губ. тип. 1894. III, 394 стр.

<sup>83</sup> Е. Д. Фелицын, Библиографический указатель литературы о Кубанской области, кубанском казачьем войске и Черноморской губернии. Вып. 1—9 Екатеринодар, тип. И. Ф. Бойко и Кубанского обл. правления, 1899—1914.

Вып. 1—5 — основные; 6—9 — дополнительные.

<sup>84</sup> Библиография Бурят-Монголии за 1890—1936 гг. Сост. под руководством Н. В. Здобнова. т. I, 3, 4. М.—Л., Акад. наук СССР, 1939—1946.

Т. I. Естествознание. 1939, 625 стр.

Т. 3. Сельское, лесное, пушно-зверовое и рыбное хозяйство. 1946. 534 стр.  
Т. 4. Здравоохранение. 1940, 22 стр.

<sup>85</sup> Библиография Дальневосточного края. 1890—1931, т. 1—2. М., Изд. Всесоюз. ассоциации с.-х. библиографии, 1935.

Т. I. Физическая география. 377 стр.

Т. 2 Геология, полезные ископаемые, палеонтология. 415 стр.

სალა ათი ათასობით მწერლებისა და მეცნიერების მოღვაწეობის უშესებულებების სახებ „რუსული განათლებულობის“ დასაწყისიდან მე-20 საუკუნემდე<sup>86</sup>.

„რუსული ბიოგრაფიული ლექსიკონი“<sup>87</sup>, მიუხედავად მრავალი იდეოლოგიური და სტრუქტურული ნაკლოვანებისა, დიდი რაოდენობით შეიცავს მითითებებს საზოგადოებრივი ცხოვრების, მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების სხვადასხვა სფეროებში მომუშავე და მე-20 საუკუნემდე გარდაცვლილი თითქმის 40 ათასი პირის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ლიტერატურაზე. ი. მასანოვის ლექსიკონში<sup>88</sup> გახსნილია 10 ათასამდე ფსევდონიმი იმ პირებისა, რომლებმაც მეტ-ნაკლებად შესამჩნევი კვალი დატოვეს რუსული კულტურის ისტორიაში. ჩვენი ქვეყნის ცალკეული ნაწილების მკვიდრთა და მოღვაწეთა ლექსიკონები გამოიჩინებიან ადგილობრივი პრესის მასალების სიუხვით; მათი გამოვლენა მეტად ბევრ შრომას მოითხოვს. ასეთებია, მაგალითად, საძიებლები ვლადიმირის გუბერნიის მოღვაწეთა<sup>89</sup> და რიაზანის გუბერნიის მკვიდრთა შესახებ<sup>90</sup>.

<sup>86</sup> С. А. Венгеров, Критико-биографический словарь русских писателей и ученых (от начала русской образованности до наших дней.). Т. 1—6 СПб., тип. М. М. Стасюлевича, 1889—1904.

მოცავს უმთავრესად მოღვაწეებს [რუსულ] ანბანის პირველ სამ ასოზე.

Русские книги. С биографическими данными об авторах и переводчиках (1708—1893). Ред. С. А. Венгерова. Т. 1—3. СПб., Изд. Г. В. Юдина, 1895—1899.

მოცავს გვარებს ანბანის პირველი ასოდან «Вавилов»-მდე.

Венгеров С. А., Источники словаря русских писателей. Т. 1—4. СПб.—Пг.—тип. Акад. наук, 1900—1917.

მოცავს გვარებს ანბანის პირველი ასოდან «Некрасов»-მდე.

<sup>87</sup> Русский биографический словарь. Т. [1—25]. М.—СПб.—Пг., Изд. Русского историч. о-ва, 1896—1918.

გამოცემა არ დამთავრებულა. მასში მოცემულია მასალა იმ მოღვაწეებზე, რომელთა გვარები იწყება რუსული ანბანის სხვადასხვა ასოებზე, გარდა «В», «Е», «М» და «У»-სა.

<sup>88</sup> И. Ф. Масанов, Словарь псевдонимов русских писателей, ученых и общественных деятелей. Т. 1—3. М., Всесоюз. кн. палата, 1941—1949.

უფრო ვრცელი მასალა გმბოქვეყნებული იქნება ამ ლექსიკონის მე-2, ოთხომიან გამოცემაში. ამ გმბოქვემის პირველი ტომი გმბოვიდა 1956 წელს.

<sup>89</sup> А. В. Смирнов, Уроженцы и деятели Владимирской губернии, получившие известность на различных поприщах общественной пользы. (Материалы для биобиографического словаря). Вып. 1—5. Владимир, тип. Губ. правления, 1896—1917.

<sup>90</sup> И. В. Добролюбов и С. Д. Яхонтов, Библиографический словарь писателей, ученых и художников уроженцев (преимущественно) Рязанской губернии. Рязань, Изд. Архив. комиссии, 1910, 352 стр. (К 25 летию Рязанск. архив. комиссии).

ამრიგად, პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებენ ისახურებელები, რომლებიც მთლიანად ან მნიშვნელოვანწილად ეხებიან არჩეულ თემას. დარგობრივი ბიბლიოგრაფიული საძიებლები უნდა გამოვიყენოთ როგორც არსებული თემატური ან პერსონალური ბიბლიოგრაფიების დამატება. ბოლოს, ზოგადი ხასიათის ბიბლიოგრაფიული საძიებლები გვევლინებიან როგორც წყარო იმ ცნობებისა, რომლებიც არაა ისახული დარგობრივ საძიებლებში.

მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული შრომების შესახებ ცნობების მიღებას ზოგჯერ ვახერხებთ მუშაობის დასაწყისშივე, გზადაგზა, ამა თუ იმ საკითხზე უმნიშვნელოვანესი ლიტერატურის გამოვლენისას. ასე, მაგალითად, ენციკლოპედიურ ლექსიკონებში მოთავსებულ სტატიებზე და ამა თუ იმ სპეციალობაში კაპიტალურ შრომებზე თანდართული სიები ასახავენ არა მარტო წიგნებსა და სტატიებს, არამედ ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საძიებლებსაც. საბიბლიოთეკო კატალოგებში ათავსებენ ბარათებს, რომლებშიც აღწერილია ცალკეულ გამოცემებად გამოსული ბიბლიოგრაფიული საძიებლები. ძირითადი ლიტერატურის გამოვლენისას ბიბლიოგრაფიებზე მიღებულ ცნობებს ჩეკულებრივ ვავსებთ თვით ლიტერატურის შესწავლისას სტატიებისა და წიგნის ბოლოში მოცემული ბიბლიოგრაფიის გადათვალიერების გზით.

მაგრამ მათი ასეთი გზით გაცნობა რამდენადმე შემთხვევით ხასიათს ატარებს და ამიტომ, ცხადია, ვერ დაგვარწმუნებს იმაში, რომ მოძებნილია ყველაზე სასარგებლო წყაროები.

ბიბლიოგრაფიული საძიებლების გამოვლენისათვის ყველაზე ძვირფასი და საიმედო წყაროა მათი სიები — ე. წ. ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიები.

ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიებიც იყოფა ზოგადად და დარგობრივად. პირველი — ესაა სხვადასხვა სახის, როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი ბიბლიოგრაფიული ცნობარების კრებული. სპეციალური დარგობრივი ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიები ცოდნის მხოლოდ რამდენიმე დარგს გააჩნია.



ვიწყებთ რა ბიბლიოგრაფიული საძიებლის გამოყენებას, ცენტრალური რო წინასიტყვაობის, საჩქევისა და ძირითადი ტექსტის გადათვალი-ერების გზით დავადგინოთ რა მიზნებს ისახავდა საძიებლის შემდგე-ნელი, მყითხველთა რომელი წრისთვისაა განკუთვნილი იგი, როგო-რია მისი შინაარსი, რა მოცულობითაა მასში ასახული მასალა, რა თავისებურებით გამოიჩინა აღწერილობა, როგორაა განლაგებული მასალა, როგორია დამხმარე საძიებლების სისტემა.

საძიებლის ასეთი წინასწარი გაცნობა საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ — შეესაბამება თუ არა იგი ლიტერატურის გამოვლე-ნის ამოცანები. ასე, მაგალითად, პედაგოგიური, საგიტაციო-პრო-პაგანდისტული მუშაობისათვის და თვითგანვითარებისათვის მასა-ლების შერჩევისას ცველაზე უფრო მიზანშეწონილია გამოვიყენოთ უახლესი სარეკომენდაცია ბიბლიოგრაფიები, ხოლო როცა ლიტე-რატურის შერჩევას ვაწარმოებთ სამეცნიერო-საკულტურული თემისათვის, უნდა მივმართოთ სარეგისტრაცია საძიებლებს, რომელთა დახმარე-ბითაც შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ არა მარტო იმაზე, თუ რა სტადიაშია არჩეული საკითხის დამუშავება, არამედ იმაზეც, თუ რა გზით შეიძლება მოცემული საკითხის შესწავლა.

გამოვლენილი ბიბლიოგრაფიების თავისებურებების გაცნობა საჭიროა აგრეთვე იმისათვის, რომ შევაჯროთ ისინი და დავადგინოთ რა მიმართებით არ შეესაბამებიან ისინი ლიტერატურის მოძებნის გეგმას, რა კონკრეტულ დამატებებს საჭიროებენ.

სახელთა და საგანთა დამხმარე საძიებლები საშუალებას გვაძლე-ვენ გავიკოთ როგორი მოცულობითაა მათში ასახული ცალკეული პირების მოღვაწეობასთან დაკავშირებული ან ცალკეული, ვიწრო საკითხებისადმი მიძღვნილი მასალა. საძიებლის წინასწარ გაცნობი-სას უნდა დავადგინოთ აგრეთვე, ხომ არ მოგვცემს დამხმარე პარა-ტი იმის საშუალებას, რომ თავიდან ავიცილოთ მთელი წიგნის თა-ვიდან ბოლომდე ან მისი ნაწილების გადათვალიერება, რაც ზოგჯერ შესაძლებელია, როცა ხელთა გვაქვს ვრცელი საგნობრივი საძიებე-ლი. საძიებლის განცოფილებების შერჩევისას არ უნდა დავკმაყო-ფილდეთ მხოლოდ იმ განცოფილებების თავიდან ბოლომდე გადათ-ვალიერებით, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ არჩეულ დარგთან. არსებითი სარგებლობის მოტანა შეუძლია იმ განცოფილებებსაც, რომლებიც მიძღვნილია მომიჯნავე საკითხებისადმი. ამის შემდეგ სა-ჭიროა გამოვიყენოთ დამხმარე პარატი, რათა შევამოწმოთ, ხომ არ გამოვვრჩა გადაუთვალიერებელი წიგნის ის განცოფილებები, რომ-

ლებშიც ასახულია მკვლევარისათვის არსებითი მნიშვნელობას შექმნა  
შრომები. საკვლევი ომისათვის საჭირო ნაბეჭდი შრომების გამოვ-  
ლენა უნდა ვაწარმოოთ უკუ-ქრონოლოგიური წესით, ე. ი. დავი-  
წყოთ იმ საძიებლების გადათვალიერებით, რომლებშიც ასახულია  
უახლესი გამოცემები. უახლესი პერიოდის ლიტერატურის შერჩე-  
ვის შემდეგ უშუალოდ უნდა გავეცნოთ მას და მხოლოდ მას შემდეგ  
უნდა შეუდგეთ წინა წლებში გამოქვეყნებული მასალების ძებნასა  
და შესწავლას.

### ბეჭდური ნაწარმოებების აღწერილობის ძირითადი წესები

ბეჭდური ნაწარმოებების სწორად აღწერა საშუალებას გვაძ-  
ლეს სწრაფად ვიპოვოთ გარკვეული გამოცემები და დროის დაუ-  
კარგავად მივიღოთ ისინი ბიბლიოთეკებში. წიგნების, პერიოდული  
გამოცემების და მათში მოთავსებული სტატიების სწორი აღწერი-  
ლობის ცოდნა მეტად საჭიროა ნაბეჭდ წყაროებზე მითითებების გა-  
ფორმებისას, სამეცნიერო შრომების თემებისათვის ლიტერატურის  
სიის შედგენისას, ხელნაწერის დასაბეჭდად გამზადებისას.

სამწუხაროდ, ყველა მეცნიერი მუშაკი სათანადო მნიშვნელობას  
როდი ანიჭებს ბეჭდური ნაწარმოებების სწორად აღწერას. ამის შე-  
დეგად როგორც ნაბეჭდ შრომებში, ასევე ბიბლიოთეკებისათვის გაგ-  
ზავნილ მოთხოვნის ბარათებში საქმაო რაოდენობით გვხვდება თა-  
ვისებური ბიბლიოგრაფიული გამოცანები. ხშირად სტატია მითითე-  
ბულია როგორც წიგნი, გამოტოვებული ან დამახინჯებულია ავტო-  
რის გვარი, არასწორადაა მითითებული სათაური, აღნიშნული არა  
გამოცემის ადგილი და ა. შ. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს დიდი  
ღრმ უნდებათ მსგავსი გამოცანების გამოსაცნობად, ხოლო მათი ავ-  
ტორები — მკითხველები დიდხანს, ზოგჯერ ამაოდ ელოდებიან სა-  
ჭირო ლიტერატურას.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ დროის  
უნაყოფო კარგვა, რაც გამოშვეულია ლიტერატურის არასწორად  
აღწერით, საჭიროა დავიცვათ ბეჭდური ნაწარმოებების აღწერილო-  
ბის ძირითადი წესები.

აღწერილობის წესებიდან აქ ჩვენს მიერ გადმოცემულია მხო-  
ლოდ მისი უმნიშვნელოვანესი მომენტები. საბიბლიოთეკო კატალ-  
ებში და მრავალ სააღრიცხვო-სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიებში  
წიგნების აღწერილობა ბევრად უფრო დაწვრილებითია. წიგნების

აღწერილობათა შესახებ უფრო სრული ცნობების მიღება შეიძლება შეიძლება სპეციალურ სახელმძღვანელოში<sup>91</sup>.

### აღწერილობის ელემენტები

ბეჭდური ნაწარმოებების აღწერილობა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

1. ავტორის გვარი და ინიციალები<sup>92</sup>.
  2. ნაწარმოების სათაური.
  3. ქვესათაური, ე. ი. ცნობები, რომლებიც უშუალოდ მოსდევს სათაურს. ისინი აზუსტებენ ნაწარმოების სათაურს, მიუთითებენ მის უანრს ან ფორმას, გამოცემის განმეორებადობას, მიზნობრივ და მკითხველურ (ე. ი. თუ რომელი მკითხველის თვისაა გათვალისწინებული) დანიშნულებას, გვარსა და ინიციალებს იმ პირებისას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოცემული ნაშრომისა თუ ნაწარმოების შექმნაში — რედაქტორების, მთარგმნელების, წინასიტყვაობათა ავტორებისა და ა. შ.
  4. ბეჭდილობითი ცნობები, ე. ი. გამოცემის ადგილი, გამომცემლობა და გამოცემის წელი.
  5. გვერდების რაოდენობა.
  6. ზესათაური, ე. ი. ცნობები, რომლებიც წინ უსწრებენ ავტორის გვარსა და სათაურს. ისინი მიუთითებენ სერიის სათაურს, აგრეთვე იმ დაწესებულებისა და ორგანიზაციის სახელწოდებას, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ნაწარმოების შექმნაში ან პასუხისმგებელი არიან მისი გამოცემისათვის.
  7. შენიშვნა — ცნობები, რომლებიც ასესებენ ბეჭდური ნაწარმოების თავისებურებათა ხასიათს.
  8. ანტიცია — ნაწარმოების შინაარსის მოკლე დახასიათება.
- აღწერილობის უმთავრესი ელემენტები — ავტორის გვარი და ინიციალები, სათაური, ქვესათაური, ზესათაური და ბეჭდილობითი მონაცემები — ჩვეულებრივ მოცემულია წიგნის თავფურცელზე.

<sup>91</sup> Единые правила описания произведений печати для библиотечных каталогов. Ч. I, вып. I. Описание книг. Изд. 2-е, М., Гос.Б-ка СССР им. В. И. Ленина, 1959, 670 стр. (М-во культуры РСФСР. Глав. упр. культпросвет. учреждений. Упр. б-к).

<sup>92</sup> კატალოგით სარგებლობის გააღელვიბის მიზნით მიზანშეწონილია ინიციალები გაიხსნას — მთარგმნელის შენიშვნა.

Նեյսատացրո

ՏՏ. ՏՏ. ՑԱՌԵԿՈՎԻՇԽԱՏԱ ԱԿԱԴՈՄԻԱ  
ՍԱԳՅԱՐՈՎԵԼՈՎ ՍԱԵԼՄԻՇԻՇՈ ՑԱՌԵԿՈՎ

ԱՎԾՈՒՐՈՎ ՀՎԱՐՈ

ՌՅ. ՀԱՅԱԽՈՎՅԱՆ

ՍԱՏԱՑՐՈ

## ՏՈՒՆԱ ԹՄՈՍ ՀԱՐԹՄԱ ԵՎԼՈՒՅԵՐՈՒՏԱ ԱՌՇԵՐՈԼՈՐԾԱ

ՀՎԵՆԵՍԱՏԱՑՐՈ

ԳԱՍԱՑԵՔԸՆԸ ՑԱՄԽԱԾԱ ՕՅ. ՔԱՅԵԽԻՇՎՈ-  
ԼՈՎ ՍԱԵԼՈՎԾՈՎ ԿԱՑՆԵՐՄԱ (ՀԵԸՆՎԵՐԸ-  
ՐՈ ՏԱՅ. ՑԵՐԵ. ԱԿԱ. Շ/Կ. ՑԻՆՉ. Ե. ՑԵՐ-  
ԵԿՆՄԵՐՈԼՈՎ)

ՑԵՐԸՆՎԵՐԸ ՑԵՐԸՆՎԵՐԸ

ՏԱՅ. ՏՏ. ՑԵՐԸՆՎԵՐԸ ՑԵՐԸՆՎԵՐԸ ՑԵՐԸՆՎԵՐԸ  
ՑԵՐԸՆՎԵՐԸ ՑԵՐԸՆՎԵՐԸ ՑԵՐԸՆՎԵՐԸ ՑԵՐԸՆՎԵՐԸ

Դա վիզն առ ցահնճա տապուրցելո, ան յս սկանասյնելո առ Շե-  
ուցաք օլթերուոնծիսատցու առուուղեցել լուցմենքեցես, մամու-  
սցենեցա ու մոնացեցեց, րոմլեցեց մուցեմշլուա մուս սկանա ցըրդնչյ,  
ցըրդնչյ, Ծյելստուունա սատացր՛՛, սարհեց՛՛, Վինասուցաոծա՛՛ ան աս՛յ-  
հո նախարմոցեց Ծյելստ՛՛.

Առուուցոցեց լցցեց Շերհեցու լութերաբուրու Շեսիշավլու Ցրո-  
ւուցեմ. Մինանշյելոնուու մատշո մոկլեւ լցացածասօտու մուցու տա-  
ցուու Շինաարսու սաններեց Շրոմոցեց, օլցնունուու ու նախարմոցեց-  
եց Շեսածմու ցանյուուլցեց, րոմլեց նախուոնծին մանց ցեցեց ան Շեսածմու տեմաս, մոցուուուու, դա հանուցա սասարցեց-  
լու ասաշյերո Շրոմոց մեցնուրու կըլլեցուուու. մացալուու, զո-  
ւամոնուուրաձու սայուուեց Շեմիշավլու մէցլեցարո և. հուու վիցն ու-  
նուց ու ասաշյերո Վիտամինա<sup>93</sup> ցալոնձուու վիշերու: „ցամուշյեցու զուրամունց-  
եց գունուուլոցու մոյմեց մատո մոնանուու նուտոյեցեց առ ցըլամ, զուրամունց-  
եց վուրամունց վիշալմու ենանա կցալու կլոնու ցամունց առ ցըլամ, զուրամունց-  
եց սեցաձասեցաց օւացաց ենաս. զուրամունց ծուու կամ ցըլամ, զուրամունց-  
եց սեցաձասեցաց օւացաց ենաս. զուրամունց ծուու կամ ցըլամ, զուրամունց-

<sup>93</sup> С. М. Рыссе, Витамины. (Физиологическое действие, обмен, терапия). Л., Медгиз, 1955, 336 стр.

შეურნალობით დაინტერესებული ექიმი აღნიშნავს, რომ ამ წიგნში მთავარი ყურადღება გამახვილებულია ნიკოტინის მეავაზე (პელაგ-რის საწინააღმდეგო ვიტამინი) და მიუთითებს შესაბამის გვერდებს. მიზანშეწონილია ანოტაციებში განვმარტოთ აგრეთვე (არასაქმოდ გარკვეული სათაურები). მაგალითად, აღმანახ «Дружба»-ში (იოშარ-ოლა), წიგნი 9, 1955, გვ. 17—18, გამოქვეყნებული ს. ზახა-როვის ნარკვევის („დიდ მდინარეზე“) აღწერილობა მიზანშეწონილია გავხსნათ ანოტაციით „კუიბიშევის ჰესის მშენებლობის შესახებ“.

მითითებები წიგნებსა და სტატიებში მითითებულ ბეჭდურ წყაროებზე, ლიტერატურის სიებზე, აგრეთვე ბიბლიოგრაფიულ საძიებლებზე და საბიბლიოთეკო კატალოგებზე ზოგჯერ არ შეიცავენ აღწერილობის ყველა აუცილებელ ელემენტს ამჟამად საყოველთაოდ მიღებული თანმიმდევრობით. ამასთან ერთად ისინი ხშირად შეიცავენ ისეთ ცნობებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ მკითხველთავის, რომლებსაც უხდებათ ლიტერატურის შერჩევა აღებული თემისათვის. ასეთებია, მაგალითად, ფორმატი, ტირაჟი, წიგნის ფასი. ამიტომ რომელიც გნებავთ წყაროდან ლიტერატურის შესახებ მონაცემების ამოწერისას სიტყვა-სიტყვით კი არ უნდა გადმოვიწეროთ იქედან ყველაფერი, არამედ აღწერილობის ქვემოთ მოყვანილი წესების შესაბამისად, ე. ი. უნდა მივუთითოთ მხოლოდ საკირო ცნობები შემდეგი თანმიმდევრობით:

## ჭიგნების აღმოჩენის თაობა

### ერთომეული გამოცემები

#### ავტორის გვარზე:

ავტორის გვარი და ინიციალები. წიგნის სათაური და ქვესათაური. გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი. გვერდების რაოდენობა, ზესათაური, შენიშვნები.

ავტორის გვარზე აიწერება წიგნები, რომლებიც დაწერილია ერთი, ორი ან სამი პირის მიერ. მაგალითად:

\* \* \*

ბაგრატიონი დავითი. საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა.  
აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვ-

ლევით. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა,  
 1959. 419 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჭავა-  
 ხიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტი).

ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

წერეთელი ლ. და ჭანტურია ნ. ნაყოფე-  
 ბის ლპობა შენახვის დროს და მასთან ბრძო-  
 ლის ღონისძიებანი. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად.  
 გამ-ბა, 1950. 56 გვ. ილ-ით; 4 ფ. ილ. (საქ.  
 სსრ მეცნ. აკად. მეცნ.-პოპულ. ლიტ. სერია).

ბარამიძე ალ. და სხვ<sup>94</sup>. საქართველოსა და  
 უკრაინის კულტურული ურთიერთობის ის-  
 ტორიიდან. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა,  
 1954. 72 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკად. რუსთავე-  
 ლის სახ. ქართული ლიტ. ისტორიის ინ-ტი.  
 მეცნ.-პოპულ. ლიტ. სერია).

სათაურის წინ ავტ.: ა. ბარამიძე, ლ. ასა-  
 თიანი, ბ. ულენტი.

### სათაურზე:

წიგნის სათაური და ქვესათაური. გამოცემის ადგილი, გამომ-  
 ცემლობა, გამოცემის წელი. გვერდების რაოდენობა. ზესათაური. შე-  
 ნიშვნები.

სათაურზე ამწერებიან:

ოფიციალური გამოცემები და წიგნები, რომელთა ავტორები  
 მითითებული არაა.

საქართველოს სსრ. მოქლე-ისტორიულ-  
 ეკონომიური ნარკვევი. პროფ. პ. გუგუშვი-  
 ლის რედაქციით. თბ., „საბჭ. საქართველო“,  
 1958. 316 გვ. ილ-ით. (საქ. სსრ მეცნ. აკად.  
 ეკონომიკის ინ-ტი).

<sup>94</sup> სამავტორიანი წიგნის აღწერის შემთხვევაში აღწერილობის თავაჯში მიუთითებენ  
 მხოლოდ პირველ ავტორს (ბეჭდურ ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესების მი-  
 ხედვით) — მთარგმნელის შენიშვნა.

საქართველოს მუზეუმის გეოლოგიის გან-  
 ყოფილების გამოფენათა მეგზური. თბ., საქ.  
 სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1947. 32 გვ. ილ-ით.  
 (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. საქ. სახელმწიფო  
 მუზეუმი).

ოთხი ან მეტი ავტორის წიგნები. სასურველია ამ ავტორების გვა-  
 რები მივუთითოთ შენიშვნაში ისეთივე თანმიმდევრობით და ფორ-  
 მით, როგორც წიგნია.

საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო  
 VIII—X კლასებისათვის. ნ. ბერძენიშვილის  
 რედაქციით. თბ., „ცოდნა“, 1958. 414 გვ.  
 ილ-ით; 4 ფ. რუკა (საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ.  
 ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტი).

სათაურის წინ ავტ.: ნ. ბერძენიშვილი, ვ.  
 დონდუა, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ.  
 მესხია, პ. რატიანი.

## მრავალტომეული გამოცემები ავტორის გვარზე:

გამოცემა მთლიანად

ავტორის გვარი და ინიციალები. მრავალტომეული გამოცემის  
 სათაური და ქვესათაური. გამოსული ტომების, ნაწილების,  
 ნაკვეთების და ა. შ. რაოდენობა. გამოცემის აღგილი, გამომცემლობა, გა-  
 მოცემის წლები (...დან...მდე).

კეკელიძე ქორნელი. ძველი ქართული  
 მწერლობის ისტორია ორ ტომად. ტ. 1—2.  
 მე-3 გადამუშ. და შევს. გამოცემა. თბ., სტა-  
 ლინის სახ. თსუ გამ-ბა, 1951—1952.

ჯავახიშვილი ივანე. საქართველოს ექონო-  
 მიური ისტორია. წიგნი 1—2. მე-2 გამოცე-

მა. ტფ., „ქართული წიგნი“ — „ფედერა-  
 ცია“,<sup>95</sup> 1930, 1934.

### ცალკეული ტომი

ავტორის გვარი და ინიციალები. მრავალტომეული გამოცემის სათაური და ქვესათაური. ასაწერი ტომის, ნაწილის, ნაკვეთის რიგითი ნომერი. ამ ტომის სათაური და ქვესათაური. მისი გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი. გვერდების რაოდენობა. შენიშვნები.

გამსახურდია კონსტანტინე. რჩეული თხზულებანი. რვატომეული. [სარედ. კოლე-  
 გია: ი. აბაშიძე, ს. ჭილაძა, გ. ნატროშვი-  
 ლი]<sup>96</sup>. თბ., „საბჭ. საქართველო“, 1959. ტ. 2.  
 〔ნოველები, რომანები〕. 1959. 818 გვ.

მუსხელიშვილი ნიკო. თეორიული მექანი-  
 კის კურსი. თბ., სახელგამი, 1932. ნაწ. 2.  
 კინემატიკა. მე-2 გადამუშ. გამოცემა. 208 გვ.

### სათაურზე:

გამოცემა მთლიანად

მრავალტომეული გამოცემის სათაური და ქვესათაური. ტომე-  
 ბის, ნაწილების, ნაკვეთების და ა. შ. რაოდენობა. გამოცემის აღ-  
 გილი, გამომცემლობა, გამოცემის წლები (...დან ...მდე). ზესა-  
 თაური.

მასალები საქართველოს ეკონომიკური ის-  
 ტორიისათვის. მასალები შეატჩია და გამოს-  
 ცა ნ. ბერძნიშვილმა. ლექსიკონი და საძიებ-  
 ლები შეადგინა მამისა ბერძნიშვილმა. წებ.  
 1—3. თბ., სტალინის სახ. თსუ გამ-ბა, 1938-  
 1957.

<sup>95</sup> პირველი და მეორე წიგნები გამოცემულია სხვადასხვა გამომცემლობების მიერ. მიმოტოვებული წიგნის ერთანი აღწერილობის ბარათში მოცემულია ორივე გამომცემ-  
 ლობა—მთარგმნელის შენიშვნა.

<sup>96</sup> კუთხურ ფრჩხილებში თავსღება ყველა ის მონაცემები, რომლებიც აღებულია  
 არა თავისურცლიდან, არამედ სწვა აღგილებიდან—მთარგმნელის შენიშვნა.

## ვალკეული ტომი

მრავალტომეული გამოცემის სათაური და ქვესათაური. ტომის,  
 ნაწილის, ნაკვეთის რიგითი ნომერი. ტომის სათაური. მისი ქვესათა-  
 ური და პეტდევილობითი მონაცემები. გვერდების რაოდენობა. ზე-  
 სათაური. შენიშვნა.

მასწავლებელთა გამოცდილებიდან. ქარ-  
 თული ენა და ლიტერატურა. კრ. 7. თბ.,  
 „ცოდნა“, 1959. 133 გვ. (საქ. სსრ განათლე-  
 ბის სამინისტროს პედ. მეცნ. სამეცნ.-საქვლ-  
 ინ-ტი. „პედაგოგიური კითხვის“ სერია).

წიგნის ნაწილების აღწერა

### თავები ან ნაკვეთები

წიგნის ავტორის გვარი და ინიციალები<sup>97</sup>. მისი სათაური და  
 ქვესათაური. გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წე-  
 ლი. ახალი სტრიქონიდან — ასაწერი თავის თუ განაყოფის ნომერი,  
 წიგნის ამ ნაწილის სათაური (თუ ასეთი გააჩნია) და გვერდები  
 (...ლან ...მდე), რომლებიც მას უჭირავს.

ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის  
 ისტორიიდან (ფეოდალური ხანა). ვ. ნ. გა-  
 ბაშვილის რედაქციით. თბ., სტალინის სახ.  
 თსუ გამ-ბა, 1957.

[თავი] მე-6. ამოერქავებასის ქვეყნები და  
 მახლობელი აღმოსავლეთი. გვ. 284—401.

ბერიტაშვილი ივანე. კუნთოვანისა და  
 ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია.  
 თბ., სტალინის სახ. თსუ გამ-ბა, 1955.

ნაწ. 3, ზურგის ტვინისა და თავის ტვინის  
 ლეროს ზოგადი ფიზიოლოგია. გვ. 182—291.

<sup>97</sup> თუ წიგნი უავტოროა, მისი აღწერა იწყება სათაურზე, მას მოსდევს ქვესათაური  
 (თუ ასეთი გააჩნია), შემდეგ გამოცემის ადგილი, გამომცემლობა და ა. შ. როგორც ავტო-  
 რიანი წიგნის შემთხვევაში — მთარგმნელის შენიშვნა.

## შესავალი სტატიები

შესავალი სტატიის ავტორის გვარი და ინიციალები. სტატიის სათაური. ხაზი (—). მითითება „წიგნში“: წიგნის ავტორის გვარი და ინიციალები. მისი სათაური და ქვესათაური. გამოცემის ადგილი, გამოცემლობა, გამოცემის წელი: გვერდები (...დან ...მდე), რომლებიც უჭირავს შესავალ სტატიას. ზესათაური.

ირემაძე ქეთევან. მანონ ლესკო — წიგნში:  
 პრევო აბატი, მანონ ლესკო. ობ., „საბჭ. სა-  
 ქართველო“, 1958. გვ. 3—12.

ინგოროვა პავლე. ილია ჭავჭავაძე (ბიოგ-  
 რაფიული ნარკვევი) — წიგნში: ჭავჭავაძე  
 ილია, თხზულებათა სრული კრებული ათ  
 ტომად. ტ. I — ობ., სახელგამი, 1951. გვ.  
 VII—CLXVI.

ნაწარმოებთა აღწერა თხზულებათა  
 კრებულებიდან

### ერთტომეულებიდან

ასაწერი ნაწარმოების ავტორის გვარი და ინიციალები. ამ ნა-  
 წარმოების სათაური და ქვესათაური. ხაზი (—). მითითება „წიგნში“:  
 წიგნის ავტორის გვარი და ინიციალები. მისი სათაური და ქვესა-  
 თაური. გამოცემის ადგილი, გამოცემლობა, გამოცემის წელი,  
 გვერდები (...დან ...მდე), რომლებიც უჭირავს ასაწერ ნაწარმოებს.

წერეთელი აკაკი. პატარა კახი. დრამატ-  
 ული პოემა. — წიგნში: წერეთელი აკაკი,  
 რჩეული ნაწერები. ობ., „ფედერაცია“, 1940.  
 გვ. 301—380.

### მრავალტომეულებიდან

ასაწერი ნაწარმოების ავტორის გვარი და ინიციალები. ამ ნა-  
 წარმოების სათაური და ქვესათაური. ხაზი (—). მითითება „წიგნ-  
 ში“: თხზულებათა მრავალტომიანი კრებულის ავტორის გვარი და



ინიციალები, მისი სათაური და ქვესათაური. ტომის ნომერი. გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი. გვერდები, ტარეფები და უკირავს ასაწერ ნაწარმოებს.

ჯავახიშვილი მიხეილ. ჯაყოს ხიზნები. —  
წიგნში: ჯავახიშვილი, მ. რჩეული თხზულებანი ექვს ტომად. ტ. 2. მოთხრობები. ობ., „საბჭოთა საქართველო“, 1959. გვ. 231—444.

მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების თხზულებათა საყოველთაოდ ცნობილ კრებულებში მოთავსებული ნაწარმოებების აღწერილობისას საჭირო არა ხელმეორედ მივუთითოთ ავტორის გვარი<sup>98</sup>, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა და გამოცემის წელი.

მარქსი კარლ. თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა. — მარქსი კ. და ენგელსი ფრ. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. I. გვ. 262—383.

ლენინი, ვ. ი. კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საქითხზე — თხზულებანი, მე-4 გამოცემა. ტ. 20, გვ. 1—46.

პერიოდულ გამოცემათა აღწერილობა  
ჟურნალები, გაზეთები და სხვა პერიოდული გამოცემები  
ტომების წლიური ნუმერაციით

პერიოდული გამოცემის სათაური და ქვესათაური. გამომცემელი თრგანიზაციის სახელწოდება. გამოცემის ადგილი და წლები (... დან ...მდე), რაც უნდა აისახოს აღწერილობაში (მაგალითად

<sup>98</sup> ავტორის ეს მოსახრება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართებული, როცა საქმე გვაქვს ერთი ავტორის თხზულებათა კრებულთან. მაგრამ თუ გახდენთ, მაგალითად, მარქსის რომელიმე ნაწარმოების აღწერას მარქსისა და ენგელსის თხზულებათა კრებულიდან ან რჩეული ნაწერებიდან, აუცილებლად მიგვაჩნია ავტორების განმეორებითი მითითება. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველისათვის გაურკვეველი იქნებოდა რომელი კრებულიდან ან რჩეული ნაწერებიდანაა აღებული მოცემული ნაწარმოები. იხ. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მაგალითი: მარქსი კარლ, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა—მთარგმნელის შენიშვნა.

6. ი. კიბაჩიქვა

წლები, რომელთა განმავლობაშიც გამოდიოდა გამოცემა ანგაზულება საქართველოს იურიდიკული მუნიციპალიტეტი (—).

ცისკარი. ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უზრნალი. საქ. ალკე ცე-სა და მწერალთა კავშირის ორგანო. თბ., 1957—1962.

სახალხო განათლება. საქ. სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაქთა პროფესიონალის რესპუბლიკური კო-მიტეტის ორგანო. თბ., 1928—1962.

„შრომები“ „მოამბები“ და ა. შ. გრძელდებადი გამოცემები ტომების უწყვეტი ნუმერაციით

გრძელდებადი გამოცემის სათაური. ფრჩხილებში გამოცემელი კოლექტივის სახელწოდება, თუ ის არ შედის სათაურში. ასაწერი ტომების ან ნაკვეთების რიგითი ნომრები (...დან ... მდე) გამოცე-მის წელი, ასაწერი ტომების თუ ნაკვეთების გამოცემის წლები (...დან ... მდე).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმ-წიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 1—77. 1936—1959.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტიტუტის შრომები. ტ. I (II)—50. თბ., 1940—1959.

როცა გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ ამა თუ იმ ორგანოს გამო-ცემის ფაქტი (გამოცემის დასაწყისი — ო. გ.), მისი გამოსვლის თა-რიღისა და პირველი ტომის (ნაკვეთის) აღნიშვნის შემდეგ უნდა დაგვეათ ხაზი (—).

მასალები საქართველოსა და კავკასიის არ-ქეოლოგიისათვის. ტ. I — თბ., საქ. სსრ მეცნ. აკადემია, 1955 —

საბჭოთა ხელოვნება. საქ. სსრ კულტურის  
 სამინისტროს ორგანო. № 1 — თბ., სახელგა-  
 მი, 1954 —

## სტატიებისა და მასალების აღწერილობა

### კრებულებიდან

სტატიის ავტორის გვარი და ინიციალები. მისი სათაური. ხაზი  
 (—). მითითება „წიგნში“: კრებულის სათაური. გამოცემის ადგი-  
 ლი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდები (...დან ...მდე),  
 რომლებიც უკავია ასაწერ სტატიას.

ამირანაშვილი შალვა. არმაზისხევში გათხ-  
 რების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის  
 ვეგცხლის თასი. — წიგნში: თბილისი 1500.  
 საიუბილეო კრებული. თბ., სტალინის სახ.  
 თსუ გამ-ბა, 1958. გვ. 85—93.

აბულაძე ილია. სულხან-საბა ორბელიანის  
 სიბრძნე სიცრუის წიგნის რამდენიმე არა-  
 კის უცხო პარალელი. — წიგნში: სულხან-  
 საბა ორბელიანი 1658-1958. საიუბილეო  
 კრებული. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა,  
 1959. გვ. 7—10.

### უურნალებიდან და სხვა პერიოდული გამოცემებიდან ტომების წლიური ნუმერაციით

სტატიის ავტორის გვარი და ინიციალები<sup>99</sup>. მისი სათაური. ხა-  
 ზი (—) უურნალის სახელწოდება, წელი, ნომერი, გვერდები (...დან  
 ....მდე), რომლებიც უჭირავს სტატიას.

<sup>99</sup> თუ სტატია ან მასალა უაგტოროა, მისი აღწერა იწყება სათაურშე, მას შემდეგვს  
 ხაზი (—), უურნალის სახელწოდება... ა. შ., როგორც ავტორიანი სტატიის შემთხვევაში:  
 —შთარგმნელის შენიშვნა.

გორგიძე მიხეილ. ვეფხსტყაოსნის ზიჩი-  
სეული ილუსტრაციების გმირთა პროტოტი-  
პები. — „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 9,  
გვ. 63—64.

სოციალისტური შეჯიბრება — შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის მძლავრი საშუალებაა. — „საქართველოს კომუნისტი“, 1959, № 3, გვ. 3—11.

• მეგრელიდე იოსებ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი ფილოლოგიური საქმიანობა. — „მნათობი“, 1959, № 7, გვ. 108—113.

კერესელიძე შ. ჩაის საკრეფი მანქანების  
გამოცდის შედეგები და ჩაის ფოთლის კრე-  
ფის მექანიზაციის პერსპექტივები. — „ჩაი-  
სა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად  
საყავშირო სამეცნ. კვლევითი ინ-ტის ბიუ-  
ლეტენი“. 1956, № 1, გვ. 45—69.

თუ უსრნალი გამოდის სერიებად, სერიის სახელწოდება უშუალოდ მოსდევს ძირითადი გამოცემის სახელწოდებას და ნომერს.

Кошечкин Б. И. Значение грязевого вулканизма в новейшем рельефообразовании апшеронского полуострова. — «Вестник Ленинградского ун-та», 1955, № 7. Серия биологии, географии и геологии, вып. 3, стр. 89—99.

Библиогр.: 39 назв<sup>100</sup>.

<sup>100</sup> სერიტებად, ტომების წლიური ნუმერაციით გამომავალი ეუსტალი ქართულ ენაზე არ მოვალეობობდა. ამიტომ წინამდებარე გამოცემაში უცვლელად ეტოვებოთ აკტორის მიერ მოტანილ მაგალითს—მთარგმნელის ჟენიშვილა.

**„შრომებიდან“, „მოამბეჭიდან“ და ა. შ. გრძელდებადი გამოცემებიდან  
 ტომების უწყვეტი ნუმერაციით**

სტატიის ავტორის გვარი და ინიციალები. მისი სათაური. ხაზი  
 (—). განმგრძობადი გამოცემის სათაური, ტომის ან ნაკვეთის ნომე-  
 რი, წელი, გვერდები (...დან ...მდე), რომლებიც უჭირავს სტატიას.

ყაუხეჩიშვილი სიმონ. ერთი უცნობი სინ-  
 ტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში  
 — „ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმ-  
 წიფო პედ. ინ-ტის შრომები“, [ტ.] 9, 1949,  
 გვ. 111—119.

ბაქანიძე ოთარ. გლებ უსპენსკი XIX საუ-  
 კუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამ-  
 დეგის თბილისის პრესის ფურცლებზე. —  
 „პირველი სხივი“ სტალინის სახ. თსუ ახალ-  
 გაზრდა მწერალთა წრის აღმანახი. წიგნი  
 5—6, 1958, გვ. 512—553.

მიქელაძე შალვა. პარამეტრთა ვარიაციის  
 ხერხი განტოლებათა ამოხსნისათვის. — „საქ.  
 სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. 23, 1959, გვ.  
 3—9.

თუ გრძელდებადი გამოცემა გამოდის სერიებად, სერიის სახელ-  
 წოდება უშუალოდ მოსდევს ძირითადი გამოცემის სახელწოდებას  
 და ნომერს.

გიგინიშვილი ოთარ. საქართველო ოსმა-  
 ლეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18 ს. უკა-  
 ნასკნელ მეოთხედში — „სტალინის სახ. თსუ  
 შრომები“, [ტ.] 73, 1959. აღმოსავლეთ-  
 მცოდნეობის სერია, [ნაკვ.] I, გვ. 215—230.  
 ბიბლიოგრაფია შენიშვნებში.

თუ გრძელდებადი გამოცემის სახელშოდება ფართოდ გვიჩვენდება, მაშინ ფრჩხილებში მიუთითებენ გამომცემელი ორგანიზაციის (დაწესებულების) სახელშოდებას.

დალაქიშვილი მ. კახური დატოტვილ-თავთავიანი ხორბლის სათესი ნორმების საკითხისათვის დასავლეთ საქართველოს დაბლობის რაიონებში — „შრომები“ (აჯამეთის მემინდვრეობის საცდელი საღვური). ტ. 5, 1951, გვ. 5—19.

### გაზეთებიდან

სტატიის ავტორის გვარი და ინიციალები. მისი სათაური. ხაზი (—). გაზეთის სახელშოდება, წელი რიცხვი, თვე.

ელაშვილი ვ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხები. — „ლელო“, 1959, 1 დეკემბერი.

ალავერდაშვილი გ. აქტიური, შემოქმედებითი სწავლებისათვის. — „სახალხო განათლება“, 1959, 9 დეკემბერი.

თუ გაზეთის სახელშოდება ფართოდ გავრცელებულია, ფრჩხილებში მიუთითებენ გამოცემის აღგილს.

თარგამაძე გ. მელიტოპონე კომუნისტების საბრძოლო ამოცანები. — „სტალინელი“ (ქუთაისი)<sup>101</sup>, 1959, 11 დეკემბერი.

<sup>101</sup> ასეთი სახელშოდებით გამოდიოდა გორის საქალაქო და სუბუმისა და ლენინგორის რაიონული გაზეთები—მთარგმნელის შენიშვნა.

## რეცენზიების აღწერილობება

სარეცენზიონ ნაშრომების აღწერილობებზე შენიშვნების სახით სარეცენზიონ ნაშრომის ავტორის გვარი და ინიციალები. მისი სათაური და ქვესათაური. გამოცემის ადგილი, გამოცემლობა, გამოცემის წელი.

აბზაციდან მითითება „რეც.:“ რეცენზენტის გვარი და ინიციალები, რეცენზიის სათაური, ცნობები იმ გამოცემის შესახებ, რომელშიც მოთავსებულია რეცენზია. ცნობები მოცემული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად.

ჭილაია სერგი მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა. მეორე წიგნი. რედ. შ. ძიძიგური. თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1959.

რეც.: თოლურია აკაკი. მონოგრაფიული ნარკვევი ჩვენს მწერლებზე. — „ლიტერატურული გაზეთი“, 1959, 11 დეკემბერი.

ცომაია ნ. დარვინიზმის შემოქმედებითი განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., სახელგამი, 1956.

რეც.: ახალაია ი. ნაშრომი დარვინიზმის შემოქმედებითი განვითარების ზოგიერთ საკითხზე. — „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1957, № 5, გვ. 83—84.

რეცენზიის სათაურს არ მიუთითებენ, თუ ის წარმოადგენს სარეცენზიონ ნაწარმოების სათაურისა და ბეჭდილობითი მონაცემების განმეორებას.

ყაუხჩიშვილი თინათინ. ბერძნული წარწერები საქართველოში. [თბ], საქ. სსრ მეცნ. აკადემია. აქად. ივ. ჭავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტი, 1951.

რეც.: ჭიჭინაძე, ს. — „მნათობი“, 1952,  
 № 9, გვ. 150—152.

### რეცენზიურული გვარზე

რეცენზიურის გვარზე აიწერება მარქსიზმის ფუძემდებელთა მიერ დაწერილი რეცენზიები, აგრეთვე დიდი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების დამოუკიდებელი ინტერესების მქონე რეცენზიები. აღწერილობა სწარმოებს იმ წესების მიხედვით, რომლებიც მიღებულია კრებულებში, განმგრძობად და პერიოდულ გამოცემებში მოთავსებული სტატიების აღწერილობისათვის.

თუ რეცენზიის სათაური შეიცავს მონაცემებს სარეცენზიონ ნაწარმოების შესახებ, ამ ნაწარმოების აღწერილობას მიუთითებენ კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვების [რეცენზია წიგნზე] შემდეგ.

ნუცუბიძე შალვა [რეც. წიგნზე]: თავზი-  
 შვილი გ. სახალხო განათლებისა და პედა-  
 გოგიური აზროვნების ისტორია საქართვე-  
 ლოში (1801—1871). თბ., პედ. მეცნ. ინ-  
 ტის გამ-ბა, 1948. — „მნათობი“, 1950, № 2,  
 გვ. 163—168.

თუ რეცენზიის სათაური არ შეიცავს სარეცენზიონ წიგნის აღწერილობას, მაშინ მას მიუთითებენ ახალი აბზაცით მითითების: „რეცენზია წიგნზე“ შემდეგ.

ჯიქია სერგი. საყურადღებო ნაშრომი.—  
 „მნათობი“, 1961, № 10, გვ. 186—189.

რეც. წიგნზე: ავალიანი ამირან. მიწის-  
 მფლობელობის ფორმები აქარაში (თურქე-  
 თის ბატონობისაგან განთავისუფლების წინ,  
 XIX ს. 40—70-იან წლებში). ბათუმი, 1960.

შენიშვნები აღწერილობის წესებზე

ლიტერატურაზე ცნობების გაცემისას მხედველობაში უნდა ვი-  
ქონიოთ, რომ აღწერილობა ჩვეულებრივ ხდება ასაწერი ნაწარმოე-  
ბის ტექსტის ენაზე

Laws W. Electricity applied to marine engineering. 3-d ed. London, Inst. of marine engineers, 1952. 384 p.

Trout H. E. Peterson products corporation-difficult stampings a specialty.—«Steel processing», vol. 41, 1955, № 3. p. 153—156, 195.

Kwiatkowski A. Izolacyjność termiczna materiałów budowlanych—«Materiały budowlane», 1955, № 2, s. 339—342.

უცხო ენებზე დაწერილი წიგნების აღწერილობის დაწვრილე-  
ბითი წესები მოცემულია სპეციალურ სახელმძღვანელოში<sup>102</sup>.

თუ რაიმე მიზეზით აღწერილობა ხდება არა ასაწერი ნაწარმოე-  
ბის ტექსტის ენაზე, არამედ რუსულ ენაზე თარგმანის სახით, მა-  
შინ შენიშვნაში მიუთითებენ, რომ ნაწარმოები შესრულებულია ამა-  
და ამ ენაზე.

Гургенизде М. Г. Использование  
удобрений в плодовом саду. Тбилиси,  
1955, 88 стр. (Акад. наук Груз. ССР.  
Науч. — popul. серия).

Библиогр.: стр. 86 (19 назв.)  
На груз. яз.

<sup>102</sup> Р. С. Гиляревский и Н. З. Фридман, Описание книг на ино-  
странных языках. В помощь библиотекарю, работающему с иностранной лите-  
ратурой. М., 1956, 199 стр. (Всесоюз. гос. б-ка иностр. лит.).

აღწერილობა წარმოებს თანამედროვე ორთოგრაფით, კაჭაბერუა კიდებლად, იმისა, თუ რომლითაა დაწერილი ასაწერი ბეჭდური ნაწარმოები.

ტომების, ნაწილების, ნაკვეთების ნომრებს მიუთითებენ ყოველ-თვის არაბული ციფრებით შემდეგი ფორმით: ტ. 1—4, ნაკვ. 2—5.

ბეჭდური ნაწარმოების სათაურში არ შეიძლება სიტყვის არც გამოტოვება, არც შემოკლება.

იმ შემთხვევაში, თუ ქვესათაურს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება იგი გამოვტოვოთ.

ზესათაურის მითითება მეტად საჭიროა, როცა არა გვაქვს ცნობები გამომცემლობის შესახებ.

ქვესათაურში, ბეჭდილობით ცნობებში და ზესათაურში, აგრეთვე შენიშვნებში დასაშვებია ცალკეული სიტყვების შემოკლება. თუ ეს არ იწვევს მათი მნიშვნელობის არასწორ გაგებას.

### შემოკლებათა მაგალითები:

ბიბლიოგრაფია—ბიბლიოგრ.	მოთხრობა—მოთხრ.
გამომცემლობა—გამ-ბა.	პროფესორი—პროფ.
გვერდი—გვ.	რედაქტორი—რედ.
დოცენტი—დოც.	სასწავლო-პედაგოგიური—სასწ.-პედ.
თარგმანი—თარგმ.	სურათი—სურ.
თბილისი—თბ.	უნივერსიტეტი—უნ-ტი.
ინგლისური—ინგლ.	შემოკლებული—შემოკლ.
ინსტიტუტი—ინ-ტი.	შესწორებული—შესწ.
მაგალითად—მაგ.	წინასიტყვაობა—წინასიტყვ.

ბიბლიოთეკაში დაცულ ლიტერატურაზე მოთხოვნის ბარათის შეგვებისას მიუთითებენ აღწერილობის მხოლოდ ყველაზე ძირითად ელემენტებს. ჩვეულებრივ შიფრის შემდეგ მიუთითებენ ენას [გარდა ქართულისა და რუსულისა—ო. გ], რომელზედაც დაბეჭდილია წიგნი, ავტორის გვარს და ინიციალებს, სათაურს, გამოცემის ადგილსა და წელს. ქვესათაურიდან მიუთითებენ მხოლოდ გამოცემის რიგით ნომერს. გამომცემლობას მიუთითებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს მოცემული ნაშრომის რამდენიმე სხვა-დასხვა გამოცემა. როცა არა გვაქვს ცნობები ავტორზე, საჭიროა მიყუთითოთ ზესათაურში მოყვანილი კოლექტივი (დაწერებულება),

რომელმაც შეადგინა წიგნი<sup>103</sup>. თუ გვჭირდება პერიოდულ გამოცემულ განხილვას გაში დაბეჭდილი სტატია, მოთხოვნის ბარათში უნდა ჩავწეროთ პერიოდული გამოცემის ზუსტი სახელწოდება, ტომი (განმგრძობადი ნუმერაციის მქონე გამოცემისათვის), წელი და ნომერი (ნაკვეთი). გაზეთის შეკვეთისას უნდა მივუთითოთ მისი სახელწოდება, წელი, რიცხვი და თვე.

### ბეჭდური ნაწარმოებების აღწერილობის ელემენტების დამატება და დაზუსტება

ლიტერატურის აღწერილობები, რომლებსაც ვხვდებით სხვადასხვა წყაროებში, არაიშვიათად შეიცავენ მეტად მცირე, ზოგჯერ არასწორ მონაცემებსაც. საქმაოდ ხშირად უმნიშვნელოვანესი ცნობები წიგნებისა და სტატიების შესახებ მეხსიერებაში არ ჩებათ არა მარტო მეცნიერ მუშაქებს, არამედ იმ პირებსაც კი, რომლებმაც ოვით მიაწოდეს ცნობები ამა თუ იმ ბეჭდური ნაწარმოების შესახებ. ამრიგად, აუცილებელი ხდება ნაკლული ცნობების შევსებაც და აღწერილობათა არასწორი ელემენტების შესწორებაც.

იშვიათი როდია შემთხვევა, როცა გვიხდება დავადგინოთ იმ ნაშრომის ავტორის გვარი, რომლის სათაური და გამოცემის დრო და ადგილი ცნობილია. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა არ ვიცით გარკვეული ავტორის მიერ ამა თუ იმ პერიოდში გამოკვეყნებული ნაშრომის სათაური ან კიდევ გამოცემის ადგილი და დრო იმ ნაშრომისა, რომლის ავტორზე და სათაურზე არავითარი ცნობები არ გაგვაჩნია.

იმისათვის, რომ დამოუკიდებლად შევავსოთ და დავაზუსტოთ ცნობები ბეჭდურ ნაწარმოებებზე, საჭიროა ვიცნობდეთ უმთავრეს ბიბლიოგრაფიულ წყაროებს და შეგვეძლოს ლიტერატურის სხვა საძიებლების გამოყენება ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიის დახმარებით.

ბიბლიოგრაფიული მონაცემების დამატება-დაზუსტება აღვილდება იმით, რომ ყოველი ბეჭდური ნაწარმოები ჩვეულებრივ ასახულია სულ სხვადასხვა ბიბლიოგრაფიულ წყაროებში. მაგალითად, 1947

<sup>103</sup> საინვენტარო (ფორმატული) განლაგების პირობებში ასეთი დაწერილებითი მონაცემების (ენა, ქვესათაური, გამომცემლობა) მითითება მოთხოვნის ბარათზე ზედმეტია, მით უმეტეს, თუ მკითხველი ოვითონ იშერს წიგნს კატალოგიდან—მთარგმნელის შენიშვნა.

წელს ქიმიური ლიტერატურის სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური გამოცემლობამ გამოუშვა ნ. გელპერინის წიგნი «Выпарные аппараты». ეს წიგნი სავალდებულო ეგზემპლარების შესახებ კანონის საფუძველზე მიიღეს საბჭოთა კავშირის უმსხვილესმა ბიბლიოთეკებმა და აისახა მათს კატალოგებში. ამავე დროს მისი აღწერილობა შეტანილ იქნა სახელმწიფო სააღრიცხვო-სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიის ორგანოში «Книжная летопись»<sup>104</sup>, ხოლო ერთი წლის შემდეგ გაერთიანებულ [ბიბლიოგრაფიაში] «Ежегодник книги СССР».<sup>105</sup> ცნობები ნ. გელპერინის ნაშრომის შესახებ შეტანილ იქნა შესაბამის დარღობრივ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებშიც: ყოველთვიურ სანფორმაციო გამოცემაში «Новости технической литературы. Химия и химическая промышленность»,<sup>106</sup> ი. ბაიტინის საძიებელში «Химическая литература»<sup>107</sup> და «Каталог книг Госхимиздата за 1931—1948 гг.»-ში<sup>108</sup>.

მაშასალამე, თუ გვინდა მივიღოთ საჭირო ცნობები ნებისმიერ ბეჭდურ ნაწარმოებზე, პირველ ყოვლისა აუცილებელია დავადგინოთ ის ბიბლიოგრაფიული წყაროები, რომლებშიც, შესაძლოა, ასახული იყვნენ ისინი. შემდეგ, საჭიროა მათგან შევარჩიოთ ის წყარო, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს რაც შეიძლება ნაკლები დროის დაკარგვით დავადგინოთ ჩვენთვის საჭირო ლიტერატურის სრული აღწერილობა არსებული მონაცემების საფუძველზე. ასე, მაგალითად, თუ უცნობია წიგნის «Выпарные аппараты» ავტორი, უფრო ხელსაყრელია გადავათვალიეროთ ი. ბაიტინის საძიებელში «Химическая литература» რუბრიკა «прессы и аппараты». თუ არა გვაქვს ხელთ ეს საძიებელი, შეიძლება გამოვიყენოთ ყოველთვიური ბიბლიოგრაფიული ცნობარი «Новости технической литературы». პირიქით, თუ ვიცით ამ წიგნის ავტორი, უმჯობესია მივმართოთ რომელიმე მსხვილი ბიბლიოთეკის ანბანურ კატალოგს. თუ ერთი წყაროთი ვერ შევძლით მივაღწიოთ მიზანს, მოვიხდება მივმართოთ მეორეს. არსებული წყაროებიდან ყოველთვის უნდა ამოვარჩიოთ ყველაზე უფრო მოსახერხებელი.

<sup>104</sup> 1947, вып. 36, запись № 18183.

<sup>105</sup> 1947, 2-е полугодие, запись № 10346.

<sup>106</sup> 1948, вып. 2, запись № 480.

<sup>107</sup> И. А. Б айт и н, Химическая литература. М.—Л., Госхимиздат, 1953, стр. 250.

<sup>108</sup> Каталог книг Госхимиздата за 1931—1948 гг., М.—Л., Госхимиздат, 1949, запись № 670.



ბეჭდურ ნაწარმოებებზე დამატებითი ცნობების მოპოვების მუნიციპალური თაღიკა გაშუქებულია პროფ. 3. ბერკოვის წიგნში<sup>109</sup> და სხვა შრომების ში<sup>110</sup>.

რაც უფრო მეტი ბიბლიოგრაფიული წყაროა ჩვენს განკარგულებაში, მით უფრო მეტი ვიცით ჩვენ ბეჭდური ნაწარმოებების შესახებ, მით უფრო ადვილია მივაკვლიოთ დამატებით ცნობებს და შევიტანოთ შესწორება არასწორ მონაცემებში. მოყვანილ მაგალითებში ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევებია ილუსტრირებული.

დამატებითი ცნობების მიკვლევა მეტად რთული და შრომატევადია მაშინ, როცა გვიხდება დავადგინოთ არა ერთი, არამედ რამდენიმე უცნობი შესაბამის წლებში გამოსული სრულფასოვანი ბიბლიოგრაფიული საძიებლების გარეშე. ამ სამუშაოს სირთულეზე და მრავალფეროვნებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი უძველესი ბიბლიოგრაფის მ. სადოვას ნაშრომი<sup>111</sup>.

ყველა შემთხვევაში, როცა აღწერილობის ელემენტების დამტება ან დაზუსტება სინელებებს იწვევს, დახმარებისათვის უნდა მივმართოთ ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფებს.

### პირადი ბიბლიოგრაფიული კარტოთეკის ორგანიზაცია და ჟარშოება

შესარჩევი და შესასწავლი ლიტერატურის ასაწერად ყველაზე რაციონალურია ბარათების გამოყენება. ყოველ ბარათზე უნდა აიწეროს მხოლოდ ერთი ბეჭდური ნაწარმოები. ბიბლიოგრაფიული კარტოთეკა ბევრად უფრო მოსახერხებელია, ვიდრე სია რვეულში ან ქა-

<sup>109</sup> П. Н. Берков, Введение в технику литературоведческого исследования. Источниковедение. Библиография. Развыскание. Л., Учпедгиз, 1955, 154 стр.

<sup>110</sup> П. Н. Берков, К вопросу о методике библиографического разыскания.—«Советская библиография», вып. 5, 1948, стр. 78—91.

Е. А. Павлович, Из опыта библиографического разыскания.—«Советская библиография», вып. 39, 1955, стр. 35—42.

<sup>111</sup> М. А. Садова, Библиографические разыскания при выполнении читательских требований. Из опыта работы библиографов Русского фонда. (Наблюдения и некоторые выводы). Под ред. М. А. Брикмана. Л., 1955, 143 стр. (Гос. Публ. б-ка им. Салтыкова-Щедрина).

ეს უკანასკნელი დაბეჭდილია როტარზე.



დალდის ფურცლებზე. კარტოთექის შევსება ახალი მასალებით დანართის გამოყენილი არასაჭირო ლიტერატურისაგან უფრო მოსახერხებელია: სწრაფად შეიძლება ბარათების სისტემატური, ანბანური თუ სხვა სახის განლაგების შეცვლა ან გადაკეთება. ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი მუშავი არ ითვალისწინებს ამ უპირატესობას. ცნობებს ლიტერატურის შესახებ ისინი იწერენ უბის წიგნაკში, რვეულებში ან ქალალდის ფურცლებზე და, ბუნებრივია, ძნელ მდგომარეობაში ვარდებიან, როცა მათ წინაშე წამოიჭრება გარდუფალი ამოცანა — გააფორმონ ბიბლიოგრაფია მეცნიერული ნაშრომისათვის, შეარჩიონ, დაწვრილებით აღწერონ და სისტემაში მოიყვანონ დაგროვილი მასალა.

მიზანშეწონილია გამოვიყენოთ საბიბლიოთეკო კატალოგებისათვის გათვალისწინებული სტანდარტული ბარათები ზომით  $7,5 \times 12,5$  სმ. ისინი პორტატიულია; ნახვრეტი ბარათის ქვედა ნაწილში მოსახერხებელს ხდის მათ შეერთებას; ბარათების გასალაგებლად უშვებენ სპეციალურ ყუთებსა და კოლოფებს<sup>112</sup>.

გარკეული თვალსაზრისით საინტერერსო ცნობები წიგნების, სტატიებისა თუ პერიოდული გამოცემების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შევიტანოთ ბარათებში და მივუთითოთ ყველა საჭირო მონაცემები მიღებული თანმიმდევრობით. ეს ეხება ბიბლიოგრაფიულ წყაროებსაც. ცალკე გამოცემული ბიბლიოგრაფიები აიწერებიან როგორც წიგნები; უურნალებსა და კრებულებში დაბეჭდილები — როგორც სტატიები; ბიბლიოგრაფიული პერიოდიკა — როგორც უურნალები; წიგნის ან სტატიის ბოლოს დაბეჭდილი ბიბლიოგრაფია — შესაბამისი წიგნებისა და სტატიების აღწერილობებზე შენიშვნების სახით, ან როგორც წიგნებისა და სტატიების დამოუკიდებელი ნაწილები.

ლიტერატურის აღწერისას მიზანშეწონილია ბარათის მარცხენა მხარეს დავტოვოთ ადგილი წიგნებისა და უურნალების შიფრების ჩასწერად ან შენიშვნების გასაკეთებლად ბეჭდური ნაშარმოებების გადათვალიერების შესახებ. მიზანშეწონილია ბარათის ქვედა ნაწილში მივუთითოთ თუ საიდანაა ალებული აღწერილობა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ადგილად გამოვასწოროთ დაშვებული შეცვლობა და დავაჩაროთ ბიბლიოთეკარის მუშაობა ლიტერატურის შესახებ იმ

<sup>112</sup> ასეთი ბარათები და კარტოთექის წარმოებისათვის საჭირო სხვა მოწყობილობა (გამოფენები, ყუთები, კოლოფები და სხვ.) იყიდება საბიბლიოთეკო კოლექტორებში.

ცნობების შევსებაზე, თუ შესწორებაზე, რომლებიც საქმარისი არ ჰომიურული მისი [ლიტერატურის — ო. გ.] მისაღებად.

თუ წაკითხული წიგნების დაკონსპექტებას ვაწარმოებთ რეეულებში, აუცილებლად საჭიროა ბარათზე აღვნიშნოთ იმ რვეულის ნომერი, რომელშიც დაკონსპექტებულია მოცემული წიგნი ან სტატია<sup>113</sup>.

იმ შემთხვევაში, როცა ჩანაწერებისათვის საქმარისი არაა ერთი ბარათის ორივე მხარე, შეიძლება სამაგრის საშუალებით მას მივუერთოთ დამატებითი ბარათები საჭირო რაოდენობით, ამასთან საჭიროა დავნომროთ ისინი ბარათის წინა მხარის ზემო ნაწილში შუა ადგილის.

იმისათვის, რათა აღწერილობა ბარათებზე უფრო თვალსაჩინო გავხადოთ, საჭიროა ავტორის გვარი და ინიციალები ჩავწეროთ ცალკე სტრიქონზე, ხოლო სათაური, გვერდების რაოდენობა, შენიშვნები და ანოტაციები მივუთითოთ აბზაცით.

		წეროელი კონსტანტინე
		<p>ნარკევი თანამელროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1958. 256 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინ-ტი).</p> <p>ბიბლიოგრ. შენიშვნებში.</p> <p>ნაშრომში განხილულია ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკის ძირითადი საკითხები: ბევრითი სისტემა და ფონეტიკური მოვლენები. მოტანილია საილუსტრაციო მასალა.</p>

113 მეცნიერთა უმრავლესობას უფრო მოსახერხებლად მიაჩნია ჩანაწერების გაკეთება ქაღალდის ცალკეულ ფურცლებზე ერთ მხარეს. ყოველი ასეთი ფურცელი განკუთვნილია ერთი საკითხისათვის და გარდა ამონაწერებისა და შემაჯამებელი ჩანაწერისა შეიცავს მითითებას შესასწავლი ნაშრომის შესაბამის ადგილზე. ფურცლებს ალაგებენ თემატური ნიშნის მიხედვით და ინახავენ კონვერტებში ან საქაღალდებებში. ჩანაწერებისათვის ცალკეული ფურცლების გამოყენება საშუალებას იძლევა ჩვენი სურვილისა და მიხედვით მოვახდინოთ მათი სისტემატიზაცია. სხვადასხვა მიზნით; ლექციისათვის, მოხსენებისათვის, დისპუტისათვის და ა. შ.

თუ წიგნი აიწერება სათაურზე, მისი პირველი სიტყვა  უნდა გავიტანოთ მარცხნივ იმის ნიშნად, რომ ავტორზე ცნობების უსაფრთხოება მისი გვარის შემთხვევით გამოტოვებით არა გამოწვევლით.

საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო VIII—X კლასებისათვის. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., „ცოდნა“ 1958.

414 გვ. იღ-ით; 4 ფ. რუკა (საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჭავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტი).

სათაურის წინ ავტ.: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ.

კარტოთეკის განყოფილებები უნდა შეესაბამებოდნენ ბეჭდური ნაწარმოებების შერჩევის კონკრეტულ ამოცანებს. მისი ცალკეული ნაწილები შეიძლება მიეძღვნას როგორც სამეცნიერო-საკვლევ თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურას, ისე ძირითად შრომებს სპეციალობაში, მასალებს სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დასახმარებლად, აგრეთვე იმ ნაწარმოებებს, რომლებიც გათვალისწინებულია წასაკითხად, თვითგახვითარების მიზნით. კარტოთეკა აუცილებლად უნდა შეიცავდეს განყოფილებას, სადაც თავმოყრილი იქნება გამოყენებული და მომავალში გამოსაყენებელი ბიბლიოგრაფიული წყაროების, აგრეთვე წიგნისა და სტატიის ბოლოს მოცემული ბიბლიოგრაფიის აღწერილობა. სპეციალურ განყოფილებაში უნდა აისახოს ის უმნიშვნელოვანესი პერიოდული გამოცემები, რომელთა უშუალო გადათვალიერებაც საჭიროა.

ყოველი განყოფილების სახელწოდება უნდა დაიწეროს გამყოფზე, შვერილის შუაში. გამყოფების გამოყენება საშუალებას გვაძლევს თვალსაჩინოდ გამოვყოთ კარტოთეკის ძირითადი ნაწილები.

ყოველ განყოფილებაში თავმოყრილი მასალის სისტემატიზაცია დამოკიდებულია მის სპეციფიკაზე და კარტოთეკის მიზნობრივ დანიშნულებაზე. მაგრამ თავდაპირველად, ვიღრე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ლიტერატურის გამოვლენა და შესწავლა, ყველაზე მოსახერხებელია თემატურ განყოფილებებში ბარათების უკუ-ქრონი-



ლოგიური განლაგება, ამასთან, ჯერ უნდა მოვათავსოთ სამამულო კულტურული ხოლო შემდეგ უცხოური შრომები. უკუ-ქრონოლოგიური განლპბება ბა ბევრად ააღვილებს გამოვლენილი ლიტერატურის უფრო რაციონალური თანმიმდევრობით შესწავლას (შესწავლა იწყება უახლესი გამოკვლევებით). თუ ცნობების მიღების მოხერხებულობრივ თვალსაზრისით უკუ-ქრონოლოგიურის ნაცვლად ავირჩევთ ანბანურ განლაგებას, არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში სხვადასხვა ანბანები, მაგალითად ქართული, რუსული, ლათინური, სომხური, არაბული და ა. შ.

როგორც კი დიდი რაოდენობით დაგროვდება ბარათები, მიზანშეწონილია კარტოთექის ამა თუ იმ განყოფილებაში გამოყოფოთ რამდენიმე ქვეგანყოფილება. ასე, მაგალითად, ასპირანტს, რომელიც სწავლობს 6. ოსტროვსკის შემოქმედებას, შეუძლია განყოფილება „ლიტერატურა საქვლევ თემაზე“ დაჟყოს ქვეგანყოფილებებად: 6. ოსტროვსკის ნაწარმოებთა გამოცემები“, „სამამულო ლიტერატურა 6. ოსტროვსკის შესახებ“, „უცხოური ლიტერატურა 6. ოსტროვსკის შესახებ“. ყოველი ქვეგანყოფილება, თავს მხრივ, შეიძლება დაყოფილ იქნას რამდენიმე რუბრიკად. ქვეგანყოფილებებისა და რუბრიკების თვალსაჩინოდ გამოყოფისათვის სასურველია გამოვიყენოთ ის გამყოფები, რომელთაც გვერდზე აქვთ შვერილები.

თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვაგარი ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოების გამოყენების თავისებურებებს სამეცნიერო თემისათვის მასალის ძებნისას, უკეთესი იქნება თუ ბარათებს, რომლებიც შეიცავენ გადასათვალიერებლად შერჩეული საძიებლების აღწერილობებს, განვალაგებთ შემდეგი სახით:

1. მიმდინარე ბიბლიოგრაფიული უურნალები (სახელწოდებათა ანბანზე).

2. თემატური და პერსონალური ბიბლიოგრაფიული საძიებლები, რომლებიც მთლიანად ან მნიშვნელოვანწილად მიძღვნილია შესასწავლი თემისადმი (მათი გამოცემის წლების უკუ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობით).

3. ფართო პროფილის დარგობრივი ბიბლიოგრაფიები და მათა შემვსები ზოგადი ბიბლიოგრაფიები (სააღრიცხვო პერიოდების უკუ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობით).

ბიბლიოგრაფიული საძიებლის გამოყენებისთანავე საჭიროა მისი აღწერილობის შემცველ ბარათზე გავაკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა. თუ ბიბლიოგრაფიულ გამოცემას მიმდინარე ხასიათი აქვს, მაშინ მისი

7. ა. კირპიჩევა

აღწერილობის შემცველ ბარათზე უნდა აღვნიშნოთ ყოველი ეფუძნება  
ვალიერებული ნომერი. ეს უზრუნველყოფს ინფორმაციის სისტემუ-  
ლეს და შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ განმეორე-  
ბითი გადათვალიერება.

განყოფილებაში „პერიოდული გამოცემები“ მიზანშეწონილია  
ბარათები განვალაგოთ აღწერილი გამოცემების სახელწოდებათა ან-  
ბანის მიხედვით. ყოველი პერიოდული გამოცემის სახელწოდების  
შემდეგ უნდა მივუთითოთ ფრჩხილებში მისი შემოქლებული აღნიშ-  
ვნა, რათა ეს შემოქლება გამოვიყენოთ სტატიების შავად აღწერისას.  
ამ განყოფილებაში ჩართულ ბარათებზე უნდა აღინიშნოს ყოველი გა-  
დათვალიერებული ნომერი.

კარგად შედგენილი, რეგულარულად შევსებული, და განახლებუ-  
ლი პირადი ბიბლიოგრაფიული კარტოთეკა ყოველი შევლევარის საი-  
მედო თანაშემწერა.

თავი II

**ლიტერატურის შესახებ ცნობების გაფორმება  
 დასრულებულ გამოკვლევაში**

ხელნაწერების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი წესები არ არსებობს. სწორედ ამითაა გამოწეული, რომ ბევრ გამოკვლეულებში, მათ შორის ღისერტაციებში, ლიტერატურის შესახებ ცნობები გაფორმებულია არადამაყმაყოფილებლად. ადგილი აქვს მეცნიერული მუშაობის ამ არსებითი მხარის აშეარა შეუფასებლობას. ამ თავში მოცემულია ხელნაწერთა ბიბლიოგრაფიული გაფორმების ყველაზე რაციონალური ხერხები.

**დასრულებულ გაშოკვლევაში ლიტერატურის შესახებ  
 ცნობების გაფორმების ზოგადი მოთხოვნები**

ნებისმიერი მეცნიერული გამოკვლევის ავტორის ბიბლიოგრაფიული მუშაობა არ უნდა განისაზღვროს არსებული ლიტერატურის გამოცემით და გამოყენებით. მის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე დააზღვიოს მომავალი მკვლევარები მის მიერ უკვე გამოყენებული ლიტერატურული წყაროების ხელახალი ძებნის აუცილებლობისაგან. მიზანშეწონილია ძირითადი დასკვნები უცილობელი გაეხადოთ არა მარტო პირადი დაკვირვებებით, არამედ წინამორბედ მეცნიერთა შრომებზე მითითებებითაც.

ამით უნდა აიხსნას, რომ უმრავლესი გამოკვლევების ტექსტებში მოხსენებულია სხვადასხვა წყაროები, მითითებულია სხვადასხვა წიგნები და სტატიები, ციტირებულია ადგილები სხვა ავტორთა შრომებიდან. ბევრ შრომას, გარდა ამისა, თან ერთვის ბეჭდური ნაწარმოგბების მეტ-ნაკლებად ვრცელი სიები.



ამ სიებში ასახული ლიტერატურა, აგრეთვე წყაროები, რომელთა  
შესახებაც საუბარია ხელნაწერის ტექსტში, აღწერილ უნდა იქნება—უძველეს  
ნაირად 72—91 გვერდებზე მოცემული წესების შესაბამისად. მოხ-  
სენიებული ბეჭდური ნაწარმოებების გულდასმით აღწერა ამაღლებს  
ხელნაწერის ხარისხს, ხელს უწყობს მის გამოყენებას და ამასთანავე  
ერთად მოწმობს ავტორის კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას თა-  
ვისი შრომის ამ შავი, მაგრამ შრომატევადი სამუშაოსადმი.

არ უნდა დავუშვათ, რომ ავტორებისა და რედაქტორების სწრაფვა  
ლიტერატურული ნაწარმოებების მოცულობის შემცირებისაკენ ხორ-  
ციელდებოდეს აღწერილობათა ელემენტების თვითნებური შემცი-  
რების გზით.

ამა თუ იმ ნაშრომის ციტირების, ან ლიტერატურის სიში მისი  
აღწერილობის მითითების დროს ყოვლად დაუშვებელია ნაშრომის სა-  
თურის გამოტოვება და დაკმაყოფილება მხოლოდ პუბლიკის  
წყაროს მითითებით. მაგალითად:

ლენინი ვ. ი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა,  
ტ. 19, გვ. 324—327.

ყოველი წყაროს აღწერილობა უნდა იყოს სრული.

ლენინი ვ. ი. რა შეიძლება გაკეთდეს სა-  
ხალხო განათლებისათვის. — თხზულებანი.  
მე-4 გამოცემა, ტ. 19, გვ. 324—327.

72—91 გვერდებზე მოტანილი წესებიდან გადახვევა დასაშვე-  
ბია მხოლოდ პერიოდული გამოცემების შემოქლებული აღნიშვნი-  
სას, ისიც იმ შემთხვევებში, როცა მათში დაბეჭდილი სტატიები არა-  
ერთხელაა მოხსენიებული ხელნაწერის ტექსტში და მის დამამთავ-  
რებელ ნაწილში — ბიბლიოგრაფიაში. ეს აღნიშვნები უნდა ემთხვე-  
ოდნენ საყველთაოდ მიღებულ შემოქლებებს, თუ ასეთი რამ არსე-  
ბობს («Доклады Академии наук СССР»—«ДАН», «Вестник Ака-  
демии наук»—«ВАН», реферативный журнал «Биология»—Р. Ж.  
«Биология» და ა. შ.)<sup>114</sup>. სანი რაც შეიძლება მეტად უნდა მოგვაგონებ-

<sup>114</sup> ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი, საყველთაოდ, მიღებული შე-  
მოქლების ნიმუშად შეიძლება დავასახლოთ «ენიმი» - «ენის, ისტორიისა და მატერია-  
ლური კულტურის ინსტიტუტი—მთარგმნელის შენიშვნა.

დნენ სრულ სახელწოდებას («Отечественные записки»—«отеч. зап.») და არა «О. з.», «Новое слово»—«Нов. сл.» და არა «Н. с.» და ა. შ.). თვალყური უნდა გადევნოთ რომ, რომ ეს შემოკლებული აღნიშვნები თან არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს ერთი ნაშრომის ფარგლებში («Землеведение» და «Знание»—«земл.» და «Зн.» და არა «З.» «З.») და გამოკვლევის ბოლომდე იყოს დაცული ეს პრინციპი. თუ გადაწყვეტილია მაგალითად, უზრნალს «Воспитание и обучение» გუწიფოთ «Восп. и обуч.», არ უნდა დავივიწყოთ ეს და არ ვუწიფოთ მას ხან «Восп. и обуч.» და ხან В. и о».

სამამულო და უცხოურ პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებების შემოკლებული აღნიშვნები ფიქსირებული უნდა იქნენ სპეციალურ ცხრილში ცალკე ანბანურ რიგებად.

შემოკლებული აღნიშვნები	პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებები
<b>BAH</b> <b>ЖТФ</b> <b>Anat. rec.</b> <b>Ann. N. Y. Acad. sc.</b>	Вестник Академии наук СССР Журнал теоретической физики Anatomical record Annals of the New York Academy of science.

თუ ლიტერატურის სიაში ან სქოლითში ასახულია უცხოური წიგნებისა და სტატიების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მათი აღწერისას გამოყენებული ყველა შემოკლებული სიტყვები უნდა ავხსნათ სპეციალურ ანბანურ ნუსხაში, მაგალითად:

**AFAS**—Association française pour l'avancement des sciences

**Bd**—Band

**BMA**—British medical association

**J.**—Journal

**Vol.**—Volume

**Zool.**—Zoology

თუ გამოკვლევის ტექსტი შეიცავს ბეჭდურ ნაწარმოებთა აღწერილობებს მიღებული შემოკლებული აღნიშვნების სიები მიზანშეწონილია მოვათავსოთ გამოკვლევის დასაწყისში, ხოლო თუ აღწერილობები ტექსტში არაა, ეს სიები უნდა მოვათავსოთ ლიტერატურის სიის წინ.

ბარათებზე მოცემული დამხმარე ჩანაწილები (ზიბლიოთეკის შიფრი, აღნიშვნები, რომლებიც მიუთითებენ რომ ესა და ეს წიგნი

წაკითხულია, აგრეთვე ანოტაციები და სხვ.) დასრულებული გამოკვლევისათვის ზედმეტია. ამიტომ ისინი არ უნდა მივუთითოთ. უნდა დავტოვოთ მხოლოდ ზოგიერთი შენიშვნები. ასე, მაგალითად, თუ საუბარია მეტად იშვიათ გამოცემებზე, რომლებიც მარტო ერთ ან რამდენიმე ბიბლიოთეკაშია, მიზანშეწონილია მივუთითოთ გამოცემებული ეგზემპლარის შიფრი. სასურველია დავტოვოთ აგრეთვე იმ გამოცემების შიფრები, რომლებიც გამოსულია ცენზურის გვერდის ავლით, ე. ი. არალეგალურად, აქვთ ხელით გაკეთებული შენიშვნები და გააჩნიათ არსებითი თავისებურებანი.

დასრულებული გამოკვლევის მანქანაზე გადაბეჭდვის შემდეგ წაკითხვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიბლიოგრაფიული მონაცემების გადაბეჭდვის ხარისხს. სამწუხაროდ, ეს ელემენტარული მოთხოვნა იშვიათად სრულდება. დისერტაციების გადათვალიერებისას მათს ტექსტებში ჩვენ ყოველთვის ვხვდებით ხელით ფაქტიად შესრულებულ შესწორებებს, ხოლო სქოლიოებისა და ლიტერატურის სიების მიმართ ასეთ ყურადღებას მხოლოდ გამონაკლისის სახით ვხვდებით.

უნდა გავაფრითხილოთ მემანქანე-მბეჭდავი, რომ ყოველი ნაშრომის ავტორი და სათაური, ისევე როგორც ყველა მომდევნო მონაცემები მის შესახებ, გარდა შენიშვნებისა და ანოტაციებისა დაბეჭდილი უნდა იქნენ ერთმანეთის მიყოლებით აბზაცების გარეშე. ამიტომ მიზანშეწონილია წინასწარ შევაერთოთ აბზაცებით გამოყოფილი სტრიქონები კარტოთეკის იმ ბარათებში, რომლებიც შეიცავენ ბიბლიოგრაფიაში მითითებულ ნაწარმოებებს.

ყოველი აღწერილობის სათაური, ე. ი. ავტორის გვარი ან სათაურის პირველი სიტყვა საჭიროა მანქანაზე დაიბეჭდოს აბზაცით გაშლილად.

ამრიგად, დასრულებულ შრომაში აღწერილობებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი სახე:

კოტეტიშვილი ვ. ი. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). (რედაქცია და წინასიტყვაობა დავით გამეზარდაშვილისა). თბ., „საბჭ. მწერალი“, 1959, 640 გვ.; I ფ. პორტრ.

საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, თბ., სტალინის სახ. თურ გამბა, 1959. [ტ.] 1, 511 გვ.

ვეტ.: პროფ. გრ. ხავთასი, დოც. შ. რევიშვილი, დოც. ნ. ორლოვსკაია, დოც. გ. გაჩეჩილაძე.

### ხელნაწერის ტექსტში ლიტერატურის შესახებ ცნობების გაფორმების თავისებურებანი

სამეცნიერო შრომების უმრავლესობის არსებით ნაწილს შეადგენს ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც წარმოადგენს უფრო ადრე გამოსული შრომების კრიტიკულ ანალიზს. კარგ მიმოხილვას დიდი შემცნებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მისი საშუალებით ვეცნობით შრომების იდეურ მიმართულებას, მათს მეცნიერულ უტყუარობას, ღირსებას, მეთოდიკის თავისებურებებს, ისტორიულ როლს.

დისერტაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ ლიტერატურის მიმოხილვას მათს ნაშრომებში აქვს არა მარტო მეცნიერული მნიშვნელობა, არამედ „გვიჩვენებს დისერტაციის უნარს — ერკვეოდეს ლიტერატურაში, შეარჩიოს მათგან ყველაზე ძვირფასი, კრიტიკულად გამოიყენოს იგი. სწორედ ყოველივე ეს შედის როგორც აუცილებელი ელემენტი იმ მოთხოვნათა რიცხვში, რაც წაყენება კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მომპოვებელთ. უკეთ რომ ვთქვათ, მეცნიერული მუშაობისათვის ბევრი ავტორის ავკარგიანობაზე არანაკლებად შეგვიძლია ვიმსჯელოთ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის მიხედვით, ვიდრე თვით დისერტაციის (ლიტერატურის თემაზე) მახსედვით“<sup>115</sup>.

არ ვისახავთ რა მიზნად განვსაზღვროთ მიმოხილვაში ჩასართავი კონკრეტული მასალები — ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ყოველი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით — განვიხილავთ მისი გაფორმების მხოლოდ ზოგად საკითხებს. მიმოხილვის დაწერისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი პრინციპული განსხვავება თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის სიისაგან. ბეჭდური და საარქივო მა-

<sup>115</sup> Н. Б а р а н с к и й, Советы и наставления аспирантам-экономгеографам по работе над диссертацией. М., Моск. гос. ун-т, 1947, стр. 34.



მართველი  
მართველი

სალების სრული ჩამოთვლა მართებულია ასეთი სიისათვის, გადაწყვიტება  
ზედმეტია მიმოხილვისათვის, რომლის ამოცანაა — შევაფასოთ და  
შევუდაროთ ერთმანეთს ის შრომები, რომელთაც მნიშვნელოვანი  
როლი შეასრულეს მოცემული საკითხის შესწავლის ისტორიაში. მი-  
მოხილვაში ყველა გამოვლენილი წყაროების ასახვისადმი სწრაფვას  
მიყვავართ იქმდე, რომ იშლება ზღვარი მნიშვნელოვან და ნაკლე-  
ბად მნიშვნელოვან მოვლენებს შორის, ანალიზს ზერელე ხასიათი ეძ-  
ლევა. გარდა ამისა, ზომაზე მეტად ვრცელი მიმოხილვა ჩრდილავს  
ავტორის საკუთარ გამოკვლევებს. მასალის გაღმოცემის თანმიმდევ-  
რობა მიმოხილვაში უფრო ხშირად ქრონოლოგიურია: შრომების და-  
წერის, ექსპერიმენტების ჩატარების და ო. შ. დროის მიხედვით და  
არა იმის მიხედვით, თუ როდის იქნა ისინი გამოქვეყნებული.

იმ ბეჭდურ ნაწარმოებთა აღწერილობანი, საიდანაცაა მოტანილი  
გამოკვლევის ტექსტში ციტატები ან ცნობები, მიზნმეტონილია მოვა-  
თავსოთ სქოლიოში. ამასთანავე, მთლიანად წიგნის ან სტატიის  
მიერ დაკვებული გვერდების საერთო რაოდენობის ნაცვლად უნ-  
და მივუთითოთ მხოლოდ ის გვერდები, რომლებზედაც დაბეჭდი-  
ლია ციტირებული ნაწყვეტი ან მოტანილი ცნობები. თუ ციტირე-  
ბა ხდება არა პირველწყაროს მიხედვით, მაშინ სქოლიოში უნდა მი-  
ვუთითოთ — „ციტირებულია წიგნიდან:“ ან „ციტირებულია სტატი-  
იდან:“ და უშუალოდ ამის შემდეგ მოვათვესოთ შესაბამისი ნაწარ-  
მოების აღწერილობა. წყაროზე განმეორებითი მითითებისას სრუ-  
ლი აღწერილობის ნაცვლად შეიძლება ვიხმაროთ მისი შემოკლებული  
აღნიშვნა ავტორის გვართან ერთად. მაგ., „კაშმაძე, შ., ციტ. შრ., გვ.  
23“ (ციტირებული შრომა), „დასახ. შრ., გვ. 15“ (დასახელებული  
შრომა), „მითით. შრ., გვ. 19“ (მითითებული შრომა)<sup>116</sup>. ასე უნდა  
მოვიქცეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ერთიდაიგივე ბეჭდური  
ნაწარმოები ან მისი ნაწყვეტი ციტირებულია ან სხვადასხვა სახითაა  
გამოყენებული გამოკვლევის რამდენიმე, ერთმანეთთან ახლომდებარე  
გვერდებზე. თუ რომელიმე წყაროს სრულ აღწერილობასა და მის  
ხელმეორედ მოხსენიებას შორის არის მითითება სხვა მასალებზე, შე-  
მოკლებული აღნიშვნის გამოყენება არასასურველია. ადგილისა და

<sup>116</sup> წყაროზე ასეთი სახის მითითება დასაშებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა  
მკელევარი იყენებს ამა თუ იმ ავტორის მხოლოდ ერთ შრომას. თუ შევლევარის მიერ  
გამოყენებულია მოცემული ავტორის რამდენიმე შრომა, ისინი მითითებული უნდა იქნენ  
არა შემოკლებული აღნიშვნით, კოქვათ «... დასახ. შრომა,» არამედ მთლიანად ან, თუ  
სათაური ძალზე დიდია, შემოკლებული აღწერილობის სახით — მთარგმნელის შენიშვნა.

დროის ეკონომიის მიზნით ზიაშვილი არ უნდა შივაუენოთ ტექსტის პერსონალის ლიოგრაფიულ გაფორმებას. ხშირად წყაროს აღწერისას პერსონალში არ მიუთითებენ ავტორის გვარსა და ნაშრომის სათაურს, თუმცა ეს უკანასკნელი მოხსენიებული არიან ტექსტში. ასე არ შეიძლება, რადგან ამ შემთხვევაში მხედველობის არედან გვრჩება აღწერილობის არსებითი ელემენტები. ასე, მაგალითად, თუ ნაშრომის ტექსტში ვკითხულობთ: „ლენინგრადის სკოლების მასშავლებელთა გამოცდილება მე-5 კლასებში მათემატიკის სწავლებისას განხოგადებულია 1956 წელს ე. საგოვსკაიას მიერ...“, შენიშვნაში უნდა მივცეთ შესაბამისი წიგნის სრული<sup>117</sup> და არა შემოკლებული აღწერილობა<sup>118</sup>.

ცუდია, როცა ცდილობენ ციტირებული ან მოხსენიებული ნაწარმოებები შეიტანონ ხელნაწერის ტექსტში. მაგალითად: „განსაზღვრა, მოცემული ლ. ბარანოვისა და ვ. კუზმინის წიგნში „სტანდარტიზაცია და ნორმალიზაცია მანქანათმშენებლობაში“ (1949, გვ. 10), სადაც ნათქვამია: „....“ (მოსდევს ციტატი). აქ აღწერილობა ზედმეტად ტვირთავს ტექსტს, ხელს უშლის მის აღქმას. თუ გამოკვლევის ტექსტში ჩართულია ფოტოსურათები, რუკები, დარიაგრამები და სხვა მასალები სხვათა შრომებიდან, მიზანშეწონილია ამ უკანასკნელთა შესახებ მივუთითოთ უშუალოდ ფოტოსურათებზე, დიაგრამებზე და სხვ. თანდართულ წარწერებში.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა საჭირო ხდება მრავალი მითითების მიცემა, ადგილის ეკონომიის მიზნით შეიძლება უარი ვთქვათ ლიტერატურული წყაროების აღწერილობაზე სქოლიობებში; ამის ნაცვლად ტექსტის შესაბამის აღვილებში სვამენ რიგით ნომრებს, რომელთა მიხედვითაც მოცემული წყაროები აღიწერებიან გამოკვლევაზე დართულ ბიბლიოგრაფიაში. რიგითი ნომრები უნდა მოვათავსოთ კვადრატულ ფრჩხილებში, თანაც წყაროს რომელიმე ნაწილზე მითითებისას ნომრის შემჯევ უნდა მივუთითოთ შესაბამისი გვერდები, მაგალითად „[21, გვ. 15]“. რასაკვირველია ასეთი მითითებების გამოყენება საჭიროებს განმარტებას წინასიტყვაობაში ან სპეციალურ შენიშვნაში. ტექსტში მოხსენიებული, მაგრამ სიაში აუსახვი შრომები აღწერილი უნდა იქნენ სქოლიობებში. თუ გამოკვლევას, გარდა ლიტერატურის სიისა, თან ერთვის რამე სხვა ნუს-

<sup>117</sup> Е. Н. Саговская, Методические разработки уроков по арифметике V класса. Л., Учпедгиз, 1956, 263 стр.

<sup>118</sup> Методические разработки уроков по арифметике V класса. Л., Учпедгиз, 263 стр.

ხა (ფორმულების, რუკებისა და სხვ.), აღწერილობის რიგით შემთხვევაში უნდა დავუმატოთ ლიტერატურის სიის პირობითი აღნიშვნა, მაგალითად „[ლიტ. 19, გვ. 32]“. იმ შემთხვევაში, როცა სიის უკანასკნელი ნუმერაცია ჯერ კიდევ არაა დადგენილი, ტექსტის გადაბეჭდვისას სწორხაზოვან ფრჩხილებში უნდა დავტოვოთ ადგილი რიგითი ნომრებისათვის.

ლიტერატურის შესახებ ცნობების გაფორმების მოცემული წესი დაცული უნდა იქნეს მთელი გამოკვლევის მანძილზე. დაუშვებელია ტექსტის ერთ ადგილას მივცეთ წყაროების არასრული აღწერილობა და მითითება რიგით ნომრებზე, რომელთა მიხედვითაც ასახულია ეს წყაროები სიაში, ხოლო მეორე ადგილას — ამ წყაროების აღწერილობა სქოლიოში.

უნდა ვერიდოთ აგრეთვე ტექსტში უცხოელი ავტორების გვარების სხვადასხვაგვარად მოხსენიებას. როცა უცხოელ ავტორს პირველად მოვიხსენიებთ, ჯერ უნდა მივუთითოთ მისი გვარის რუსული<sup>119</sup> ტრანსკრიფცია, ხოლო შემდეგ მრგვალ ფრჩხილებში — ორიგინალური. შემდგომ საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ ქართული [ტექსტშია — რუსული—ო. გ.] ტრანსკრიფცია. თუ სქოლიოში მოგვყავს ამ მეცნიერის ორიგინალურ ენაზე დაბეჭდილი შრომის აღწერილობა, მაშინ მისი გვარის ორიგინალური ტრანსკრიფციის მოყვანა, ტექსტში ზედმეტა.

### ლიტერატურის სიის შედგენა

გამოკვლევის მეტად სასარგებლო დანართს წარმოადგენს გამოყენებული ლიტერატურის სია. ასეთი სიის მნიშვნელობაზე მიუთიებდა ვ. ი. ლენინი რსფსრ-ს ელექტროფიკაციის შესახებ ი. სტეპანოვის წიგნის წინასიტყვაობაში<sup>120</sup>.

გამოყენებული ლიტერატურის სიის დართვა სავსებით აუცილებელია ყოველი სადისერტაციო ნაშრომისათვის. პროფ. ს. ჩეინბერგის სიტყვით „ლიტერატურის სია დისერტაციაში, როგორც სარკეში, ასახავა ავტორის საერთო კულტურას, მის დამკუდებულე-

<sup>119</sup> ეს იმ შემთხვევაში, როცა ტექსტის ენა რუსულია. ქართულ ტექსტებში კი უცხოელ ავტორთა გვარები ჯერ უნდა მივცეთ ქართული ტრანსკრიფციით, ხოლო შემდეგ ორიგინალში—მთარგმნელის შენიშვნა.

<sup>120</sup> В. И. Ленин, Предисловие к книге И. И. Степанова: «Электрификация РСФСР в связи с переходной фазой мирового хозяйства».—Сочинения. Изд. 4-е. Т. 33, стр. 217—218.

შას მეცნიერებისადმი, შრომისადმი, პასუხისმგებლობის გრძნობაზე, განსაკუთრებით კი მის სიბეჭითესა და მუყაითობა, გულმოდგინებასა და სიფაქიზეს და ა. შ. მითხარით როგორია ბიბლიოგრაფიული ცნობარი ღისერტაციაში და მე გეტყვით, როგორ ეკიდება მისი ავტორი თავის მეცნიერულ-ლიტერატურულ მოვალეობას...<sup>121</sup>. ანალოგიურ მოსაზრებას. გამოთქვამს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პ. პრიხოდკიც: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბიბლიოგრაფიული სია დისერტაციაში — ფორმალური მოთხოვნა როდია. ის შეადგენს ღისერტაციის ერთ-ერთ ორგანულ და არსებით ნაწილს და ასახავს ახალგაზრდა მეცნიერის დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას“<sup>122</sup>.

მითითებები ლიტერატურაზე სქოლიოში ძნელად მიმოსახილავია, მათ არ შეუძლიათ სიის შეცვლა.

წიგნებისა და სტატიების ბოლოში დართული სიები არ უნდა ჩამოუვარდებოდნენ ხარისხით ცალკე გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს, ვინაიდან წიგნები და უურნალები, ჩვეულებრივ, საგრძნობლად დიდი ტირაჟებით იძექდება და მათ მკითხველთა ბევრად უფრო ფართო წრე გააჩნიათ, ვიდრე ცალკე გამოცემულ საძიებლებს.

სიაში შესატანი მასალის შერჩევისას ხშირად ვხვდებით ორ უკიდურესობას. ერთი წყება ავტორებისა ისწრაფვის მიუთითოს მთელი ლიტერატურა, როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეს მას საკვლევ თემასთან. მეორე — პირიქით, მკვეთრად ზღუდავს სიას, ასახავს მასში მხოლოდ ციტირებულ ან მოხსენიებულ შრომებს.

სიაში ასახავი ლიტერატურის შერჩევისას უნდა გამოვდიოდეთ მისი [სიის — ო. გ.] დანიშნულებიდან.

პრაქტიკაში ყველაზე მეტად ვხვდებით სტატიების ბოლოში დართულ სიებს. ვამოთქმული მოსაზრებების დოკუმენტურად დასაბუთებისათვის უფრო ხშირად მათ იყენებენ, ვიდრე სქოლიოებს.

მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომის ან სახელმძღვანელოს ბოლოში ჩვეულებრივ მიუთითებენ არა გამოყენებულ ან აზებულ ლი-

<sup>121</sup> С. А. Рейнберг, Как работать над медицинской диссертацией. К методике и технике научно-исследовательской и научно-литературной работы. Изд. 3-е, доп. М., Медгиз, 1945, стр. 110.

<sup>122</sup> П. Т. Приходько, Как самостоятельно работать над кандидатской диссертацией. (Введение в методику организации научного труда). Под ред. В. В. Ревердатто. Новосибирск, 1948, стр. 41—42. (Акад. наук СССР. Зап.-Сиб. филиал).

ტერატურას, არამედ მხოლოდ უკეთეს შრომებს, რომლებიც შექმნავდა ვურჩიოთ მკითხველებს მოცემული წიგნიდან მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად. ასე, მაგალითად, არასპეციალისტი მკითხველებისათვის გათვალისწინებულ წიგნს რენტგენის სხივების შესახებ<sup>123</sup> დართული აქვს რენტგენის სხივების თვისებებისა და მათი გამოყენების უფრო ახლოს გასაცნობად საჭირო ლიტერატურის არც თუ ისე ვრცელი სია. სატრაქტორო ბრიგადების ნავთობმეურნეობის სახელმძღვანელოში<sup>124</sup> რეკომენდებულია დამატებითი ლიტერატურა, რომელიც შეიიცავს უფრო დაწვრილებით ცნობებს ამ საკითხზე.

სხვა მოთხოვნებს უნდა ჰასუხობდეს სია, რომელიც დართული აქვს მაღალკვალიფიციური მკითხველებისათვის ნავარაუდევ სპეციალურ გამოკვლევას. ეს სია მოწოდებულია გაუადვილოს მუშაობა მომავალ მეცნიერებს, გამოავლინოს მოცემული თემის შესწავლისა და დამუშავებისათვის საჭირო ყველა ძვირფასი და საჭარებლო ლიტერატურა. ასეთია, მაგალითად, მ. კორსუნსკის მონოგრაფიაში<sup>125</sup> მოცემული თითქმის 300-მდე რუსული და უცხოური შრომების სია ატომური ბირთვების იზომერიაში. ანალოგიურია თავისი შედგენილობით სია, რომელიც დართული აქვს ა. რაზუმოვას გამოკვლევას რუს ფოლკლორისტ სამოციანელთა პ. რიბნიკოვისა და პ. ეფიმენკოს შესახებ<sup>126</sup>. ამ სიაში ჩამოთვლილია მათი პუბლიკაციები, შრომები და მათდამი მიძღვნილი ლიტერატურა. საღისერტაციო ხასიათის გამოკვლევაზე დართულმა სიამ უნდა გვიჩვენოს, ამავე დროს, მისი აკტორის ნაშრომის სიღრმე და ხარისხი.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ საკითხზე არსებული ლიტერატურა თავისი ხარისხით არაერთფეროვანია. თეორიული, ისტორიული და პრაქტიკული ინტერესის მქონე შრომებთან ერთად გვხვდება ისეთი ბეჭდური ნაწარმოებებიც, რომელთაც არა აქვთ რამდენადმე მაინც არ-სებითი მნიშვნელობა. ამიტომ სია, რომელშიც ყოველგვარი შერჩევის

<sup>123</sup> Ю. П. Курдиновский, Рентгеновские лучи и их применение. М., Учпедгиз, 1954, 116 стр.

<sup>124</sup> Н. Н. Сперансов, Нефтехозяйство тракторных бригад и отрядов. Для районов освоения новых земель. М., Сельхозгиз, 1954, 32 стр. (Глав. упр. с.—х. пропаганды и науки М-ва сельского хозяйства СССР).

<sup>125</sup> М. И. Корсунский, Изомерия атомных ядер. М., Гостехиздат, 1954, стр. 318—327.

<sup>126</sup> А. П. Разумова, Из истории русской фольклористики. П. Н. Рыбников. П. С. Ефименко. М.—Л., (Акад. наук СССР. Карело-фин. филиал. Ин-т истории, языка и литературы).



გარეშეა მითითებული თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა წიგნიზოდოფული და სტატიები, არ ამსუბუქებს მომდევნო მკვლევარების მუშაობას. ასეთი სია იძულებულს ხდის მკვლევარს კარგოს დრო უსარგებლო მასალის კითხვაზე. ასეთი სია იმაზე მიუთითებს, რომ მის შემდგენელს არ შესწევს უნარი კრიტიკულად მიუდგეს საკითხზე არსებულ ლიტერატურას.

მეორეს მხრივ, სია, რომელიც მოიცავს მხოლოდ ციტირებულ და მოხსენიებულ ნაშრომებს, ყოველთვის როდი აცნობს მკითხველებს საკვლევ თემასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ლიტერატურას, აუთი სია არ იძლევა სრულ წარმოდგენას ავტორის — დისერტანტის ერუდიციაზე.

ჩიგ შემთხვევებში მიზანშეწონილი არაა სიაში შევიტანოთ მთელი ის ლიტერატურა, რომელიც კი მოხსენიებული ან ციტირებულია ტექსტში. მაგალითად, თუ საჭირო ხდება ტექსტში გავაანალიზოთ ბეჭდური ნაწარმოები, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ლირებულება მოცემული თემის შესწავლისათვის, საკმარისია მასზე მივუთითოთ სქოლიობი; აუცილებელი არაა მისი აღწერილობის შეტანა სიაში. აუცილებელი არაა აგრეთვე აქსანოთ მაკაში ის ციტირებული წყაროები, რომლებსაც არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არა აქვთ რაიმე დამოკიდებულება საკვლევ თემასთან. მაგალითად, თუ ტექნიკის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში მოტანილია ბ. ბელინსკის აზრები მ. ლომონოსოვის, როგორც რუსი ხალხის გენის შესახებ, უსაფუძვლო იქნება გამოყენებული ლიტერატურის სიაში მივუთითოთ აღწერილობა ბელინსკის სტატიისა „ლიტერატურული ოცნებანი“, რომელიც შეიცავს ამ აზრს.

უნდა ვიზრუნოთ არა მარტო თემისათვის უმნიშვნელო მასალის გაცხრილვაზე, არამედ სიაში ყველა სასარგებლო შრომის შეტანაზეც. არ უნდა ვიზელმძღვანელოთ ფორმალური მოსაზრებებით, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთი დისერტანტები, რომლებსაც ალბათ, უმართებულოდ მიაჩნიათ მიუთითონ მათ მიერ გამოყენებული საგაზეთო სტატიები, მეცნიერულ-პოლული გამოცემები, სახელმძღვანელოები და სხვა „არამეცნიერული ლიტერატურა“, აგრეთვე შრომები მომიჯნავე თემებზე. უეპველად შეტანილი უნდა იქნეს სიაში ყველა ის შრომები, რომლებმაც ნამდვილად გაუწიეს დახმარება მკვლევარს საკითხის შესწავლაში. არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ ზოგიერთი დისერტანტის ისეთი პრაქტიკა, როცა სიაში არ შეაქვს საკითხის ისტორიის შესწავლისათვის საინტერესო ბეჭდური ნაწარმოებები იმ მოსაზრე-



ბით, რომ ისინი დახასიათებული არიან ლიტერატურის მიმოხილვაში მარტინ გამოყენებული ბიბლიოგრაფიული ცვლილების უნდა მივუთითოთ გამოყენებული ბიბლიოგრაფიული ცვლილები; ეს არა მარტო მეცნიერული ეთიკის საკითხია, არამედ ნაშრომის კულტურული გაფორმების აუცილებელი პირობაცაა. თუ მკითხველს არა აქვს ცნობები ავტორის მიერ გადათვალიერებულ საძიებლებზე, მას არ შეუძლია აღვილად აღმოაჩინოს მკვლევარის მხედველობის არიან გარეშე დარჩენილი ლიტერატურა.

ცალკეულ შემთხვევებში, ავტორს ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლია გამოიყენოს მოცემული თემის დამტუკებისათვის საჭირო მეტად მნიშვნელოვანი წყაროები. ითვალისწინებს რა მომავალ მკვლევართა ინტერესებს, მას შეუძლია ასეთი წყაროები შეიტანოს ცალკე სიაში, ამასთანავე უნდა მიუთითოს, რომ ვერ მოახერხა მათი გაცნობა.

გამოკვლევებზე დართული წყაროების სია არ უნდა იყოს დასათაურებული ზოგადად: „ლიტერატურა“, „ბიბლიოგრაფია“, „წყაროები“ და ა. შ. სასურველია, რომ სიის სათაური იძლეოდეს წარმოდგენის მის შედგენილობაზე, მაგალითად: „ციტირებული შრომების სია“, „გამოყენებული წყაროები“, „დამატებითი ლიტერატურა“, „რეკომენდებული სახელმძღვანელოები“.

მეცნიერულ შრომებზე დართულ სიებში ბეჭდური ნაწარმოებების აღწერილობათა განლაგების სხვადასხვა წესები არსებობს. მაგრამ ყოველი ამ წესთაგანი როდი აადვილებს საჭირო ლიტერატურის გამოვლენას. ჩვენ ვვინახავს 500-ზე მეტი სახელწოდების შემცველი სიები, რომლებშიც მასალა განლაგებული იყო ყოველგვარი, ოდნავ მაინც შესამჩნევი წესის გარეშე. აღბათ ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდნენ ლიტერატურის შესწავლის ან გამოვლენის თანმიმდევრობის პრინციპით. ზოგჯერ შეიმჩნევა ლიტერატურის, ჩვენის აზრით, ყოვლად უსარგებლო და უსაფუძვლო დანაწილება გამოცემების სახეების მიხედვით, მაგალითად წიგნები გამოყოფილია სტატიებისაგან. არანაულებ უარყოფით შეფასებას იმსახურებს აღწერილობათა ისეთი განლაგება, რომელსაც საფუძვლად უდევს გამოკვლევის ტექსტში ამა თუ იმ ნაშრომის მოხსენიების რიგი.

რასაკვირველია, სიებში მასალის განლაგებისათვის ერთნაირი ჩეცტი არ არის და არც შეიძლება იყოს. ლიტერატურის განლაგებისას ავტორი ხელმძღვანელობს თავისი ნაშრომის თავისებურებებით, ითვალისწინებს ლიტერატურის სპეციფიკას და ანგარიშს უწევს, თუ რამდენად მოსახერხებელია განლაგების მისი მეთოდი მკითხველთათვის. ამდენად, გადამწყვეტი სიტყვა ყოველთვის მას ეკუთვნის.



განლაგების მიღებული წესი ზუსტად უნდა იქნეს დაცული განლაგების დან ბოლომდე. ყოვლად დაუშვებელია განლაგების სხვადასხვა მეთოდების უწესოდ არევა, რაც შეიძჩნევა მრავალი შრომის ბოლოში დართულ სიებში. ლიტერატურის სისტემატური განლაგება ჩვეულებრივ მოსახერხებელია იმ პირებისათვის, რომელიც იყენებენ ბიბლიოგრაფიას. მაგრამ ლიტერატურის ასეთი განლაგება ყოველთვის როდია მიზანშეწონილი მასალის ხასიათის მიხედვით. ზოგჯერ გვიძება უარი ვთქვათ ასეთ განლაგებაზე ისეთი შრომების უზომნდ დიდი რაოდენობის გამო, რომელიც საჭიროებენ განმეორებით აღწერას რამდენიმე განყოფილებაში. სისტემატურ განლაგებას განსაკუთრებით საჭიროებენ ის ვრცელი სიები, რომელშიც ასახული ლიტერატურაც ეხება მეტანაკლებად კომპლექსურ თემებს. სისტემატური განყოფილებების დადგენა ყველაზე უკეთესია ხელნაწერის თავების ან თემის უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესაბამისად. ზოგადი ხასიათის ლიტერატურა (საძიებლები, ცნობარები და ა. შ.), განმეორებების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია გამოყოფილ ცალკე განყოფილებად.

ქრონოლოგიური განლაგება შესაძლებლობას გვაძლევს საკითხებზე არსებული ლიტერატურა წარმოვიდგინოთ მის ისტორიულ განვითარებაში. უკუ-ქრონოლოგიური განლაგება, რომელიც პირველ რიგში აყენებს უახლეს, მეცნიერების თვალსაზრისით ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ლიტერატურას, მართებულია პრობლემები და ექსპერიმენტული ხასიათის შრომებისათვის, სადაც მთავარი ყურადღება ექცევა საკითხის თანამედროვე მდგომარეობას, მაგრამ ამასთანავე გამოყენებულია ისტორიული მასალაც. ზოგიერთ გამოკვლევაში მიზანშეწონილია განყოფილები დავადგინოთ გარკვეული ისტორიული პერიოდების შესაბამისად.

განლაგების ანბანური წესი შესაძლებლობას გვაძლევს აღვილად შევამოწმოთ გათვალისწინებულია თუ არა სიაში ამა თუ იმ ავტორის შრომები. დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს ანბანური განლაგების გამოყენება იმ სიებში, რომლებიც შეიცავენ კერძო საკითხები მოკლე დროის განმავლობაში გამოყენებულ შრომებს. განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ასეთ განლაგებას სტატიის ბოლოში დართულ ბიბლიორგაფიაში.

მასალის ანბანური განლაგებისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთ რიგში მოვიხსენიოთ რუსულ, ლათინურ და სხვა ანბანზე დაბეჭდილი ნაწარმოებები. განლაგების ანბანური წესი უნდა დავიცვათ არა მარტო სათაურის პირველი ასოს, არამედ მომდევნო ახოების მი-



წედვითაც. ერთიდაიგივე გვარის მეცნიერთა შრომები ლაგდუჭხიანშემა-  
თი ინიციალების მიხედვით, ხოლო ყოველი ცალკეული ავტორის შრო-  
მები — ქრონოლოგიური წესით. იმ ნაწარმოებების აღწერილობანი,  
რომელთა შექმნის თარიღი უცნობია, თავსდებიან ქრონოლოგიური  
რიგის ბოლოს შესაბამისი ანოტაცით.

დამოუკიდებლად იმისა, თუ აღწერილობათა განლაგების რომე-  
ლი წესი გვაქვს არჩეული, სის დასაწყისში ცალკე რიგებად უნდა გა-  
მოვყოთ მარჯვისზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, აგრეთვე  
პარტიისა და მთავრობის დადგენილებები. მასალა ყოველი ამ ორი სის  
ფარგლებში მიზანშეწონილია განვალაგოთ ქრონოლოგიური წესით. მა-  
სალის სისტემატური განლაგებისას მარჯვისზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა  
ნაწარმოებების და პარტიისა და მთავრობის დადგენილებების აღწერი-  
ლობანი სასურველია მოვათავსოთ შესაბამისი განყოფილებების დასა-  
წყისში.

სის ძირითადი ნაწილი ზოგჯერ მიზანშეწონილია მივცეთ ორ  
რიგად: „საბჭოთა ავტორების შრომები“ და „უცხოელ ავტორთა შრო-  
მები“. სხვა შემთხვევებში მართებული იქნება, თუ ყოველი ქრონოლო-  
გიური ან თემატური განყოფილების შიგნით მივუთითებთ, გარკვეუ-  
ლი წესით, ჯერ საბჭოთა მეცნიერთა შრომებს, ხოლო შემდეგ იმავე  
თანმიმდევრობით —უცხოელ მეცნიერთა შრომებს. საბჭოთა და უც-  
ხოელ ავტორთა შრომების დაყოფისას ხშირად უშვებენ შეცდომებს.  
ასე, მაგალითად, უცხოურ ენებზე დაბეჭდილ საბჭოთა მეცნიერთა  
შრომებს ზოგჯერ ათავსებენ ერთ რიგში უცხოელ მკვლევართა შრო-  
მებთან ერთად, ხოლო რუსულ ენაზე თარგმნილ უცხოელ ავტორთა  
წიგნებსა და სტატიებს მიუთითებენ საბჭოთა ავტორთა შრომებთან  
ერთად. რიგ შემთხვევებში საბჭოთა მეცნიერების რეცენზიები უცხო-  
ურ ბეჭდურ ნაწარმოებებში აღმოჩნდება ხოლმე უცხოელ მეცნიერთა  
შრომების რიცხვში.

ნაბეჭდი წყაროების სიაში არ უნდა მივუთითოთ გამოუქვეყნე-  
ბელი დოკუმენტების აღწერილობანი. ეს უკანასკნელი უნდა მოვიხ-  
სენიოთ ცალკე სიაში, დოკუმენტების პუბლიკაციის წესების შესაბა-  
მისად<sup>127</sup>.

<sup>127</sup> Правила издания исторических документов. Изд. 2-е, М., Акад. наук СССР, 1956, 72 стр. (Акад. наук СССР. Ин-т истории. Глав. арх. упр. Моск. гос. историко-арх. ин-т).



კარგი იქნება, თუ ბიბლიოგრაფიულ სიაში მოთავსებულ მატერიალის მივცემთ ერთიან რიგით ნუმერაციას.

თუ გამოკვლევაზე დართული ბიბლიოგრაფია შედგება რამდენიმე ასეული სახელწოდების წიგნისა და სტატიისაგან, მიზანშეწონილია მას, როგორც დამოუკიდებელ ბიბლიოგრაფიულ გამოცემას, დავურთოთ შესაბამისი დამხმარე საძიებლები. დამხმარე საძიებლების შედგენის მეთოდიკა გაშუქებულია მ. კოინკონის<sup>128</sup> და ლ. ხავკინას<sup>129</sup> შრომებში.

ამა თუ იმ დამხმარე საძიებლის არჩევა დამოკიდებულია ლიტერატურის სიაში მასალის განლაგების თავისებურებებზე. კარგი იქნება თუ სისტემატურ და ქრონოლოგიურ სიებს დაუურთავთ ავტორთა ანბანურ დამხმარე საძიებლებს. ანბანური სიები კი საჭიროებენ სისტემატურ და საგნობრივ დამხმარე საძიებლებს.

სასურველია, რომ ბიბლიოგრაფიის დამხმარე საძიებელი მოიცავდეს არა მარტო მასში ასახულ მასალას, არამედ ამ უკანასკნელზე იმ კრიტიკულ და შეფასებითს მონაცემებს, რომლებიც მოცემულია გამოკვლევის ძირითად ტექსტში. თუ ტექსტში არის მითითება ლიტერატურაზე, რომელმაც ასახვა ვერ ჰპოვა ბიბლიოგრაფიაში, ის უნდა მივუთითოთ დამხმარე საძიებელში. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში შენიშვნა უნდა მივცეთ სპეციალურ საძიებელში და ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს დამხმარე საძიებლის გაფორმებისას. მაგალითად, ყოველ რუბრიკას უნდა მიეწეროს ჯერ ძირითადი ტექსტის იმ კვერდების ნომრები, რომლებზედაც მოცემულია შესაბამისი ნაწარმოებების დახასიათება, შემდეგ შრომაზე დართული ბიბლიოგრაფიის პირობითი აღნიშვნა, ბოლოს კი უნდა ჩამოვთვალოთ შესაბამისი აღწერილობების რიგითი ნომრები:

ზანდუკელი მ. — II, 13. ლიტ. 15—83—85—94.

<sup>128</sup> М. С. Войнов, Географические вспомогательные указатели. Методика составления. М., Всесоюз. кн. палата, 1948, 77 стр.

<sup>129</sup> Л. Б. Хакина, Составление указателей к содержанию книг и периодических изданий. Опыт практического пособия. С примерами и рисунками в тексте. 2-е пересмотр. и доп. изд. М.—Л., Соцэкгиз, 1931, 144 стр. Библиогр.: стр. 133—136.

ლიტერატურის სიას წინ უნდა უძლოდეს მოკლე წინასიტყვასამათი და მასში დახასიათებული უნდა იქნეს მასალის შერჩევის პრინციპები და მისი სისტემატიზაციის თავისებურებანი განყოფილებებში და ყოველი მათგანის შიგნით. სიის ძირითადი განყოფილებები მკაფიოდ უნდა და-ვასათაუროთ, რათა გაადვილდეს მისი გამოყენება. „ლიტერატურის სია“ აუცილებლად უნდა აისახოს სარჩევში.

ଶ୍ରୀନାରାତ୍ନ

230. ଗନ୍ଧିଲୀଳାର ପିନ୍ଧିଲୀଳାର ମୁଦ୍ରାକଣ୍ଠର ମୁଦ୍ରାକଣ୍ଠର 3  
3. ପ୍ରତିକାଳର ମୁଦ୍ରାକଣ୍ଠର ମୁଦ୍ରାକଣ୍ଠର 6

Digitized by Google

ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა სამცენიერო მუშაობაში . . . . .	16
ბიბლიოგრაფიული წყაროების სახეები . . . . .	19
საბიბლიოგრაფიო საშინაობა საბჭოთა კიბურში და სახლვარგარეთ . . . . .	28

ପାରି କୋରିଗାଲେ ।

ბიბლიოთეკრატიული მუშაობის ტექნიკა

თავი I ლიტერატურის მოძებნა

შიმდინორე ინჟორმაცია ახალ სპეციალურ ლიტერატურაზე	34
საკვლევი თემისათვის ლიტერატურის შერჩევის ამოცანათ განსაზღვრა	36
ლიტერატურის შერჩევის ძირითადი ეტაპები	41
ბიბლიოგრაფიული წყაროების ცალკეული სახეების გამოყენება	42
ბეჭდურ ნაწარმოებთა აღწერის ძირითადი წესები	72
აღწერილობათა ელემენტები	73
ბეჭდურ ნაწარმოებების აღწერილობათა ელემენტების დამატება და დაზუსტება	91
პირადი ბიბლიოგრაფიული კარტოფეის ორგანიზაცია და წარმოება	93
<b>თავი II</b> სამეცნიერო პრაკტიკის გაფორმება და სრულებულებაში	
დასრულებულ გამოკვლეულების სამეცნიერო პრატიკის გაფორმების ზოგადი მოთხოვნები	99
ხელნაწერის ტექსტში სამეცნიერო პრატიკის გაფორმების თავისებურებანი	103
ლიტერატურის სიის შედგენა	106

## Ираида Константиновна Кирпичева

БИБЛИОГРАФИЯ В ПОМОЩЬ НАУЧНОЙ РАБОТЕ  
1958 — ЛЕНИНГРАД  
ПЕРЕВОД

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ნ. გურგენიძე  
გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე  
ტექნიკა ლ. ჯვებენავა  
კორექტორი ე. წხარტიძეილი

გადაეცა წარმოებას 8.7.1969; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.2.1970;  
ქაღალდის ზომა  $60 \times 901/16$ ; ნიბეჭდი თაბახი 7,25; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 5,62; უკ 01213; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1950.

ფასი 48 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

---

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის 15  
· Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

341/185



ფასი 48 კაპ.